MESSENGER

LOIS LOWRY

ლუის ლოური

მესიერი

შენი თაობის
არჩევანი

LOIS LOWRY

MESSENGER

ლუის ლოური

მიკრიკი

ინგლისურიდან თარგმნა დათო აკრიანმა

მკითხველთა ლიგა

მატის ერთი სული ჰქონდა, ვახშმის სამზადისი დაემთავრებინათ. საჭმლის მომზადება, ჭამა და გასვლა ეჩქარებოდა. ინატრა, იმხელა ყოფილიყო, თვითონ გადაეწყვიტა, როდის ეჭამა ან საერთოდ შეეწუხებინა ჭამისთვის თავი თუ არა. რაღაც უნდა გაეკეთებინა, რაღაც ისეთი, რაც აშინებდა. ლოდინი კი ამ გრძნობას უმძაფრებდა.

მატი ბიჭუნა აღარ იყო, თუმცა, ჯერ არც კაცი. ზოგჯერ, როცა თავისი სახლის წინ იდგა, ფანჯარაში თავის თავსაც ზომავდა. ოდესღაც მხოლოდ რაფას სწვდებოდა, შუბლს ფიცარს ადებდა, ახლა კი უკვე ისეთი მაღალი იყო, მინაშიც იყურებოდა. მაღალ ბალახებში უკუსვლისას ფანჯარაში თავის ანარეკლსაც ხედავდა. სახე თანდათან მივაჟკაცდებაო, ფიქრობდა, თუმცა, ჯერაც ბავშვურად სიამოვნებდა, საკუთარ გამოსახულებას რომ ეჭყანებოდა და უბღვერდა. ხმაც თანდათან უბოხდებოდა.

ცხოვრობდა ბრმა კაცთან, რომელსაც წინასწარმეტყველს ეძახდნენ და რომელსაც მატი ეხმარებოდა. სახლსაც ულაგებდა ხოლმე, თუმცა ეს საქმიანობა თანდათან ჰბეზრდებოდა. კაცი ამბობდა, ეს აუცილებელიაო. ჰოდა, მატიც ყოველდღე გვიდა ხის იატაკს და ასწორებდა ჩულოებს: კაცის საწოლზე კარგად ატკიცინებდა, თავისაზე - სამზარეულოს გვერდით ოთახში - სასხვათაშორისოდ. საჭმლის მომზადებაში ორივე მონაწილეობდა. კაცს აცინებდა მატის კულინარიული გამოგონებები და ცდილობდა, ესწავლებინა, მაგრამ მოზარდს მოთმინება არ ჰყოფნიდა და მწვანილის სიქორფე არ ადარდებდა.

- ერთად ჩავყაროთ ქვაბში, - თავისას არ იშლიდა მატი, - ჩვენს მუცლებში მაინც ყველაფერი ერთად ირევა.

ეს იყო ძველი მეგობრული კამათი.

წინასწარმეტყველმა ჩაიფხუკუნა.

- უყნოსე ამას, - უთხრა და გაუწოდა მქრქალმწვანე ყლორტი, რომელსაც ჭრიდა.

მატიმ იჭვნეულად დაყნოსა და მხრები აიჩეჩა:

- ხახვი... შეგვიძლია ჩავაგდოთ, – მერე დაამატა: - შეგვიძლია, არც კი მოვხარშოთ, მაგრამ ასე პირი აგვიმყრალდება. ერთი გოგო შემპირდა, გაკოცებ, თუ პირში კარგი სუნი გექნებაო, თუმცა, მგონი, მამასხარავებს.

ბრმამ თავი ბიჭისკენ შეაბრუნა და გაიღიმა:

- გამასხრება თავშექცევაა, რომელიც კოცნას უსწრებს წინ, - მატი შეცბუნდა და აჭარხლდა.

- შეგეძლო, კოცნაზე შევაჭრებოდი, - ჩაიცინა ბრმამ, რას მისცემდი სანაცვლოდ? შენს ანკესს?

- ნუ ხუმრობ, ვაჭრობა არაფერ შუაშია.

- მართალი ხარ. არ უნდა მეთქვა. ჩვეულებრივ, ეგ სახალისო ამბავია, მაგრამ ამჯერად შენ მართალი ხარ. ეს სასაცილო აღარ არის.

- ჩემი მეგობარი რამონი ბოლო გაცვლაზე წავიდა მშობლებთან ერთად. მაგრამ ამაზე კრინტსაც არ დაძრავს.

- არც ჩვენ. ტაფაზე კარაქი გადნა?

მატიმ დახედა: კარაქი ოდნავ თუხთუხებდა ოქროსფერ-ყავისფრად.

- გადნა.

- მაშინ ხახვი ჩაყარე და მოურიე, რომ არ მიიწვას.

მატი დაემორჩილა.

- ახლა ეს დაყნოსე, - უთხრა ბრმამ.

ბიჭმა შეისუნთქა: ნელ ცეცხლზე მოშუშული ხახვის არომატმა ნერწყვი მოადინა.

- უმზე უკეთესია, არა? – ჰკითხა წინასწარმეტყველმა.

- მაგრამ მომაბეზრებელია, - მოუთმენლად მიუგო მატიმ, - საჭმლის კეთება.

- ცოტა შაქარი მოაყარე, ორიოდე მწიკვი. ერთი წუთი იხარშოს, მერე კურდღელსაც ჩავდებთ. ნუ ხარ ასეთი მოუთმენელი, მატი. სულ ფაცხაფუცხით გინდა ყველაფერი, არადა, საჩქარო არაფერიც არ არის.

- დაღამებამდე მინდა გასვლა. რაღაც მაქვს შესამოწმებელი. უნდა ვივახშმო და მდელოზე გავიდე, სანამ დაბნელდება.

ბრმამ გაიცინა და მაგიდიდან კურდღლის ნაჭრები აიღო. როგორც ყოველთვის, მატი ახლაც გაოცდა, როგორ უცდომლად მოძრაობდნენ მისი ხელები, როგორ ზუსტად იცოდა ამ კაცმა, სად იდო ყველა ნივთი. უყურებდა, როგორ მოხერხებულად განგლავდა ბრმა ფქვილში ხორცის ნაჭრებს, მერე კი კურდღელი ტაფაში ჩააწყო. როდესაც დარბილებულ ხახვთან ხორცი აშიშხინდა, ჰაერში სხვა არომატი დატრიალდა. კაცმა ერთი მუჭა მწვანილიც დააყარა.

- შენთვის მნიშვნელობა არა აქვს, გარეთ დღეა თუ ღამე, - უთხრა მატიმ წარბშეჭმუხნით, - მე კი რაღაცის დასანახავად დღის სინათლე მჭირდება.

- მაინც რის? - ჰკითხა წინასწარმეტყველმა და განაგრძო: - როდესაც ხორცი შეწითლდება, ცოტაოდენი ბულიონი დაასხი, რომ ტაფას არ მიეწვას.

მატი დაემორჩილა და ტაფაში თასით ჩააპირქვავა ბულიონი, რომელშიც მანამდე კურდღელი იხრაკებოდა. მუქმა სითხემ ზედაპირზე მოიგდო ხახვის ნაჭრებიცა და დაჭრილი მწვანილიც და ხორცის ნაჭრების ირგვლივ დაატრიალა. იცოდა, რომ ახლა ხუფი უნდა დაეხურა და ცეცხლისთვის დაეწია. კერძი ათუხთუხდა და მატიც მაგიდაზე თეფშების დალაგებას შეუდგა. მალე ისინი ერთად ივახშმებდნენ.

მატის იმედი ჰქონდა, რომ ბრმას დაავიწყდებოდა თავისი შეკითხვა: „მაინც რის?“ მისთვის გამხელა არ უნდოდა. იგი საგონებელში ჩააგდო იმან, რაც მდელოზე დამალა; ეშინოდა, რადგან არ იცოდა, რა იყო. წამით ჩაფიქრდა, ხომ არ გამეცვალაო.

* * *

ნავახშმევს, როცა თეფშები გაირეცხა და თავის ადგილზე მიეწყო, ბრმა კი ბალიშიან სკამზე დაჯდა და აიღო სიმებიანი საკრავი, რომელზეც საღამოობით უკრავდა ხოლმე, მატი კარისკენ ფეხაკრეფით დაიძრა, იმ იმედით, რომ გარეთ შეუმჩნევლად გაიძურწებოდა. თუმცაღა, ამ კაცს ესმოდა ყველაფერი, რაც მოძრაობდა. მატიმ იცოდა, როგორ ესმოდა ობობას მოძრაობა აბლაბუდას ერთი ბოლოდან მეორისკენ.

- ისევ ტყისკენ გაგიწევია?

მატიმ ამოიოხრა. ვერ დაუსხლტებოდა.

- დაღამებისთანავე მოვალ.

- შეიძლება. მაგრამ ლამპა მაინც აანთე. თუ შეგაგვიანდა, კარგი იქნება ფანჯარაში, რომლისკენაც გეზს აიღებ, სინათლე დაინახო. მახსოვს, როგორი იყო ტყე ღამით.

- როდიდან გახსოვს?

კაცს გაეღიმა:

- როცა ვხედავდი. შენს დაბადებამდე კარგა ხნით ადრე.

- ტყის გეშინოდა? - ჰკითხა მატიმ. ტყის ხომ ბევრს ეშინოდა და არცთუ უმიზეზოდ.

- არა. ეგ ყველაფერი ილუზიაა.

მატი შეიჭმუხნა. არ იცოდა, ბრმა რას გულისხმობდა. იმას ხომ არა, რომ შიში ილუზიაა? ან ტყეა ილუზია? კაცს გახედა. იგი რბილ ნაჭერს უსვამდა თავისი საკრავის გაპრიალებულ ხის ზედაპირს. მისი ფიქრები გლუვი მერქნისკენ მიიქცა, თუმცა, ოქროს ნეკერჩხალსა და მის ჩახუჭუჭებულ ქარგას ვერ ხედავდა. იქნებ კაცისთვის, რომელმაც თვალები დაკარგა, ყველაფერი ილუზიააო, გაიფიქრა.

პატრუქს ამოუწია და ლამპაც შეამოწმა, ესხა თუ არა საკმარისი ზეთი. მერე ასანთს გაჰკრა.

- ახლა ხომ კმაყოფილი ხარ, ლამპის შუშები რომ გაგაწმენდინე? ბრმა პასუხს არ დალოდებია. სიმებზე თითებს ასრიალებდა და ჟღერადობას უსმენდა. ნელ-ნელა, როგორც თითქმის ყოველ საღამოს, ინსტრუმენტი ააწყო. მას ესმოდა ბგერების ვარიაციები, რომლებიც ბიჭისთვის ერთნაირი იყო. მატი გასასვლელში იდგა და უყურებდა. მაგიდაზე ლამპა ციმციმებდა, კაცი ფანჯრისკენ თავგადახრილი იჯ-და, ისე, რომ ზაფხულის ადრეული საღამოს სინათლე ნაიარევებს უვარაყებდა სახეზე. უსმენდა, მერე საკრავის უკანა მხარეს პატარა ხრახნი გადაატრიალა და ისევ მიაყურადა. ახლა ის ბგერას ეძებდა და ბიჭი აღარ ახსოვდა. მატი სახლიდან გასხლტა.

* * *

გეზი სოფლის განაპირას, ტყეში შემავალი ბილიკისკენ აიღო, მაგრამ შორი გზით წავიდა, რათა სკოლის მასწავლებლის სახლისთვის ჩაევლო. ეს იყო გულკეთილი კაცი, რომელსაც სახის ნახევარს მუქწითელი ლაქა უფარავდა. ამას ტყირპი ერქვა. როდესაც მატი ჯერ ახალმოსული იყო სოფელში, დროდადრო მიაჩერდებოდა ხოლმე ამ კაცს, რადგან მანამდე ასეთი ლაქა არასოდეს ენახა. საიდანაც მატი მოვიდა, ასეთი ნაკლი მიუღებელი იყო. ამაზე ნაკლებისთვისაც კი იქ ადამიანებს სიკვდილისთვის წირავდნენ.

ამ სოფელში კი დაღი და ლაქა ნაკლად სულაც არ მიაჩნდათ. პირიქით, მათ აფასებდნენ. ბრმას წინასწარმეტყველი დაერქვა და პატივიც მიეგებოდა, რადგან თავისი დაშრეტილი თვალების მიღმიდან სხვებზე მეტს ხედავდა.

სკოლის მასწავლებელს აღმზრდელი ერქვა, მაგრამ ზოგჯერ, სახეზე სისხლისფერი ხალის გამო, სიყვარულით როუზის[1] ეძახდნენ. ბავშვებს უყვარდათ ეს კაცი - ჭკვიანი და მომთმენი მასწავლებელი. მატი - ჯერაც პატარა ბიჭი - როცა ბრმასთან საცხოვრებლად მოვიდა, ხშირად დადიოდა სკოლაში, ზამთრის მოკლე დღეებში კი დამატებით გაკვეთილებზეც. აღმზრდელმა ასწავლა მას წყნარად ჯდომა, მოსმენა და, საბოლოოდ, კითხვაც.

სკოლის მასწავლებლის სახლს ჩაუარა არა აღმზრდელის ან ჩინებული ყვავილებიანი ბაღის სანახავად, არამედ იმ იმედით, რომ თვალს მოჰკრავდა მის მშვენიერ ასულს, ჯინის და რომელმაც გაამასხარავა მატი კოცნის დაპირებით. საღამოობით ის ხშირად გამოდიოდა ბაღში სარეველების ამოსაძირკვად.

მაგრამ ამ საღამოს არც ის ჩანდა, არც მამამისი. მატიმ კართანაზე მძინარე ლაქებიანი ბომბორა ძაღლი დაინახა. შინ სხვა თითქოს არავინ იყო.

ძალიანაც კარგიო, გაიფიქრა ბიჭმა. ჯინი შეაყოვნებდა თავისი ხითხითით და დამცინავი დაპირებებით. მატიმ იცოდა, რომ გოგონა

[1] *Rosy - ვარდისფერი.*

ყველა ბიჭს ასე ექცეოდა, მაგრამ მისი ნახვის იმედით გზიდან გადახვევას მაინც არ აპირებდა.

მატიმ ჯოხი აიღო და ბაღთან გამავალ ტალახიან ბილიკზე გული დახატა. ფრთხილად ჩაწერა გოგონას სახელი გულში, თავისი კი გულს ქვემოთ. იქნებ ჯინს ენახა, გაეგო, რომ მატი აქ იყო და რაღაც მაინც ეგრძნო.

- ჰეი, მატი! აქ რას აკეთებ? - ეს მისი მეგობარი რამონი იყო. - უკვე ივახშმე? გინდა, ერთად ვივახშმოთ ჩვენთან?

მატი სწრაფად შებრუნდა რამონისკენ, თან სხეულით აეფარა ტალახში დახატულ გულს იმ იმედით, რომ მეგობარი ვერ შეამჩნევდა. რამონის სახლში მისვლა ყოველთვის სახალისო იყო, რადგან მისმა ოჯახმა ახლახან მოიტანა ნივთი, სახელად მოთამაშე მანქანა - დიდი მოხატული ყუთი სახელურით, რომლის მოქაჩვით შიგნით სამ ბორბალს ატრიალებდი, მერე ზარი გაიწკრიალებდა და ბორბლები პატარა ფანჯარასთან ჩერდებოდა. თუ მათი სურათები ერთმანეთს მიესადაგებოდა, მანქანა კანფეტს გადმოისვრიდა. ძალიან აზარტული სათამაშო იყო.

ხანდახან მატის ცნობისმოყვარეობა იპყრობდა, ნეტავ, რის დათმობა მოუხდათ ამ სათამაშო მანქანისთვისო, თუმცა, არასოდეს უკითხავს.

- ჩვენ უკვე ვჭამეთ, - უთხრა რამონს, - სადღაც ვარ მისასვლელი, სანამ ჩამობნელდება. ამიტომაც ადრე ვივახშმეთ.

- წამოგყვებოდი, მაგრამ მახველებს, მებალახემ მითხრა, ბევრი არ ირბინო აღმა-დაღმაო. შევპირდი, პირდაპირ შინ წავალ-მეთქი. თუმცა, თუ დამელოდები, გავიქცევი და ვკითხავ...

- არა, - სწრაფად მოუჭრა მატიმ, - მარტო უნდა წავიდე.

- ოჰო, შეტყობინებისთვის მიდიხარ?

ასე არ იყო, მაგრამ მატიმ თავი დაუქნია. მობეზრებული ჰქონდა პატარ-პატარა რამეებზე ტყუილების თქმა, მაგრამ მაინც ყოველთვის ცრუობდა. ტყუილებით გაიზარდა და ჯერაც უცნაურად ეჩვენებოდა, რომ აქაურები ტყუილს არასდროს ამბობდნენ. მატისთვის ტყუილი

იყო რაღაცების გაიოლების, რაღაცის უფრო მოხერხებულად, უფრო სწრაფად გაკეთების გზა.

- მაშინ ხვალამდე, - ხელი დაუქნია რამონმა და თავისი სახლისკენ გაეშურა.

* * *

მატი ისე იცნობდა ტყის ბილიკებს, თითქოს თვითონ გაეკვალა. ზოგი ბილიკი მართლაც მისი ნაბიჯებით იყო გაკვალული წლების მანძილზე. აქა-იქ, სადაც ის დადიოდა და უმოკლეს, უხიფათო გზას ეძებდა, ფესვები გაბრტყელებულიყო. ტყეში სწრაფად და მშვიდად მიდიოდა, ნიშნულების გარეშე პოულობდა გზას, ზუსტად გრძნობდა გეზს, ისევე, როგორც ამინდს ის ხომ ღრუბლების შეგროვებამდე ან ქარის მიმართულების შეცვლამდე კარგა ხნით ადრე წინასწარმეტყველებდა წვიმას. მატის ეს შეეძლო.

სხვა სოფლელები იშვიათად ბედავდნენ ტყეში შესვლას. მათთვის ეს სახიფათო იყო. ზოგჯერ ტყე იხურებოდა და იმწყვდევდა ადამიანებს, რომელთაც მეორე მხარეს გასვლა უნდოდათ. ყოფილა საშინელი სიკვდილის შემთხვევებიც, ტყიდან გამოუტანიათ გაგუდული სხეულები, რომლებსაც მცოცავი მცენარეები და ტოტები ყელსა და კიდურებზე შემოჭდობოდა. ეს ის ადამიანები იყვნენ, ვინც სოფლიდან წასვლა დააპირა. ტყემ იცოდა, ისინი რას აპირებდნენ. ისიც იცოდა, რომ მატის შესვლა-გამოსვლა სასიკეთო და აუცილებელი იყო. ხვიარა ლიანები არასდროს შემოხვევია მას, ხეები კი თითქოს ემშვიდობებოდნენ და აცილებდნენ კიდეც.

- ტყეს მოვწონვარ, - ამაყად განუცხადა ერთხელ ბრმას.

წინასწარმეტყველი დაეთანხმა.

- იქნებ სჭირდები კიდეც, - შენიშნა მან.

მატი ადამიანებსაც სჭირდებოდათ. ისინი ენდობოდნენ, რადგან იცოდნენ, რომ ბილიკებს თვალდახუჭული ცნობდა, გზას უსაფრთხოდ იგნებდა და ტყის ჩახლართულ ლაბირინთებში ყველაზე უკეთ დაძვრებოდა. ბიჭს მათთვის ამბებიც მოჰქონდა ეს მისი საქმე იყო და ფიქრობდა, როცა დადგება დრო, რომ ნამდვილი სახელი

დამერქვას, შესაფერისი სწორედ შიკრიკი იქნებაო. მოსწონდა ამ სიტყვის ჟღერადობა და ელოდა, როდის მიიღებდა ამ წოდებას.

მაგრამ ამ საღამოს მატის შეტყობინება არც მიჰქონდა და არც მოჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ რამონს სწორედ ასე უთხრა. ახლა ის ნაცნობი მდელოსკენ მიემართებოდა, წიწვოვანი ფიჭვების ხშირი ტევრის გადაღმა. მარჯვედ გადაახტა ნაკადულს, მერე გატკეპნილი ბილიკიდან გადაუხვია, ორ ხეს შუა გაძვრა და განაგრძო გზა. ბოლო წლებში ეს ხეები სწრაფად იზრდებოდა და ამჟამად მათ შორის მიმალული მდელო მატის საიდუმლოდ ქცეულიყო.

მას სჭირდებოდა განმარტოება იმ რაღაცისთვის, რასაც ამჟამად საკუთარ თავში მიაგნო, სჭირდებოდა ადგილი, სადაც ამას ფარულად გამოცდიდა და აწონ-დაწონიდა თავის შიშსაც, რადგან ჯერ არ იცოდა, ეს რას ნიშნავდა.

განაკაფში ბინდბუნდი იდგა. მატის ზურგს უკან, სოფლის თავზე, უკვე მზე ეშვებოდა, ტყეში შემონათებული სინათლეც მქრქალი და მოვარდისფრო იყო. მატი ხავსიან მიწას გაუყვა მაღალი გვიმრებისკენ. იქ ერთი ხის ძირას ჩაცუცქდა და მიაყურადა, გვიმრებისკენ თავდახრილმა. რბილად გამოსცა ბგერა, რომლის წარმოთქმაზეც კარგა ხანს ივარჯიშა და იმწამსვე გაიგონა საპასუხო ბგერა, რომელსაც ელოდა და რომელიც, იმავდროულად, ზაფრავდა.

ხელი ნაზად შეაცურა მიწაზე გაფენილ ბალახში და იქიდან პატარა ბაყაყი ამოიყვანა. ხელისგულიდან ბაყაყმა გადმოკარკლული, უშიშარი თვალებით ამოხედა და ისევ გაიმეორა: ყუაყ.

ყუაყ.

ყუაყ.

მატიმაც გაიმეორა ბაყაყის ხორხისმიერი ხმა, თითქოს საუბრობდნენ. თუმცა, თან ანერვიულდა ეს ბგერების გაცვლა, ცოტა არ იყოს, აცინებდა. დაკვირვებით ათვალიერებდა სველ მწვანე სხეულს. ბაყაყი არც აპირებდა ხელიდან გადახტომას, მშვიდად იჯდა ხელისგულზე და მხოლოდ გამობურცული, გამჭვირვალე ყელი უთრთოდა.

მატიმ იპოვა, რისთვისაც მოვიდა, არადა, თითქოს იმედი ჰქონდა, რომ ვერ იპოვიდა. იცოდა, ცხოვრება გაუადვილდებოდა, თუკი ბაყაყი

ჩვეულებრივი და უნიშნო იქნებოდა, მაგრამ ახლა მატიმ მომავლის ახალი და საიდუმლო კარი შეაღო. ხვდებოდა ეს ბაყაყს ვერ დაჰ-ბრალდებოდა. სათუთად დასვა მაღალ ბალახებში და თვალი გააყო-ლა მის ყელის ფეთქვას. ბაყაყი ალალბედზე გაშორდა იქაურობას და მატიმ იგრძნო, რომ თვითონაც ცახცახებდა.

* * *

დაჩრდილული ბილიკით სოფლისკენ მომავალ მატის ბაზრის მოედნის გადაღმიდან ხმები მოესმა. თავიდან გაკვირვებულმა იფიქ-რა, ვიღაცები მღერიანო. სოფელში სიმღერა ჩვეულებრივი ამბავი იყო, ოღონდ, არა - სახლს გარეთ და არა საღამოობით. შეფიქრიანე-ბული მატი შეჩერდა და მიაყურადა. არა, ეს არ იყო სიმღერა, ეს იყო რიტმული, მწუხარე ბგერა, რომელსაც ისინი ეძახდნენ მოთქმას - და-ნაკარგის ბგერით გამოხატულებას. მატიმ სხვა საფიქრალი გვერდზე გადადო და საღამოს სხივებში ნაბიჯს აუჩქარა, რათა დროულად მი-სულიყო შინ, სადაც ბრმა ელოდა და ის ამ ხმების რაობასაც აუხსნი-და.

2

- გაიგე, რა დაემართა წუხელ შემგროვებელს? სცადა, დაბრუნებუ-ლიყო, მაგრამ სავალი ძალიან გრძელი აღმოჩნდა.

რამონი და მატი ორაგულის დასაჭერად იყვნენ თავ-თავიანთი ანკესებით და რამონს ნაპერწკლებად სცვიოდა ახალი ამბავი. მის სიტყვებზე მატის შეაჟრჟოლა. მაშ, ტყემ წაიყვანა შემგროვებელი - ეს ხალისიანი კაცი, რომელსაც უყვარდა ბავშვები და პატარა ცხოველე-ბი, ხშირად იღიმებოდა და ხუმრობით ტრაბახობდა.

რამონი ლაპარაკობდა იმ ადამიანის საქმიანი ტონით, რომელ-საც უყვარს სიახლეების მოყოლა. მატის ძალიან უყვარდა თავისი მე-გობარი, მაგრამ ზოგჯერ ფიქრობდა, მას სინამდვილეში მკვეხარა უნ-და ერქვასო.

- საიდან იცი?

- წუხელ უპოვიათ ბილიკზე, სკოლის შენობის უკან. შენგან რომ წამოვედი, არეულობის ხმა გავიგონე და დავინახე, როგორ შემოასვენეს მისი სხეული.

- ხმაური მეც გავიგონე, მაგრამ მე და წინასწარმეტყველმა ვიფიქრეთ, რომ ვიღაც წაიყვანეს.

გუშინ, როდესაც მატი დაბრუნდა, ბრმა დასაწოლად ემზადებოდა, თან ყურადღებით უსმენდა მოგუდულ მოთქმას, რომელსაც აშკარად ბევრი მწუხარე ადამიანი გამოსცემდა.

- ვიღაც დაიღუპა, - თქვა შეწუხებული სახით. ღამისპერანგიანი საწოლზე იჯდა და ფეხსაცმელს იხდიდა.

- ლიდერს ხომ არ შევატყობინო?

- ამ ხმებით ისედაც მიხვდებოდა. ვიღაცას დასტირიან.

- ჩვენც უნდა მივიდეთ? - ჰკითხა მატიმ. ერთი მხრივ, უნდოდა მისვლა - არასდროს დასწრებია დატირებას, მაგრამ მეორე მხრივ, გულზე მოეშვა, როცა ბრმამ თავი გააქნია.

- ბევრი ხალხია. მრავალრიცხოვანი ჯგუფი ჩანს, თორმეტი ხმა მაინც მესმის.

მატი კიდევ ერთხელ გააოცა ბრმის აღქმის უნარმა. თვითონ მხოლოდ გუნდური მოთქმა ესმოდა.

- თორმეტი? - გაიმეორა მატიმ, მერე კი გამოაჯავრა: - იქნებ თერთმეტი ან ცამეტი?

- სულ ცოტა, შვიდი ქალის ხმა მესმის, - თქვა კაცმა, რომელსაც მატის ხუმრობა არ შეუმჩნევია, - თითოეული განსხვავებული სიმაღლისაა. ხუთიც კაცია, აქედან ერთი - სულ ახალგაზრდა, შეიძლება შენხელაც. ხმა ჯერ არ დაბოხებია. შეიძლება ის შენი მეგობარია. რა ჰქვია?

-რამონი.

- ჰო, ვგონებ, რამონის ხმაა. ხრინწიანი.

- ჰო, ახველებს. ბალახების ნაყენს სვამს.

ახლა მატის ეს წუხანდელი საუბარი გაახსენდა და მეგობარს ჰკითხა:

- შენც მოთქვამდი? თითქოს შენი ხმაც გვესმოდა.

- ჰო. ხალხი არ აკლდათ, მაგრამ იქ ვიყავი და მეც შევუერთდი. თუმცა, ამ ხველის გამო ხმა ჩახლეჩილი მქონდა. მხოლოდ სხეულის სანახავად მივედი. უწინ არასოდეს მინახავს.

- როგორ არ გინახავს! ჩემ გვერდით იდექი, როცა ვეტერინარი გამოასვენეს დასასაფლავებლად. და ის პატარა გოგოც ნახე, მდინარეში რომ ჩავარდა და დამხრჩვალი ამოიყვანეს. მახსოვს, რომ იქ იყავი.

- ტყეში გახლართულს ვგულისხმობ, - აუხსნა რამონმა, - ბევრი მკვდარი მინახავს, მაგრამ მცენარეებისგან გაგუდული მხოლოდ წუხელ ვნახე.

ასეთი არც მატის ენახა, მხოლოდ სმენოდა. ტყეში გახლართვა ისეთი იშვიათი იყო, მატის უკვე მითად, წარსულის ლეგენდად ეჩვენებოდა.

- როგორი იყო? ამბობენ, ამაზრზენიაო.

რამონმა თავი დაუქნია:

- ეგრეა. ისე გამოიყურებოდა, თითქოს ლიანები ყელზე შემოხვევია და მაგრად წაუჭერიაო. საწყალი შემგროვებელი! ხელებით ჩაჰფრენოდა ამ მცენარეებს, რომ გათავისუფლებულიყო, მაგრამ ისინი ხელებზეც შემოხვეოდა. მთელ სხეულზე ჰქონდა შემოტმასნილი. სახეზე შიში აღბეჭდოდა. თვალები ღია ჰქონდა, მაგრამ შტოებს და ლერწებს ქუთუთოების ქვეშაც შეეღწია. პირშიც ჰქონდაო, თქვეს. დავინახე, ენაზე რომ ეხვია რაღაც.

მატის გააჟრჟოლა.

- რა კარგი კაცი იყო! - თქვა მან. - შეგროვებისას ყოველთვის კენკრას გვიყრიდა. პირს დავაფჩენდი ხოლმე და ისიც მიმიზნებდა. თუ დავიჭერდი, უხაროდა და კიდევ მიგდებდა.

- მეც, - თქვა რამონმა სევდიანად, - მის ცოლს მეორე ბაია ჰყავს. ვიღაცამ თქვა, მაგიტომაც წავიდაო. ცოლის ოჯახისთვის უნდოდა ამ ამბის შეტყობინება.

- ნუთუ არ იცოდა, რა მოხდებოდა? ნუთუ გაფრთხილება არ მიუღია?

უცებ რამონმა დაახველა, წინ გადმოიხარა და სუნთქვა გაუხშირდა. მერე ისევ გაიმართა და მხრები აიჩეჩა:

- მისი ცოლი ამბობს, არაო. უწინაც წასულა, როცა პირველი შვილი ეყოლათ, და არაფერი შემთხვევია. არავის გაუფრთხილებია.

მატი ჩაფიქრდა. როგორც ჩანს, შემგროვებელმა გაფრთხილება ვერ შენიშნა. უწინდელი გაფრთხილებები ზოგჯერ მცირე ზომისა იყო. გული ეტკინა ამ კარგი, ბედნიერი კაცის გამო, რომელიც ასე მხეცურად იყო გაკოჭილი და რომელსაც ორი ბავშვი უმამოდ დარჩენოდა. მატიმ იცოდა: ტყე მუდამ აფრთხილებდა ადამიანებს. თვითონაც ხომ ხშირად მიდიოდა იქ და ყოველთვის ყურადღებით იყო. გაფრთხილება რომ მიეღო, თუნდაც ერთხელ, იქ ფეხს აღარასოდეს შედგამდა.

ბრმა ერთადერთხელ შესულა ტყეში, თავის მშობლიურ სოფელში მისასვლელად, როდესაც სოფელს მისი სიბრძნე დასჭირდა და შინ მშვიდობიანად დაბრუნდა, ოღონდ უკან მომავალი გააფრთხილეს: უცბად პაწაწინა რტომ მწარედ უჩხვლიტა. დანახვით, რასაკვირველია, ვერ დაინახა, მაგრამ მოგვიანებით თქვა, ვიგრძენი, წინ რომ წამოვიდაო. ეს იმ უნარის წყალობა იყო, რომლის გამოც ხალხმა მას წინასწარმეტყველი უწოდა. თუმცა, მატი ჯერ - კიდევ ბიჭუნა - მაშინ მასთან იყო, როგორც მეგზური, და დაინახა, რომ ტოტი გამოიზარდა, წაწვეტა, დაუმიზნა და უჩხვლიტა. ეს უეჭველი იყო. და ეს იყო გაფრთხილება. ბრმა ვეღარასოდეს შევიდოდა ტყეში. მისი უკან დაბრუნების დრო ამოიწურა.

აი, მატი კი არასდროს გაუფრთხილებიათ. ამიტომაც შედიოდა ტყეში, მიჰყვებოდა ბილიკებს, ელაპარაკებოდა ტყის ქმნილებებს. ესმოდა, რომ რაღაც მიზეზით ტყისთვის გამორჩეული იყო. უკვე ექვსი წლის განმავლობაში დადიოდა ტყე-ტყე, სწორედ მას შემდეგ, რაც პატარა ბიჭუნამ თავისი დაბადების ადგილი მიატოვა, გარემო, რომელმაც არ დაინდო.

- მე არ ვაპირებ იქ შესვლას, - მტკიცედ თქვა რამონმა, - მით უფრო მას შემდეგ, რაც ვნახე, რა დაემართა შემგროვებელს.

- შენ უკან დასაბრუნებელი ადგილი არ გაქვს, - შენიშნა მატიმ, - შენ ამ სოფელში დაიბადე. მხოლოდ ისინი ცდილობენ დაბრუნებას, ვინც სხვაგან დაიბადა.

- როგორც შენ.

- როგორც მე, თუმცა, მე ვფრთხილობ.

- მე გარისკვა არ მინდა. ეს სათევზაოდ კარგი ადგილია? – იკითხა რამონმა და ამით საუბრის თემა შეცვალა, - უფრო შორს აღარ მინდა. ბოლო ხანებში სულ დაღლილობას ვგრძნობ.

აქამდე მდინარისკენ მიაბიჯებდნენ, ყანის გასწვრივ, ახლა კი ბალახიან ნაპირზე გავიდნენ. აქ ხშირად თევზაობდნენ ერთად.

- წინა მოსვლისას ბევრი დავიჭირეთ. დედაჩემმა ნაწილი სადილისთვის მოამზადა, მაგრამ იმდენი იყო, ნარჩენებს სადილის შემდეგაც ვწიწკნიდი, სათამაშო მანქანით თამაშისას.

ისევ სათამაშო მანქანა. რამონი ამ ნივთს ხშირად ახსენებდა. შეიძლება მისი ნამდვილი სახელი შთანმთქმელი უნდა იყოსო, გაუელვა მატის. მანამდე ტრაბახას ფიქრობდა, ახალა კი ეს ახალი სახელი უფრო შესაფერისი ეჩვენებოდა. მატი დაღალა ამ სათამაშოს ხსენებამ. თან ცოტათი შურდა კიდევაც.

- ჰო, აქ, - უთხრა რამონს და სრიალა ნაპირზე ჩაცოცდა, იმ ადგილას, სადაც იმხელა ლოდი ეგდო, დასადგომად გამოდგებოდა.

ორივენი ლოდზე აძვრნენ, რათა ანკესები გაემართათ და ორაგულის მოლოდინში წყალში ესროლათ.

მათ უკან მშვიდი და უდრტვინველი სოფელი თავისი ყოველდღიური ცხოვრებით ცხოვრობდა. დღეს დილით შემგროვებელი დამარხეს. მისი პირველი გოგონა იატაკს ფეხს უბაკუნებდა, ქვრივი კი ჩვილს აჭმევდა სახლის კართანაზე. ირგვლივ ნუგეშის მცემელი ქალები ესხდნენ, ქსოვდნენ, ქარგავდნენ და მხოლოდ სასიამოვნო ამბებზე ლაპარაკობდნენ.

სკოლის შენობაში აღმზრდელი - სკოლის მასწავლებელი - ზომიერად თათხავდა რვა წლის გეიბს, რომელსაც გაკვეთილები თამაშში გაეცვალა და ახლა დახმარება სჭირდებოდა. აღმზრდელის ქალიშვილი ჯინი თაიგულებს და ახალგამომცხვარ პურს ყიდდა საბაზრო მოედანზე და თან იქვე შეჩერებულ აყლაყუდა, მორცხვ ბიჭებს ეკეკლუცებოდა.

ბრმა წინასწარმეტყველი გზას მიიკვლევდა სოფლის ორღობეებში, ამოწმებდა უბრალო ხალხს, ამოწმებდა თითოეულის კეთილდღეობას. სცნობდა ღობის თითოეულ მარგილს, თითოეულ გზაჯვარედინს, თითოეულ ხმას, სუნსა და ჩრდილს. თუ რამე კარგად ვერ იყო, არაფერს დაიშურებდა მის გამოსასწორებლად.

ფანჯრიდან იყურებოდა ლიდერად ცნობილი მაღალი ახალგაზრდა და თვალს ადევნებდა სოფლის დინჯ და ხალისიან ცხოვრებას, ხალხს, რომელიც მას უყვარდა, რომელმაც იგი აირჩია თავის მმართველად და დამცველად. ლიდერი აქ პატარა ბიჭად მოვიდა, გზა დიდი გაჭირვებით გამოიცნო. მუზეუმში, მინის ყუთში, ინახებოდა დამტვრეული ციგის ნამსხვრევები, ყუთის წარწერა კი ამბობდა, რომ ლიდერი ამ ტრანსპორტით მოსულიყო სოფელში. მუზეუმში აქ მოსულთა უამრავი ტრანსპორტი ინახებოდა, რადგან თითოეულ ადამიანს, რომელიც ამ სოფელში არ დაბადებულიყო, აქ მოსვლის საკუთარი ისტორია ჰქონდა. აქვე იყო მოთხრობილი ბრმა კაცის ისტორიაც: როგორ გამოიყვანეს სიკვდილის პირას მისული საკუთარი მხარიდან, იმ ადგილიდან, სადაც მტრებმა დააგდეს თვალებდათხრილი და მომავალწართმეული.

მუზეუმის შუშის ყუთებში ეწყო ფეხსაცმელები, ხელჯოხები, ველოსიპედები და საგორავებელი ეტლი, მაგრამ წითლად შეღებილი პატარა ციგა მაინც გამოირჩეოდა, ის გამბედაობისა და იმედის სიმბოლოდ ქცეულიყო. ლიდერი, თუნდაც ახალგაზრდა, სწორედ ამ თვისებებს განასახიერებდა. არასოდეს უცდია, არასოდეს მოსურვებია უკან დაბრუნება. ახლა ეს იყო მისი სახლი, აქაურები კი მისი ხალხი. როგორც ყოველ ნაშუადღევს, ახლაც იდგა და თვალს ადევნებდა სოფელს. გამჭოლი, ღია ლურჯი თვალები ჰქონდა.

მადლიერებით უყურებდა ბრმა კაცის სიარულს შუკებში.

კართანას მოაჯირის მიღმა ხედავდა ახალგაზრდა ქალს, რომელიც არწევდა ჩვილს და გლოვობდა მეუღლეს.

მშვიდად იგლოვე, - გაიფიქრა.

პურის ყანის გადაღმა ხედავდა ორ მოზარდს, მატის და რამონს, ანკესებს რომ ისროდნენ მდინარეში. იღბლიან თევზაობას გისურვებთ, - გაუგზავნა ფიქრით.

ბაზრის მოედნის მიღმა მოჩანდა სასაფლაო, სადაც დამარხეს შემგროვებლის დაფლეთილი სხეული. მშვიდად იძინე.

ბოლოს გახედა სოფლის განაპირას იმ ადგილს, სადაც ბილიკი ტყეში შედიოდა და ჩრდილებში იკარგებოდა. ლიდერი რაღაცას ხედავდა ჩრდილების მიღმა, მაგრამ დარწმუნებით ვერ იტყოდა, რას. იმ გადღაბნილმა რაღაცამ ლიდერს ცნობიერება აუფორიაქა და გული დაუმძიმა, თუმცა, ვერ იტყოდა, კარგ რამეს ხედავდა თუ ცუდს. ჯერ ვერ იტყოდა.

* * *

მდელოსთან, ხშირი მცენარეულობის ქვეშ, ლიდერის შეფიქრიანებული მზერის არეალის განაპირას, პატარა მწვანე ბაყაყი ქამანდივით ნატყორცნი წებოვანი ენით დაჭერილ მწერს მიირთმევდა. ჩაცუცქული იჯდა და გადმოკარკლულ თვალებს გარშემო ატრიალებდა სხვა მწერების მოსახელთებლად. რაკი ვერაფერი იპოვა, სკუპსკუპით გაეცალა იქაურობას. ცალ ფეხს უცნაურად ამოძრავებდა, თუმცა ამას ვერც კი ამჩნევდა.

3

- სათამაშო მანქანა რომ გვქონდეს, საღამოობით არ მოვიწყენდით, - თქვა მატიმ განზრახ უხეში ტონით.

- შენი აზრით, საღამოობით მოწყენილები ვართ, მატი? მეგონა, ჩვენი ერთობლივი კითხვა მოგწონდა, - წინასწარმეტყველმა გაიცინა და დააზუსტა: - მომიტევე. ვიგულისხმე, შენ რომ მიკითხავ და მე გისმენ. ეს ჩემთვის დღის საუკეთესო მონაკვეთია.

მატიმ მხრები აიჩეჩა:

- ჰო, მე მომწონს, რომ გიკითხავ, წინასწარმეტყველო, მაგრამ ეს აზარტული არ არის.

- მაშ, იქნებ სხვა წიგნი შევარჩიოთ. ბოლო წიგნი - დამავიწყდა, რა ერქვა - ცოტა არ იყოს, გაგვიჭიანურდა. ჰო, „მობი დიკი“.

- კარგი კი იყო, - აღიარა მატიმ, - მაგრამ ძალიან გრძელი.

- მაშინ ბიბლიოთეკაში რაღაც უფრო მოკლე და საინტერესო მოითხოვე.

- ის თუ აგიხსენი, წინასწარმეტყველო, როგორ მუშაობს სათამაშო მანქანა? ძალიან სწრაფად მოძრაობს.

ბრმამ ჩაიცინა. ეს უწინაც ბევრჯერ სმენოდა.

- ბაღში ჩაირბინე და ერთი თავი სალათის ფურცლები ამოიტანე, მატი. მე თევზს ვასუფთავებ. სანამ მოიხარშება, შენ სალათას გააკეთებ.

- და კიდევ, - ხმამაღლა გამოსძახა ბაღისკენ მიმავალმა მატიმ, - ვახშამს რამე ტკბილი მოუხდებოდა. რამე ჩაროზი. ხომ მოგიყევი, რომ, თუკი მოიგე, სათამაშო მანქანა კანფეტს გაძლევს?

- სალათასთან ერთად, ნახე, მწიფე პამიდორიც ხომ არ გვაქვს, ტკბილი პამიდორი, - გასძახა წინასწარმეტყველმა მხიარულად.

- პიტნის კანფეტსაც გადმოგვიგდებდა, - განაგრძო მატიმ, - ჟელატინისას, ან იმას, ქვის კანფეტს რომ ეძახიან.

უკანა გასასვლელით ბოსტანში გავიდა და სალათის პატარა თავი ამოგლიჯა. კიტრი ღეროს დაგვიანებული აზრივით ააწყვიტა და რეჰანს ტოტი წააცალა. სამზარეულოში შემოსულმა ყველაფერი ნიჟარაში ჩაყარა და უგულოდ შეუდგა რეცხვას.

- ქვის კანფეტები სხვადასხვა ფერისა გამოდის და თითოეულს განსაკუთრებული გემო აქვს, - განაგრძო მატიმ, - მაგრამ, მგონი, შენ ეს არ გაინტერესებს.

ამოიოხრა და მიიხედ-მოიხედა. იცოდა, რომ ბრმა მის ჟესტს ვერ დაინახავდა, მაგრამ მაინც გაიშვირა თითი კედლისკენ, რომელსაც ამშვენებდა ფერადი დეკორაცია - ბრმა წინასწარმეტყველის ნიჭიერი ასულის ნახელავი. მატი ხშირად ჩერდებოდა ამ ნამუშევართან, გულდასმით ათვალიერებდა რთულად ნაქარგ გობელენს, რომელზეც ხშირი ტყით ერთმანეთისგან გამიჯნული ორი პატარა სოფელი იყო

გამოსახული. ეს მატის ბიოგრაფიაც იყო და ბრმა კაცისაც, რადგან ორივე დიდი გაჭირვებით სწორედ იქიდან იყო გადმოსახლებული.

- სათამაშო მანქანა აქ რომ მდგარიყო, კარგი იქნებოდა, - თქვა მატიმ, - მეტისმეტად კარგი, - დაამატა, რაკი იცოდა, რომ ბრმას მოსწონდა, როცა ის თავის ლექსიკას იყენებდა.

წინასწარმეტყველი სამზარეულოს ნიჟარასთან მივიდა, გარეცხილი სალათა განზე გასწია და ორაგულის გასუფთავებული ნაჭრების წყალში გავლებას შეუდგა.

- ესე იგი ჩვენ კითხვას და მუსიკას თავს დავანებებთ, ან სულაც სახელურის მოქაჩვითა და მექანიკური მოწყობილობიდან კანფეტების ცვენის ყურებით მოგვრილ აზარტში გავცვლით? - იკითხა მან.

ასე თუ შეხედავ, სათამაშო მანქანა არც ისე კარგი ჩანსო, გაიფიქრა მატიმ.

- ჰო, ეს გასართობია, - თქვა შემდეგ.

- გასართობი... გაიმეორა ბრმამ, - ღუმელი მზად არის? ქვაბი?

მატიმ ღუმელს გახედა.

- ერთ წუთში იქნება, - ალმოდებული შეშა მოჩხრიკა, ააბრიალა, მერე კი ღუმელზე ზეთიანი ქვაბი შემოდგა, - მე თევზს მივხედავ, თუ შენ სალათას გააკეთებ, - და ჩაღიმებით განაგრძო: - რეჰანიც წამოვიღე, რაკი შენ ასეთი განსაკუთრებული სალათის გაკეთება გიყვარს. იქვე ხარობს, სალათის გვერდით.

მატი თვალს ადევნებდა, როგორ იპოვა ბრმამ რეჰანი, მარჯვედ წააცალა ფოთლები და ხის თასში ჩაყარა.

თვითონ კი თევზის ნაჭრები ქვაბში ჩაყარა და ზეთიც დაასხა. ორიოდე წუთში ოთახი მოთუხთუხე ორაგულის სუნმა აავსო.

გარეთ მწუხრდებოდა. მატიმ ზეთის ლამპაში პატრუქი ამოსწია.

– იცი, როდესაც კანფეტს იგებ, ზანზალაკი რეკავს და ფერადი სინათლეები ციმციმებს, - გაიხსენა მატიმ, რასაკვირველია, შენთვის ეს არაფერია, - დაამატა მაშინვე, - მაგრამ ზოგიერთი ჩვენგანი ნამდვილად დააფასებდა...

- მატი, მატი, მატი, - წარმოთქვა ბრმამ, - თევზს მიაქციე ყურადღება, მალე იხარშება და არც ზარი რეკავს, როცა მომზადდება... - მერე კი განაგრძო: - და არ დაგავიწყდეს, რომ იმ სათამაშო მანქანაში, ალბათ, დიდი საფასურიც გადაიხადეს.

მატი მოიღუშა:

- ზოგჯერ ძირტკბილასაც გიგდებს... - სცადა ერთხელაც.

- იცი, რაში გაცვალეს? გითხრა რამონმა?

- არა. მაგას არავინ არასოდეს ამბობს.

- იქნებ არც კი იცის. იქნებ მშობლებმა არ უთხრეს. ალბათ, ასე ჯობია.

მატიმ ქვაბი ღუმლიდან გადმოდგა და შეწითლებული ხორცი ორ თეფშზე გაანაწილა. მერე თეფშები მაგიდაზე დააწყო და სამზარეულოდან სალათის თასი მოიტანა.

- მზად არის.

ბრმა საპურესთან მივიდა და ორი სქელი ნაჭერი აიღო, რომლებსაც ახალგამომცხვარის სუნი ასდიოდა.

- ამ დილით ვიყიდე ბაზრის მოედანზე, აღმზრდელის ქალიშვილისგან, - თქვა მან, - კარგი ცოლი იქნება. ნუთუ ისეთივე ლამაზია, როგორი ლამაზიც ხმა აქვს?

მაგრამ მატი სკოლის მასწავლებლის ლამაზ გოგონაზე ლაპარაკით ყურადღების გაფანტვას არ აპირებდა.

– როდის არის მომდევნო ვაჭრობა? – იკითხა მან, როცა ორივენი დასხდნენ.

- ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხარ.

- გავიგე, რომ მალე იქნება.

- ყურადღებას ნუ მიაქცევ ყველაფერს, რაც გესმის. ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხარ-მეთქი.

- ყოველთვის ახალგაზრდა არ ვიქნები. უნდა ვნახო.

ბრმამ თავი გააქნია.

- მტკივნეული იქნება, - თქვა მან, - თევზი მიირთვი, მატი, სანამ თბილია.

ბიჭმა ორაგულს ჩანგალი ატაკა. შეეძლო ეთქვა, ვაჭრობაზე სიტყვას ნუღარ დავძრავთო. ბრმას არასოდეს უვაჭრია, არც ერთხელ და ამით ამაყობდა კიდეც. მატი კი ფიქრობდა, მოვა დრო და ამას მე გავაკეთებო. თუმცა, შეიძლება, არა - სათამაშო მანქანისთვის. იყო სხვა რამეებიც, რაც მატის უნდოდა. მისთვის უფლება უნდა მიეცათ, გაეგო, როგორ მიმდინარეობდა ვაჭრობა.

გადაწყვიტა, ეს ენახა. მაგრამ ჯერ სხვა სანერვიულო ჰქონდა, თან ძალიან წუხდა, რომ ამას ბრმას ვერ უმხელდა.

* * *

სოფელში საიდუმლო არ არსებობდა. ეს იყო ერთ-ერთი იმ წესთაგან, რომლებიც ლიდერმა დაადგინა და ყველამ ხმა მისცა. ყველა, ვინც სოფელში არ დაბადებულა, მოსული იყო ისეთი ადგილებიდან, სადაც ბევრი საიდუმლო არსებობდა. წარსული სევდის მომგვრელი იყო, ამიტომ ეს ადამიანები არცთუ ხშირად აღწერდნენ თავიანთი დაბადების ადგილებს: სასტიკ მთავრობებს, მკაცრ სასჯელს, უიმედო სიღატაკეს თუ ყალბ ნუგეშს.

ასეთი ადგილი უამრავი იყო. ზოგჯერ, როცა ამ ამბებს უსმენდა და საკუთარი ბავშვობა ახსენდებოდა, მატის გაოგნება იპყრობდა. თავდაპირველად, როცა ამ სოფლისკენ მომავალი გზა იპოვა, ფიქრობდა, რომ ის სისასტიკე, რითაც მისი ცხოვრება დაიწყო - უმამო ქოხმახი სახლის ნაცვლად, პირქუში, გულგატეხილი დედა, რომელიც უმოწყალოდ ბეგვავდა მატის და მის ძმას - უჩვეულო იყო. მაგრამ ახლა იცოდა, რომ არსებობდა სხვა თემები ქვეყნიერების ყველა მხარეს, სადაც ადამიანები იტანჯებოდნენ. არა ყოველთვის ცემისა და შიმშილისგან, როგორც თვითონ, არამედ უმეცრებისგან, არცოდნისგან, იმისგან, რომ რაღაცების სწავლა აუკრძალეს.

მატის სჯეროდა ლიდერის, მისი რწმენის, რომ სოფლის ყველა მკვიდრი - ბავშვებიც კი - უნდა კითხულობდეს, სწავლობდეს, საქმიანობდეს და ერთმანეთზე ზრუნავდეს. ამას სწავლობდა მატი და შეძლებისამებრ, აკეთებდა კიდეც.

თუმცა, დროდადრო ძველი ჩვევები ახსენებდა თავს, როცა თავის გადასარჩენად ეშმაკობას და ტყუილს ირჩევდა.

- თავს ვერ ვაღწევ, - პირქუშად უთხრა ბრმას მათი ერთობლივი ცხოვრების დასაწყისში, როდესაც ერთ უმნიშვნელო დანაშაულზე წაასწრეს, - ასე შევითვისე.

- შეეჩვიე, - ფრთხილად შეუსწორა ბრმამ.

- შევეჩვიე, – გაიმეორა მატიმ.

- ახლა თავიდან სწავლობ. სწავლობ კეთილსინდისიერებას. ვწუხვარ, რომ უნდა დაგსაჯო, მატი, მაგრამ სოფლის მოსახლეობა პატიოსანი და წესიერი ხალხია და, მსურს, შენც ერთი ჩვენგანი იყო.

მატი თავჩახრილი იდგა.

- ესე იგი მცემ?

- არა, შენი სასჯელი ის იქნება, რომ გაკვეთილებს გააცდენ. ბაღში დამეხმარები, სკოლაში წასვლის სანაცვლოდ.

მაშინ ეს მატის სასაცილო მოეჩვენა. ნეტავ, ვის უნდოდა სკოლაში სიარული? თვითონ - არა!

მაგრამ როდესაც წასვლის უფლება ჩამოართვეს და სკოლის შენობიდან კითხვის თუ სიმღერის ხმა გაიგონა, თავი მიტოვებულად იგრძნო. ნელ-ნელა ისწავლა, როგორ შეცვლილიყო და სოფლის ერთ-ერთი ბედნიერი ბავშვი გამხდარიყო, მალე კი - კარგი მოსწავლეც. ახლა - ლამის გაზრდილს და სკოლის დამთავრებას მიახლოებულს - მხოლოდ შემთხვევით თუ წასცდებოდა რომელიმე ძველი ჩვევა და თითქმის ყოველთვის თვითონვე ამჩნევდა ამას.

ახლა მატის ყველაზე ძალიან თავისი საიდუმლო აწუხებდა.

4

ლიდერმა შეტყობინებების დამტარებლად უხმო.

მატის უხაროდა ლიდერთან მისვლა - კიბის გამოც (ბრმა წინასწარმეტყველის გარდა, კიბე თითქმის ყველას ჰქონდა, მაგრამ ლიდერის წრიულ კიბეს მატი აღტაცებაში მოჰყავდა) და წიგნების მიზეზითაც. წიგნები სხვა სოფლელებსაც ჰქონდათ. მატის ჰქონდა რამდენიმე სასკოლო წიგნი და ბიბლიოთეკიდანაც ხშირად გამოჰქონდა

წიგნები, რათა საღამოობით ბრმისთვის საინტერესო ამბავი წაეკითხა. დღის ამ მონაკვეთს ორივე შეხაროდა.

მაგრამ სახლში, სადაც ლიდერი მარტო ცხოვრობდა, ძალიან ბევრი წიგნი იყო, მატის ერთად თავმოყრილი ამდენი წიგნი არსად ენახა. მთელი პირველი სართული, სამზარეულოს გარდა, თაროებით იყო სავსე, თაროები კი - ყველა ჯურის წიგნებით. მასპინძელმა უფლება მისცა მატის, სურვილისამებრ, ჩამოეღო და ენახა ნებისმიერი წიგნი. აქ იყო ამბები, რომლებიც, რასაკვირველია, ჰგავდა ბიბლიოთეკის წიგნებში წაკითხულ ამბებს. იყო ისტორიული წიგნებიც, ისეთები, სკოლაში რომ იყენებდა. მათგან საუკეთესოები სავსე იყო რუკებით, რომლებზეც ჩანდა, როგორ შეიცვალა მსოფლიო საუკუნეების მანძილზე. ზოგიერთი წიგნის პრიალა ფურცლებზე ეხატა პეიზაჟები, მატის რომ არასოდეს ენახა, ან უცნაურად ჩაცმული ადამიანები, ან ბრძოლები. ბევრი იყო მშვიდობიანი სცენაც, მაგალითად, ქალი, რომელსაც ხელში ახალშობილი ეჭირა. სხვა წიგნები ძველი ენით იყო დაწერილი და სხვა მხარეებიდან ჩამოტანილი.

ლიდერმა ირიბად გაიღიმა, როდესაც მატიმ გადაშალა და უცნობ ენაზე მიუთითა.

- მაგას ბერძნული ჰქვია, - თქვა ლიდერმა, - რამდენიმე სიტყვა ვიცი, მაგრამ ჩემი ბავშვობის სოფელში აკრძალული გვქონდა ასეთი რამეების სწავლა. ამიტომ თავისუფალ დროს აღმზრდელი მოდის და ენების სწავლაში მეხმარება. მაგრამ... - ლიდერმა ამოიოხრა, - ძალიან ცოტა მრჩება თავისუფალი დრო. იქნებ სიბერეში მაინც შევძლო, დავჯდე და ვისწავლო. მგონი, ასე აჯობებს.

მატიმ წიგნი უკანვე დადო და ნაზად გადაუსვა ხელი სხვა წიგნების ტყავის ყუებს.

- თუ სნავლა აკრძალული გქონდა, წიგნების წამოღების ნება როგორ დაგრთეს?

ლიდერმა გაიცინა.

- პატარა ციგა ხომ გინახავს?

- მუზეუმში?

- ჰო, ტრანსპორტი, რომლითაც მოვედი. მუზეუმის ექსპონატად აქციეს! ცოტა არ იყოს, უცნაურია, მაგრამ მე მართლაც ამ ციგით მოვედი - სასოწარკვეთილი, მომაკვდავი ბიჭი. არც ერთი წიგნი არ მქონდა! წიგნები მოგვიანებით მომივიდა. არასდროს გავოცებულვარ ისე, როგორც იმ დღეს, როცა ეს წიგნები მოვიდა.

მატიმ მზერა შემოატარა ათასობით წიგნს. თვითონ ორივე ხელით ათ-თორმეტ ასეთ წიგნს თუ ასწევდა, თუმცა ღონიერი იყო.

- როგორ მოაღწია შენამდე?

- მდინარის ბარჟით. უცებ მოვიდა. გემბანზე დიდი ხის ყუთები ეწყო, თითოეული - წიგნებით სავსე. მანამდე სულ მეშინოდა. ერთი წელი იყო გასული. მერე ორი გავიდა. მე კი მაინც მეშინოდა. მეგონა, ისევ მეძებდნენ, ბოლოს დამიჭერდნენ და მომკლავდნენ, რადგან მანამდე არავინ გაჰქცევია თემს. წიგნების დანახვის შემდეგღა მივხვდი, რომ რაღაც მოხდა, რომ მე თავისუფალი ვიყავი და იქ, საიდანაც მოვედი, უკეთესი ცხოვრება იწყებოდა. ვფიქრობ, წიგნები პატიება იყო.

- ესე იგი შეგეძლო დაბრუნებულიყავი, - თქვა მატიმ, - მაგრამ ძალიან დაგვიანებული იყო? ტყემ გაგაფრთხილა?

- არა, მაგრამ რატომ უნდა დავბრუნებულიყავი? აქ ჩემი ბინა და ნავსაყუდელი ვიპოვე, როგორც ყველამ. იმიტომაც გვაქვს მუზეუმი, რომ გვახსოვდეს, როგორ და რატომ მოვედით - თავიდან უნდა დავიწყოთ, ახალი სამყარო უნდა შევქმნათ იმაზე დაფუძნებით, რაც ვისწავლეთ და ძველიდან გამოვიყოლეთ.

* * *

დღესაც, როგორც ყოველთვის, ლიდერის სახლში მატი აღტაცებული ათვალიერებდა წიგნებს, თუმცა, არც ერთი არ გამოუღია და არ ჩაუხედავს. არც კიბის - ხის ნატიფი, გაპრიალებული საფეხურების - საყურებლად შეყოვნებულა, წრიულად რომ ადიოდა ზემოთ.

როცა ლიდერმა დაუძახა:

- ამოდი, მატი, - ბიჭი ნახტომებით აუყვა კიბეს მეორე სართულამდე, იმ დიდ ოთახამდე, სადაც ლიდერი ცხოვრობდა და მუშაობდა.

ის ახლაც თავის მაგიდასთან იჯდა. ქაღალდებიდან თავი აიღო და მაგის გაუღიმა.

- როგორ ითევზავეთ?

- არა უშავდა. გუშინ ოთხი თევზი დავიჭირეთ.

ლიდერმა კალამი გვერდზე გადადო და სკამის საზურგეს მიეყრდნო.

- ერთი მითხარი, მატი, შენ და შენი მეგობარი ხშირად თევზაობთ, თანაც უკვე დიდი ხანია, ანუ მას შემდეგ, რაც სოფელში პატარა ბიჭი მოხვედი. ხომ ასეა?

- ზუსტად არ მახსოვს. ამსიმაღლე ვიყავი, აქ რომ მოვედი, - მატიმ ხელი პერანგის მეორე ღილთან მიიდო.

- ექვსი წლის, - უთხრა ლიდერმა, - შენ ექვსი წლის წინ მოხვედი. და მთელი ეს ხანია, თევზაობ.

მატიმ თავი დაუქნია, თუმცა, გაფაციცდა. ჯერ მეტისმეტად ადრეა, რომ ნამდვილი სახელი მიწოდონო, გაიფიქრა. იმედია, ეს მეთევზე არ იქნებოდა! ლიდერი ამისთვის ხომ არ დაუძახებდა.

მან მატის შეხედა და სიცილი აუვარდა.

- დამშვიდდი, მატი! როცა ასე გამოიყურები, შენი აზრების წაკითხვა შემიძლია! ნუ ღელავ. მხოლოდ გკითხე.

- ჰო, თევზაობაზე მკითხე. მე ან საჭმლის საშოვნელად ვთევზაობ, ან - გასართობად. არ მინდა, ეს უფრო მეტ რამედ ვაქციო.

მატის მოსწონდა ლიდერი, რადგან მისთვის შეგეძლო გეთქვა, რაც გინდოდა და რასაც გრძნობდი.

- მესმის. მაგაზე ნუ იღელვებ. იმიტომ გკითხე, რომ საკვების მომარაგებაზე ვიფიქრო. ზოგიერთის თქმით, ახლა თევზი უწინდელზე ნაკლებია. აი, რას ვწერდი ახლა, - და მატის ფურცელი მიაწოდა ზედ სვეტებად ჩამოწერილი რიცხვებით. სიებს თავში ეწერა „ორაგული“ და „კალმახი“.

მატიმ რიცხვები წაიკითხა და შუბლი შეჭმუხნა:

- ეს შეიძლება სიმართლეა. მახსოვს, თევზი თევზზე რომ ამოდიოდა მდინარიდან. მაგრამ იცი რა, ლიდერო?

- რა? - მან ფურცელი გამოართვა და სხვა ფურცლებს დაადო.

- მაშინ პატარა ვიყავი. და შეიძლება შენ არ გახსოვს, რაკი ჩემზე უფროსი ხარ...

ლიდერმა გაიღიმა:

- მე ჯერაც ახალგაზრდა ვარ, მატი. ჩემი ბიჭობა მახსოვს.

მატის მოეჩვენა, რომ, ღიმილის მიუხედავად, ლიდერს თვალებში წამიერად სევდა გაუკრთა. მატის მსგავსად, რამდენ ადამიანს ახსენდებოდა სევდიანად თავისი ბავშვობა.

- მე ვიგულისხმე, რომ ყველა თევზი მახსოვს, და მეგონა, თევზი არასდროს გაქრებოდა. ვგრძნობდი, რომ შემეძლო, მესროლა და მესროლა ანკესი, თევზი კი არ გამოილეოდა. ახლა იმდენი აღარ არის, მაგრამ, ლიდერო...

მასპინძელი უყურებდა და ელოდა.

- საგნები უფრო მეტი ჩანს და უფრო დიდი, როცა შენ თვითონ პატარა ხარ. და მანძილიც უფრო შორი გეჩვენება. როცა ტყეში აქამდე პირველად შემოვედი, ჩემი მოგზაურობა დაუსრულებელი მეგონა.

- იქიდან, საიდანაც შენ მოხვედი, აქამდე მოღწევას დღეები სჭირდება.

- ჰო, ვიცი. ახლაც დღეები სჭირდება, მაგრამ უწინდებურად შორი აღარ მეჩვენება, რადგან უფრო დიდი ვარ. არაერთხელ მივლია წინ და უკან, გზა ვიცი და არ მეშინია. ამიტომაც მანძილი უფრო მოკლე ჩანს.

ლიდერმა ჩაიცინა:

- თევზი?

- ჰოო... - აღიარა მატიმ, – თითქოს იმდენი აღარ არის. მაგრამ იქნებ იმიტომ, რომ მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი და თევზიც გამოულეველი მეგონა.

ლიდერი კალმის ბოლოს მაგიდაზე აკაკუნებდა და ფიქრობდა.

- შეიძლება ეგრეა, - თქვა მერე, წამოდგა და ოთახის კუთხეში მიმდგარი მაგიდიდან დაკეცილი ქაღალდების დასტა აიღო.

- ბარათებია? - ჰკითხა მატიმ.

- ჰო, შეხვედრას ვაწყობ.

- თევზთან დაკავშირებით?

- არა. ნეტავ მხოლოდ თევზს ეხებოდეს. ეს საქმეს გააიოლებდა.

მატიმ გამოართვა ბარათების დასტა, რომელიც მას უნდა დაერიგებინა. სანამ კიბისკენ წასასვლელად მიბრუნდებოდა, იგრძნო, რომ უნდა ეთქვა:

- თევზი ძნელად მოდის. კარგი სატყუარა უნდა გადაუგდო და მოხერხებულ ადგილზე ითევზავო. ანკესიც ზუსტ დროს უნდა ამოსწიო, რ ომ ნემსკავიდან არ გასხლტეს. ყველა ვერ ახერხებს ამას და...

უკვე გამოსული იყო, მაგრამ ლიდერის სიცილი ისევ ესმოდა.

* * *

ლამის მთელი დღე ბარათების დარიგებაში გაატარა. ეს ძნელი არ იყო. მატის უფრო მძიმე საქმეები მოსწონდა, მაგალითად, ბარდანას საკვებით რომ დაუტვირთავდნენ, და ტყეში ხანგრძლივად სამგზავროდ უშვებდნენ. პირველი ორი წლის განმავლობაში იქით არ გაუშვიათ, მაგრამ მერე მატის განსაკუთრებით უყვარდა თავის ძველ სოფელში დაბრუნება, სადაც შეეძლო, ბავშვობის ძმაკაცებს ამაყი ღიმილით მისალმებოდა და ზემოდან დაეხედა მათთვის, ვინც წარსულში შეუბრალებლად ექცეოდა. დედა გარდაცვილილიყო, როგორც უთხრეს. ძმა ისევ იქ ცხოვრობდა და უფრო მეტი პატივისცემით უყურებდა მატის, ვიდრე წარსულში ოდესმე შეუხედავს, მაგრამ ახლა ისინი უცხოები იყვნენ ერთმანეთისთვის. თემი, რომელშიც მატი ცხოვრობდა, ძალიან შეცვლილიყო და უცხო ჩანდა, თუმცა - არც ისეთი უკმეხი, როგორიც ახსოვდა.

დღესაც იოლად ჩამოუარა სოფელს და ერთ კვირაში დანიშნული შეხვედრის უწყებები ჩამოურიგა. როცა ბარათი თვითონაც წაიკითხა, მიხვდა, რატომ ეკითხებოდა ლიდერი თევზის ამბავს და მისი ზრუნვა და წუხილიც იგრძნო.

არსებობდა უამრავი ადამიანის ხელმოწერილი თხოვნა, რომ სოფელში უცხოები არ შეეშვათ. ამასთან დაკავშირებით იქნებოდა კამათი და კენჭისყრა. ასეთი პეტიცია უწინაც დაუწერიათ.

- ერთი წლის წინ ხომ უარვყავით ეს პეტიცია, - შეახსენა ბრმამ მატის, როცა მან ბარათი წაუკითხა, - ახლა, როგორც ჩანს, ეს მოძრაობა უფრო გაძლიერდა.

- თევზი ჯერ ბევრია, - თქვა მატიმ, - მინდვრებიც სავსეა მოსავლით.

ბრმამ ბარათი დაჭმუნა და ცეცხლში შეაგდო.

- მთავარი თევზი და მარცვლეული არ არის, თუმცა, ამას, რა თქმა უნდა, გამოიყენებენ. ბოლო შეხვედრაზე საკვებით მომარაგებაზე იმსჯელეს. ეს...

- პატარა საცხოვრებელი ფართი?

- უფრო მეტი. სიტყვას ვერ ვპოულობ. ალბათ, ეგოიზმი. ნელ-ნელა გვეპარება.

მატი გაოგნებული იყო. სოფელი შეიქმნა საპირისპირო გრძნობით - უანგაროდ. ეს მატიმ თავისი გამოცდილებითაც იცოდა და მოსმენილი ამბებითაც. ეს ყველამ იცოდა.

- მაგრამ ბარათში, რომელსაც კიდევ ერთხელ წაგიკითხავდი, რომ არ დაგეწვა, წერია: „ჯგუფს, რომელსაც საზღვრის დაკეტვა სურს, ხელმძღვანელობს აღმზრდელი!“ სკოლის მასწავლებელი!

ბრმამ ამოიოხრა.

- სუპს მოურიე, რა, მატი...

ბიჭმა მორჩილად მოურია ხის ჩამჩით და თვალი გააყოლა, როგორ ითქვიფებოდა სქელ მასად ნელა მოთუხთუხე ლობიო და დაჭრილი პამიდორი. ისევ თავის მასწავლებელზე ფიქრობდა, როცა დაამატა:

- ის ეგოისტი არ არის!

- ვიცი, რომ არ არის. იმიტომაც არის ეს ამბავი გაუგებარი.

- ყველას ეპატიჟება სკოლაში, ახლებსაც კი, რომლებმაც არაფერი იციან, რიგიანად ვერც კი მეტყველებენ.

- როგორც შენ, როცა აქ მოხვედი, - უთხრა კაცმა ღიმილით, - ეს იოლი არ იქნებოდა, მაგრამ მან მაინც გასწავლა.

- ჯერ უნდა მოვერჯულებინე, - გაიკრიჭა მატი, - ველური ვიყავი, არა?

წინასწარმეტყველმა თავი დააქნია:

- ველური. მაგრამ აღმზრდელს უყვარს განათლების მიცემა მათთვის, ვისაც ეს სჭირდება.

- რატომ უნდა მოენდომებინა საზღვრის დაკეტვა?

- მატი!

- რა იყო?

- აღმზრდელს უვაჭრია ოდესმე?

მატი ჩაფიქრდა.

- ახლა არდადეგებია და იშვიათად ვხედავ, თუმცა, დროდადრო მის სახლთან ვჩერდები ხოლმე... - მატის ჯინი არ უხსენებია, დაქვრივებული მასწავლებლის ასული, - მაგრამ მის კარ-მიდამოზე განსხვავებული არაფერი შემიმჩნევია.

- არც სათამაშო მანქანა, - დაამატა ჩაცინებით.

მაგრამ ბრმას საპასუხოდ არ გაუცინია. წუთით იყუჩა, მერე კი აღელვებით წარმოთქვა:

- ეს სათამაშო მანქანაზე მნიშვნელოვანია.

5

- მასწავლებლის ასულმა მითხრა, რომ მათ ძაღლს სამი ლეკვი ჰყავს. თუ მინდა, შემიძლია, ერთი წამოვიყვანო, როცა წამოიზრდება,

- ეგ ის გოგონაა, კოცნას რომ შეგპირდა, არა? ამჯერად ლეკვსაც? შენ ადგილზე მე ლეკვს დავჯერდებოდი, - გაიღიმა ბრმამ, მიწიდან ჭარხალი ამოიღო და ბოსტნეულის კალათაში ჩადო. ერთად იყვნენ ბაღში.

- ჩემი ძაღლი მენატრება. სულაც არ მაწუხებდა, - მატიმ პატარა საფლავს გახედა ბაღის ბოლოში, სადაც ორი წლის წინ ბრანჩი დამარხეს.

- მართალი ხარ, მატი. შენი პატარა ძაღლი კარგი კომპანიონი იყო დიდი ხნის განმავლობაში. ცუდი არ იქნება ამ ბაღში ლეკვის ყოლა, - თბილად წარმოთქვა ბრმამ.

- შემიძლია ისე გავწვრთნა, რომ გატაროს.

- ეგ არ მჭირდება. შეგიძლია ისე გაწრთვნა, რომ საჭმელი აკეთოს?

- ყველაფერი, ჭარხლის გარდა, - თქვა მატიმ და დაიჭყანა, თან კალათაში მეორე ჭარხალიც ჩაუშვა.

* * *

მაგრამ იმ ნაშუადღევს, როცა მასწავლებლის სახლში მივიდა, მატის ჯინი შეცბუნებული დახვდა.

- ორი წუხელ მოკვდა, - უთხრა მან, - ავად გახდნენ. ერთი ლეკვიღა დარჩა და ისიც ავადაა და დედამისიც.

- როგორ უვლიდი?

ჯინმა მხრები უიმედოდ შეარხია:

- ისევე, როგორც მამაჩემს ან ჩემს თავს მოვუვლიდი. თეთრი ტირიფის ქერქის წვენს ვასმევდი, მაგრამ ლეკვი მეტისმეტად პატარაა და ვერ სვამს, დედა კი ძალიან ავად ჰყავს. ცოტა მოსვა და თავი ისევ ძირს დადო.

- მაჩვენებ?

ჯინმა პატარა სახლში შეიყვანა. მატის ძაღლების ნახვა უნდოდა, მაგრამ გარშემოც იყურებოდა, რაკი ახსოვდა, ბრმამ რა ჰკითხა. შეამჩნია კარგად გაწყობილი მკვრივი ავეჯი და აღმზრდელის წიგნებით სავსე კარადები. სამზარეულოში უკვე გარეთ ეწყო ქვაბები და ცომის თასები, რათა ჯინს თავისი მშვენიერი პური გამოეცხო.

მატი ვერაფერს ხედავდა ისეთს, რაც ვაჭრობაზე მიანიშნებდა. სათამაშო მანქანის მსგავსი სისულელე იქ არ ჩანდა, არაფერი იყო, რაც მოაგონებდა რბილ, ფოჩებიან, ნაჭერგადაკრულ ავეჯს, სულელმა ახალგაზრდა წყვილმა რომ შეიძინა ქუჩის ჩაყოლებაზე.

რასაკვირველია, არსებობდა სხვანაირი გაცვლაც, მატიმ ეს იცოდა, მაგრამ კარგად არ ესმოდა. ასეთ რამეებზე მხოლოდ ჩურჩული სმენოდა. ვაჭრობდნენ ისეთი რამეებით, რასაც ვერ ხედავდი და ასეთი გაცვლა ყველაზე სახიფათო იყო.

- აქ არიან, - ჯინმა სახლზე მიდგმული ფარდულის კარი გააღო სამზარეულოს უკან. მატი შევიდა და ჩაიმუხლა დედა ძაღლთან, რომელიც დაკეცილ ჩულოზე იწვა. პაწაწინა ლეკვი - უმოძრაო და მძიმედ მფეთქავი - მუცელზე მიჰკვროდა დედას, მაგრამ ჯანმრთელი რომ

ყოფილიყო, იმოძრავებდა და რძის მოლოდინში დედას დაფხოჭნიდა.

მატი იცნობდა ძაღლებს. უყვარდა ისინი. იგი თითით ნაზად შეეხო ლეკვს და გაოგნებულმა ხელი მაშინვე უკან გასწია. მტკივნეულად დაჰკრა რაღაცამ.

ელვაზე ფიქრმა გაკენწლა.

გაახსენდა, როგორ ასწავლეს ჯერ კიდევ ძველ საბინადროში, რომ ჭექა-ქუხილის დროს თავი სახლისთვის შეეფარებინა. ნანახი ჰქონდა მეხის დაცემისგან გახლეჩილ-გაშავებული ხე და იცოდა, რომ ეს ადამიანსაც შეიძლებოდა დამართოდა. ეს იყო გაელვება და დამბუგავი ძალა, რომელიც სხეულში შეგეჭრებოდა, რომ მერე მიწაში ჩასულიყო.

ფანჯრიდან უთვალთვალია დიდი ცეცხლოვანი ელვისთვის, ცას რომ ხლეჩდა და ბზარავდა, და გოგირდოვანი სუნიც უგრძნია, ასეთ დროს რომ ჩნდებოდა.

სოფელში იყო ერთი კაცი, ფერმერი. ერთხელ მინდორში იდგა თავის სახნისთან. მის ზემოთ შავი ღრუბლები გროვდებოდა, ის კი ელოდებოდა, როდის ჩაივლიდა ქარიშხალი. სწორედ იქ უპოვია ეს კაცი მეხს. მართალია, გადარჩა, მაგრამ მეხსიერება დაკარგა. ახლა მეზობლებს ფერმის საქმეებში ეხმარებოდა, მაგრამ ძალა აღარ გააჩნდა - ის ელვის იდუმალმა ენერგიამ შთანთქა.

მატის ადრეც ჰქონია ეს განცდა - მფეთქავი შეგრძნება, თითქოს მის სხეულს ელვა იპყრობდა - ტყის მდელოზე, მზიან დღეს, როცა ქარიშხლის ნიშანიც არ ჩანდა.

რამდენჯერ სცადა, გონებიდან ამოეგდო ფიქრი იმ დღეზე, როცა ეს მოხდა, რადგან ამან დააფრთხო და მის საიდუმლოსაც, რომელიც სულაც არ სჭირდებოდა, საძირკველი ჩაუყარა, მაგრამ ახლა, როდესაც ავადმყოფ ლეკვს ხელი შეახო, მიხვდა, რომ ისევ დაუდგა თავისი უნარის გამოცდის დრო.

- მამაშენი სად არის? - ჰკითხა ჯინს. არ სურდა, ვინმე შესწრებოდა.

- შეხვედრაზე იყო წასასვლელი. იმ პეტიციის ამბავი არიცი?

მატიმ თავი დაუქნია. გაუხარდა, რომ მასწავლებელი აქ არ იყო.

- არა მგონია, მართლა აწუხებდეს ეს შეხვედრა. მხოლოდ ვეტერინარის ქვრივის ნახვა უნდა. იმას ეარშიყება, - ჯინი სიყვარულით ლაპარაკობდა, - წარმოგიდგენია? არშიყობა მამაჩემის ასაკში?!

მატის უნდოდა, რომ გოგონა გასულიყო. დაფიქრდა.

- მებალახესთან უნდა წახვიდე და ფარსმანდუკი გამოართვა.

- ფარსმანდუკი ბაღში მაქვს! ზედ კართან!

სინამდვილეში ფარსმანდუკი მატის არ სჭირდებოდა, მარტო დარჩენა უნდოდა. სწრაფად აამუშავა გონება:

- პიტნა? ლიმონის ბალზამი? კატის პიტნა?

გოგონამ თავი გააქნია:

- არავითარი კატის პიტნა. ბაღში კატები რომ მომეზიდა, ჩემი ძაღლი ერთ ამბავს ატეხდა. ასე არ არის, შე საბრალოვ? - უკვე ჩურჩულით ჩაულაპარაკა მომაკვდავ ძაღლს. ხელიც გადაუსვა ზურგზე, მაგრამ ძაღლს თავი არ აუწევია. თვალებზე უკვე ბინდი ეკვროდა.

-წადი, - უთხრა მატიმ აჩქარებით, - ეს ბალახები მიშოვე.

- გგონია, ეგენი უშველის? - იჭვნეულად ჰკითხა გოგონამ, ძაღლს ხელი მოაშორა და წამოდგა, თუმცა წასვლას არ ჩქარობდა.

- წადი! - უბრძანა მატიმ.

- უხეში ტონი საჭირო არ არის, მატი, - უთხრა ჯინმა უკვე მკაცრად, თუმცა, მაინც შეტრიალდა და კაბის ფრიალით გავიდა.

მატის შორიდან მოესმა კარის მიხურვის ხმა. თავი გაიმაგრა და მტკივნეული დარტყმისთვის მოემზადა, რომელიც, იცოდა, მთელ სხეულში დაუვლიდა. მარცხენა ხელი დედა ძაღლს დაადო, მარჯვენა - ლეკვს და ჩააგონა, ეცოცხლათ.

* * *

ერთი საათის შემდეგ არაქათგამოცლილი მატი შინ შებანცალდა. აღმზრდელის სახლში დაბრუნებული ჯინი კი დედა ძაღლს აჭმევდა და მოუსვენარი ლეკვის ხტუნვა-კოტრიალზე კისკისებდა.

- ვინ წარმოიდგენდა ბალახების ასეთ კომბინაციას? აი, საკვირველება! - თქვა, თან გახარებული დაჰყურებდა გამოცოცხლებულ ცხოველებს.

- იღბლიანი მიგნება, - მატიმ უფლება მისცა ჯინს, დაეჯერებინა, რომ ეს ბალახების დამსახურება იყო.

გოგონა ისე გაიტაცა ძაღლების უეცარმა გამოცოცხლებამ, რომ ვერც კი შენიშნა, როგორი არაქათგამოცლილი იყო მატი. ფარდულის კედელს მიყრდნობილი იჯდა და უყურებდა ჯინს, რომელიც ძაღლებს ელოლიავებოდა. მხედველობა დაბინდოდა და მთელი სხეული სტკიოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, თავს ძალა დაატანა, წამოდგა და იქაურობას გაეცალა. საბედნიეროდ, სახლში არავინ დახვდა. ბრმა სადღაც გასულიყო, რამაც მატი გაახარა. წინასწარმეტყველი შენიშნავდა, რომ რაღაც ისე ვერ იყო. ამას ყოველთვის გრძნობდა. იტყოდა, სახლში ატმოსფერო შეიცვალაო. თითქოს ქარი მიმართულებას იცვლიდა, თუნდაც მატის მხოლოდ სურდო ჰქონოდა.

ეს კი სურდოზე მეტი იყო. თავის ოთახში შებანცალდა სამზარეულოს გავლით და აქოშინებული, საწოლზე მიწვა. არასოდეს უგრძნია თავი ასე სუსტად, ასე დაშრეტილად. გარდა იმ ბაყაყის შემთხვევის...

ბაყაყი უფრო პატარა იყოო, გაიფიქრა მატიმ. თუმცა, იქაც იგივე ხდებოდა.

პატარა ბაყაყს შემთხვევით წააწყდა ტყის მდელოზე. იმ დღეს იქ იმიტომ წავიდა, რომ მარტო ყოფნა უნდოდა, მოფუთფუთე სოფლისგან შორს, და ტყეში შევიდა, როგორც ხანგამოშვებით სჩვეოდა.

მოულოდნელად შიშველი ფეხი დაადგა ბაყაყს და გახევდა. „მაპატიე, თქვა მხიარულად და პატარა მეგობრის ასაყვანად დაიხარა, ხომ არაფერი გატკინე? განზე უნდა გამხტარიყავი, როცა ჩემი ფეხის ხმა გაიგონე“.

მაგრამ ბაყაყი კარგად არ იყო და ვერც ნახტომით უშველიდა თავს. მატი მაშინვე მიხვდა: ბაყაყი მის მსუბუქ ტერფს არ დაუშავებია. რომელიღაც არსებას - მატის აზრით, მელიას ან სინდიოფალას - მძიმე ჭრილობა მიეყენებინა ამ პაწია მწვანე ცხოველისთვის და ლამის მოეკლა. ცალი ფეხი უსიცოცხლოდ უქანავებდა, სხეულს მოწყვეტილი და მხოლოდ დაფლეთილ კანზე დაკიდებული.

- ვიღაცამ დაგღეჭა და გადმოგაფურთხა, - თქვა მატიმ.

მხოლოდ გულგრილი თანაგრძნობა გამოავლინა. ტყის ბინადართა მძიმე ცხოვრება და სწრაფი სიკვდილი ყოველდღიური ამბავი იყო.

- კარგი. მშვიდობიანად დაგმარხავ.

მატიმ ჩაიმუხლა, რათა ხავსიან მიწაში ხელებით ორმო ამოეთხარა, მაგრამ როდესაც პატარა სხეულის ძირს დასმა სცადა, იგრძნო, რომ უცნაურად იყო მასზე მიჯაჭვული. ხელიდან მტკივნეული ძალა ეცლებოდა, ბაყაყში გადადიოდა და მათ ერთმანეთთან აკავშირებდა.

თავგზააბნეულმა და შეშფოთებულმა მატიმ სცადა, ხელიდან ბაყაყის წებოვანი სხეული მოეცილებინა, მაგრამ ვერ შეძლო. ცოტა ხნის შემდეგ, სანამ ჯერაც საგონებელში ჩავარდნილი იმით, რაც ხდებოდა, ჩაცუცქული იჯდა, ბაყაყის სხეული შეირხა.

- მაშ, მკვდარი არ ხარ. ჰოდა, მომშორდი.

ბაყაყის ძირს დაგდება შეძლო და ტკივილიც შესუსტდა.

- ეს რა იყო? - მატი უეცრად მიხვდა, რომ ბაყაყს ელაპარაკებოდა, თითქოს ის უპასუხებდა. - მეგონა, მოკვდი, მაგრამ არ მომკვდარხარ. თუმცა, ფეხს დაკარგავ და ხტუნვის დღეებიც წარსულს ჩაჰბარდა. საწყენია.

იდგა და უძრავად მჯდომ ბაყაყს დასცქეროდა.

- ყუაყ... - გამოსცა მისმა ყელმა.

- ჰო, გეთანხმები. შენც, - მატი წასასვლელად შებრუნდა.

- ყუაყ.

ამ ბგერამ აიძულა, მობრუნებულიყო და ისევ ჩაემუხლა.

ბაყაყის ფართოდ გახელილი თვალები - სულ რამდენიმე წუთის წინ სიკვდილით დაბინდული - ახლა ნათლად და ფხიზლად შემოჰყურებდა. ბაყაყი მატის უყურებდა.

- მომისმინე. ისევ გვიმრებში უნდა ჩაგსვა. თუ ღია ადგილზე დარჩები, რამე მოვა და შეგსანსლავს. ძალიან დიდი ნაკლი გაქვს: ამიერიდან ვეღარ იხტუნავებ, ჰოდა, დამალვა უნდა ისწავლო.

მატიმ ბაყაყი აიყვანა და მაღალ გვიმრნართან მივიდა.

- დანა რომ თან მქონდეს, გადაგიჭრიდი კანის ნაფლეთებს, რაზეც ეგ ფეხი გკიდია, იქნებ უფრო სწრაფად მომჯობინებულიყავი. თუ ასე დაგრჩება, ყველგან სათრევი გაგიხდება და დაგამძიმებს. მაგრამ მე ვერაფერს გავაწყობ.

მატი დაიხარა ბაყაყის გასაშვებად, თან ისევ ფიქრობდა, კიდევ რა გავუკეთოო.

- იქნებ ბასრი ქვა ვიპოვო და იმით ჩავჭრა ეგ ხორცის ნაფლეთი. არა მგონია, გეტკინოს.

- აქ დარჩი, - უბრძანა მატიმ და ბაყაყი გვიმრების გვერდით შიშველ მიწაზე დასვა, თან გაიფიქრა: ისე ვეუბნები, თითქოს ხტუნვა შეეძლოს.

მატი ნაკადულთან დაბრუნდა და იპოვა, რაც სჭირდებოდა: პატარა ბასრპირიანი ქვა, მერე კი ისევ იმ ადგილზე დაბრუნდა, სადაც დაჭრილი ბაყაყი იჯდა გაუნძრევლად.

- ნუ გეშინია, - უთხრა მატიმ, - ახლა ცოტათი გაგშლი და ამ უსიცოცხლო ფეხს ფრთხილად მოგაჭრი. ამაზე უკეთესს ვერაფერს ვიზამთ.

მატიმ ბაყაყი ზურგზე დააწვინა და მოწყვეტილ ფეხზე შეეხო, რათა ისე დაედო, რომ იოლად და სწრაფად მოეკვეთა. სულ რამდენიმე წებოვანი ნაფლეთი იყო გასაჭრელი.

მაგრამ უეცრად მკლავში მტკივნეული ძალის მოწოლა იგრძნო, მერე კი ეს ძალა თითის წვერებში ჩაგროვდა. მატი ვერ ინძრეოდა. ბაყაყის ფეხი - თითქმის მოწყვეტილი - ხელით ეჭირა და სისხლძარღვებში თავისი სისხლის მოძრაობას გრძნობდა. პულსიც კი ესმოდა.

თავზარდაცემულს, თითქოს სამუდამოდ შეეკრა სუნთქვა. მერე კი ყველაფერი დამთავრდა. ყოყმანით მოაშორა ხელი დაშავებულ ბაყაყს.

- ყუაყ.

- ყუაყ.

- ახლა წავალ. არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ მივდივარ.

მატიმ ბასრპირიანი ქვა დააგდო და წამოდგომა სცადა, მაგრამ მუხლები უკანკალებდა, თავბრუ ეხვეოდა და გული ერეოდა. ბაყაყის

გვერდით ჩაცუცქულმა რამდენჯერმეღრმად ჩაისუნთქა, რათა ძალა მოეკრიბა და იქაურობას გასცლოდა.

- ყუაყ.

- გაჩუმდი. არ მინდა მაგის გაგონება.

თითქოს მატის ნათქვამი გაიგო, ზურგზე მწოლარე ბაყაყი გადმობრუნდა და გვიმრებისკენ დაიძრა. ჩამოკიდებულ ფეხს აღარ მიათრევდა, უკვე ორივე ფეხს ამოძრავებდა. მოუქნელად, მაგრამ ორივე ფეხს დგამდა. მერე კი მოცახცახე გვიმრებში გაუჩინარდა.

ცოტა ხნის შემდეგ მატიმ წამოდგომა შეძლო. გადაღლილმა, როგორც იქნა, ტყიდან გამოაღწია და შინისკენ წაბანცალდა.

* * *

ახლა საწოლზე იწვა და ისევ გასავათებული იყო, ოღონდ - უფრო ძლიერად... მკლავებდაწყვეტილი მომხდარზე ფიქრობდა. ბაყაყი ძალიან პატარა იყო. ამჯერად კი ორ ძაღლთან მქონდა საქმე.

უფრო დიდ სხეულებთან.

უნდა ვისწავლო ამის გაკონტროლება, - თქვა თავისთვის.

მერე კი, მოულოდნელად, ატირდა. მატი ბიჭურად ამაყობდა იმით, რომ არასოდეს ეტირა, ახლა კი ქვითინებდა და თითქოს ლოყებზე ჩამომდინარე ცრემლი წმენდდა, თითქოს მის სხეულს დაცლა სჭირდებოდა.

ბოლოს, უილაჯობისგან აცახცახებულმა თვალები შეიმშრალა, გვერდზე გადაბრუნდა და დაიძინა, არადა, ჯერ შუადღე იყო, მზე ზეციდან დაჰყურებდა სოფელს. მატის ესიზმრებოდა ბუნდოვანი, შემაძრწუნებელი, ტკივილის მომგვრელი სურათები; სხეული ძილის დროსაც დაჭიმული ჰქონდა. მერე სიზმატი შეიცვალა. კუნთები მოუდუნდა და დაწყნარდა. ამჯერად შეხორცებული ჭრილობები, ახალი ცხოვრება და სიმშვიდე ესიზმრებოდა.

6

- ახალი ვიღაცები მოდიან! ერთი ლამაზი გოგოც ურევიათ!

რამონმა მატის კი გამოსძახა, მაგრამ არ შეჩერებულა. ჩქარობდა სოფლის შემოსასვლელთან მისვლას, საიდანაც უცხო ადამიანები შემოდიოდნენ. იქ ეკიდა აბრა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“, თუმცა, როგორც აღმოაჩინეს, ბევრმა ახალმოსულმა კითხვა არ იცოდა. მატიც ასეთი იყო, როცა მოვიდა. მაშინ მისთვის არაფერს ნიშნავდა „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“.

- დავინახე, მაგრამ ვერ წავიკითხე, - უთხრა ერთხელ წინასწარმეტყველს, - შენ კი წაიკითხავდი, თუმცა ვერ დაინახავდი.

- კარგი წყვილი ვართ, არა? ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ ასე კარგად ვეგუებით ერთმანეთს, - გაიცინა კაცმა.

- შეიძლება წავიდე? უკვე თითქმის დავამთავრე.

როცა რამონმა ჩაურბინა და გამოსძახა, მატი და ბრმა ბაღს ასუფთავებდნენ - ბოლო ბარდას ძირკვავდნენ. ბარდის სეზონი დიდი ხნის წინ გავიდა. მალე ზაფხულიც გავიდოდა და მიწის ქვეშ ძირხვენების შენახვის დროც დადგებოდა.

- ჰო, რა თქმა უნდა. მეც წამოვალ. კარგ დახვედრას დიდი მნიშვნელობა აქვს.

სწრაფად გაიწმინდეს მიწიანი ხელები, ბაღიდან გამოვიდნენ, კარი გამოიხურეს და იმავე ბილიკს გაუყვნენ, რომელზეც რამონმა ჩაიქროლა. სოფლის შემოსასვლელი შორს არ იყო, ახალმოსულებიც აქ შეკრებილიყვნენ. ადრე ისინი, ძირითადად, მარტო ან წყვილებად მოდიოდნენ, ახლა კი ჯგუფებად, მთელ ოჯახებად, ხშირად - არაქათგამოცლილები, რადგან დიდი მანძილი გამოევლოთ, და შეშინებულები, რადგან ხიფათს გამოქცეოდნენ და ზურგს უკან საშინელი მოგონებები დაეტოვებინათ. თუმცა ყოველთვის იმედიანად იყვნენ და აშკარად გულზე ეშვებოდათ, როცა მასპინძლები ღიმილით ეგებებოდნენ. სოფლის მკვიდრნი მონდომებით ერთვებოდნენ ახალმოსულების მიღებაში, ბევრი ყოველდღიურ სამუშაოს თავს ანებებდა და აქეთ მოეშურებოდა.

ზოგჯერ ახლები დაშავებულებიც იყვნენ. კოჭლობდნენ და ჯოხს იშველიებდნენ; მათ შორის ხშირად ავადმყოფებიც ერივნენ. ზოგი

ჭრილობებს დაემახინჯებინა, ზოგიც ასეთად დაბადებულიყო. ობოლიც ბევრი ერიათ, თუმცა, აქაურები ყველას კარგად ხვდებოდნენ.

მატი სოფლელების ნახევარწრეს შეუერთდა და ახალმოსულებს გამამხნევებლად გაუღიმა. დამხვდურები სათითაოდ იგებდნენ მათ სახელებს და უნიშნავდნენ დამხმარეებს, რომლებიც თავ-თავიანთ საბინადროებში წაიყვანდნენ და დაბინავებაში დაეხმარებოდნენ. მატის მოეჩვენა, რომ დაინახა გოგონა, რომელიც რამონმა ახსენა: დაახლოებით მათი ასაკის - გამხდარი, თუმცა მშვენიერი არსება. სახე დაუბანელი ჰქონდა, თმა დაუვარცხნელი. თავისზე პატარა ბავშვისთვის ხელი ჩაეკიდა. პატარას თვალები ყვითელი ლორწოთი ამოვსებოდა. ეს დაავადება ბევრ ახალმოსულს ჰქონდა და სწრაფად იკურნებოდა ბალახების ნაყენით. მატიმ შენიშნა, რომ გოგონა ბავშვზე წუხდა და სცადა, მისთვის თანაგრძნობით გაეღიმა.

ამჯერად ჩვეულებრივზე მეტი ადამიანი მოვიდა.

- დიდი ჯგუფია, - ჩაუჩურჩულა მატიმ ბრმას.

- ჰო, ვხვდები, რომ ეგრეა. მაინტერესებს, უკვე მივიდა თუ არა მათ ყურამდე ხმა, რომ ჩვენ შეიძლება საზღვარი ჩავკეტოთ.

უეცრად ორივეს რაღაც მოესმა და შეტრიალდნენ. კეთილგანწყობილ დამხვდურებს და დაბინავების პროცესში გართულ ახალმოსულებს პატარა ჯგუფი მოუახლოვდა, აღმზრდელის წინამძღოლობით. ყველანი ერთხმად მღეროდნენ: „დაიხურე, დაიხურე. საკმარისია. მეტი აღარ“.

მიმღებთა ჯგუფმა არ იცოდა, რა ექნა. ისინი ისევ უღიმოდნენ ახალმოსულებს და ხელს უწვდიდნენ, მაგრამ სიმღერა ყველას აცბუნებდა.

ბოლოს, ამ საყოველთაო დაბნეულობაში, ლიდერი გამოჩნდა. ეტყობოდა, ვიღაცამ დაუძახა. ხალხი მის შემოსაშვებად გაიპო, მომღერლები გაჩუმდნენ.

როგორც ყოველთვის, ლიდერი ახლაც მშვიდად ლაპარაკობდა. ჯერ ახალმოსულებს მიმართა - ყველას მიესალმა. ჩვეულებრივ, ამას მოგვიანებით აკეთებდა ხოლმე, მას შემდეგ, რაც მათ დააპურებდნენ

და დააბინავებდნენ, მაგრამ ამჯერად აღარ ალოდინა და მოკლედ გაამხნევა:

- ერთ დროს ჩვენ, ყველანი, ახლები ვიყავით, - თქვა ღიმილით, - გარდა იმ ახალგაზრდებისა, რომლებიც აქ დაიბადნენ. ვიცით, რა გამოიარეთ, მაგრამ თქვენ აღარ მოგშივდებათ. აღარ იცხოვრებთ უსამართლობაში. აღარ იქნებით დევნილები. ჩვენთვის პატივია თქვენი მასპინძლობა. კეთილი იყოს თქვენი მოსვლა ახალ სამშობლოში. კეთილი იყოს თქვენი მოსვლა სოფელში.

შემდეგ დამხვდურთა ჯგუფს მიუბრუნდა და უთხრა:

- მიღების რიტუალი მოგვიანებით გააგრძელეთ. დაღლილები არიან. წაიყვანეთ, დააბინავეთ. დაიბანონ, დანაყრდნენ და დაისვენონ.

დამხვდურები გარს შემოერტყნენ მოსულებს და წაიყვანეს.

ლიდერი დარჩენილებს მიუბრუნდა:

- მადლობა თქვენ, ვინც მისასალმებლად მოხვედით. ეს ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი საქმეა. თქვენ კი, ვინც ამას აპროტესტებთ, რას ითხოვთ? აღმზრდელო, რა გსურთ თქვენ და დანარჩენებს? - ლიდერმა განსხვავებულად მოაზროვნეთა პატარა ჯგუფს შეხედა, - თქვენ, როგორც იცით, გაქვთ ამის უფლება. განსხვავებულად აზროვნების უფლება ჩვენი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია, მაგრამ ოთხ დღეში შეხვედრა გაიმართება, ამიტომ ჯობს, ახალმოსულების - ვინც ახლა მოვიდა და დაქანცული და თავგზააბნეულია - აფორიაქებისა და დაფრთხობის ნაცვლად, დავიცადოთ, რას გადაწყვეტს შეხვედრა. თქვენც კი, ვისაც ახალმოსულთათვის სოფლის საზღვრის ჩაკეტვა გსურთ, აფასებთ ჩვენში გამეფებულ მშვიდობასა და სიკეთეს. აღმზრდელო, როგორც ჩანს, შენ ხელმძღვანელობ ამ მოძრაობას. რას გვეტყვი?

ბევრი თავი მიბრუნდა აღმზრდელისკენ - ის ხომ ასეთი ახლობელი იყო ლიდერისთვის. აღმზრდელი ჩაფიქრებული იდგა. მატი მიჩვეული იყო ასეთი მასწავლებლის ყურებას, რადგან ის კლასში ასე ხშირად იქცეოდა. მუდამ დიდხანს ფიქრობდა თითოეულ საკითხზე,

ყველაზე ნორჩი მოწაფის დასმულ ყველაზე ბრიყვულ შეკითხვაზეც კი.

უცნაურია, - ფიქრობდა მატი. ტყირპი აღმზრდელის სახეზე ახლა უფრო ღია ფერისა ჩანდა. ჩვეულებრივ, ის მუქი წითელი იყო, ახლა კი მხოლოდ ვარდისფერი ჩანდა, თითქოს ქრებოდა. არადა, ზაფხულის მიწურული იდგა. ჩემი კანივით, აღმზრდელის კანიც, ალბათ, მზემ გარუჯა და ამიტომ ტყირპი კარგად აღარ ჩანსო, დაასკვნა მატიმ.

მაინც შეცბუნებული ჩანდა. დღეს აღმზრდელი კიდევ რაღაცით იყო შეცვლილი, მაგრამ ვერ იტყოდა, რით. ცოტათი უფრო მაღალი ხომ არ ჩანდა? ასე რომ იყოს, უცნაური იქნებოდაო, ფიქრობდა. მაგრამ მასწავლებელი ყოველთვის ოდნავ წელში მოხრილი და მხრებდაშვებული დადიოდა. ხალხი ამბობდა, საყვარელი ცოლის სიკვდილმა დააბერაო. მაშინ ჯინი სულ პატარა გოგონა იყო. ამ კაცისთვის მწუხარებას მართლაც თავისი დაღი დაესვა.

დღეს კი აღმზრდელი წელგამართული და მხრებგაშლილი იდგა. ამიტომაც ჩანს უფრო მაღალი, თუმცა არ არისო, შვებით დაასკვნა მატიმ. ეს მხოლოდ განსხვავებულად დგომა იყო.

- ჰო, - უთხრა აღმზრდელმა ლიდერს, - ვნახოთ, რას გადაწყვეტს შეხვედრა.

მატიმ შენიშნა: მისი ხმა სხვანაირად ჟღერდა. ისიც შენიშნა, რომ ლიდერმაც შეატყო აღმზრდელს რაღაც ცვლილება და შეფიქრიანებული ჩანდა. თუმცა თავშეყრილი ხალხი მალე დაიშალა, ადამიანები თავიანთ ყოველდღიურ საქმეებს დაუბრუნდნენ. მატი გაიქცა, რომ დასწეოდა ბრმას, რომელიც უკვე მიუყვებოდა ნაცნობ ბილიკს შინისკენ.

ზურგს უკან გაიგონა, როგორ გამოაცხადა ვიღაცამ: „არ დაგავიწყდეთ: ხვალ გაცვლის ღამეა!“

გაცვლა. სხვა რამეების გადამკიდეს, რამაც სრულიად შთანთქა მისი ფიქრები ბოლო დროს, მატის გაცვლა თითქმის აღარ ახსოვდა.

ახლა კი გადაწყვიტა, ეს პროცესი ენახა.

* * *

გაცვლა უძველესი ტრადიცია იყო. არავის ახსოვდა მისი დასაბამი. ბრმამ, მისივე თქმით, აქ მოსვლისთანავე შეიტყო ამ ჩვეულების შესახებ, ჯერ ისევ დაჭრილმა და დაუძლურებულმა. საავადმყოფოში იწვა დაშავებული, უსინათლო. მეხსიერება ნელ-ნელა უბრუნდებოდა და ყურმოკვრით უსმენდა მასზე მზრუნველი ადამიანების საუბარს.

- ბოლო გაცვლაზე იყავი? - გაიგონა, როგორ ჰკითხა ერთმა მეორეს.

- არა. არაფერი მაქვს გასაცვლელი. შენ?

- წავედი და ვუყურე. სისულელედ მომეჩვენა ყველაფერი.

მაშინ ბრმამ გონებიდან ამოიგდო ამაზე ფიქრი. არც მას ებადა რამე გასაცვლელი. არაფერი გააჩნდა. დაფლეთილი, სისხლით დალაქული სამოსი გახადეს და სხვა ჩააცვეს. ყელზე ჩამობმულ ძაფზე ეკიდა ამულეტი, რომლის ძალას გრძნობდა, თუმცა ვერ იხსენებდა, საიდან ჰქონდა. რასაკვირველია, ამულეტს სამშვენისში არ გაცვლიდა. წარსულიდან სხვა არაფერი შემორჩენოდა.

ეს ყველაფერი ბრმამ მატის უამბო.

- მოგვიანებით მხოლოდ საყურებლად წავედი, - უთხრა ბიჭს.

მატიმ გაიცინა - მაშინ უკვე ახლოს იყვნენ ერთმანეთთან და ბიჭს შეეძლო, ეს გაებედა.

- საყურებლად? - შეჰყივლა მან.

საპასუხოდ კაცმაც გაიცინა:

- მე ჩემებურად ვუყურებ ხოლმე.

- ჰო, ვიცი. ამიტომაც გიწოდებენ წინასწარმეტყველს. შენ ბევრ ადამიანზე მეტს ხედავ. ყველას შეუძლია, გაცვლას დაესწროს?

- რასაკვირველია. საიდუმლო არაფერია. მაგრამ ბრიყვული სანახავი კი იყო, მატი. ადამიანები იდგნენ და გაჰყვიროდნენ, რისი გაცვლა უნდოდათ. ქალებს ახალი სამაჯურები უნდოდათ, ძველებს კი ყიდდნენ. აი, ასეთი რამეები ხდება იქ.

- აჰ, ესე იგი, ბაზრობის დღეს ჰგავს.

- მეც ეგრე წარმოვიდგინე. მეორედ აღარ წავსულვარ.

ახლა, როცა ამ თემაზე ახალი ხალხის მოსვლის საღამოს ლაპარაკობდნენ, ბრმამ წუხილით თქვა:

- რაღაცები შეიცვალა, მატი. როცა მესმის, როგორ ლაპარაკობენ ამაზე, ვგრძნობ, რაღაც არასწორად ხდება.

- როგორ ლაპარაკობენ?

ბრმა იჯდა და თავისი საკრავი კალთაში ედო. ერთი აკორდი აიღო და შუბლი შეჭმუხნა:

- ზუსტად არ ვიცი. რაღაც საიდუმლო ხდება.

- გამბედაობა მოვიკრიბე და რამონს ვკითხე, რა გაიღეს მისმა მშობლებმა სათამაშო მანქანის ნაცვლად. არ იცოდა. არ მეტყვიანო, თქვა. როცა უკითხავს, დედამისს ზურგი შეუქცევია, თითქოს რაღაცას უმალავდა.

- არ მომწონს ამის ბგერა, - თქვა ბრმამ და კიდევ ორი აკორდი აიღო.

- შენივე მუსიკის ბგერა? - სიცილით ჰკითხა მატიმ. ცდილობდა, მძიმე საუბარი შეემსუბუქებინა.

- რაღაც ხდება გაცვლაზე, - თქვა წინასწარმეტყველმა, რომელსაც ყურადღება არ მიუქცევია მატის მცდელობისთვის.

- ლიდერმაც ასე თქვა.

- იმას ეცოდინება. შენს ადგილზე, მე ფრთხილად ვიქნებოდი, მატი.

მომდევნო საღამოს, სანამ ისინი ვახშამს ამზადებდნენ, მატიმ ბრმას უთხრა, გაცვლაზე წასვლას ვაპირებო.

- ვიცი, რომ მეტისმეტად პატარა გგონივარ, წინასწარმეტყველო, მაგრამ მე პატარა აღარ ვარ. რამონიც მიდის. შეიძლება საჭიროც კია, რომ დავესწრო. იქნებ გავიგო, იქ რა ხდება.

წინასწარმეტყველმა ამოიოხრა და თავი დააქნია.

- ერთ რამეს შემპირდი, - უთხრა მატის.

- გპირდები.

- შენ თვითონ არ ივაჭრო. მხოლოდ უყურე და მოუსმინე, მაგრამ ნუ ივაჭრებ, თუნდაც ცდუნება მოგეძალოს.

- გპირდები, - თქვა მატიმ და გაიცინა, - როგორ ვივაჭრებ, აბა? არაფერი მაქვს. რა უნდა მიმეცა სათამაშო მანქანაში? ლეკვი, რომელიც ისეთი ჩვილია, ჯერ დედასაც ვერ მოსწყვეტენ? ამას ვინ მოინდომებდა?

ბრმამ ამოურია ქათამს, რომელიც ნელა თუხთუხებდა საკუთარ ბულიონში.

- ეჰ, მატი, შენ უფრო მეტი გაქვს, ვიდრე გგონია. და ადამიანებს მოუნდებათ ის, რაც შენ გაქვს.

მატი ჩაფიქრდა. წინასწარმეტყველი მართალი იყო. რა თქმა უნდა. მატის ჰქონდა რაღაც, რაც აწუხებდა. ძალაო, გაიფიქრა. და შეიძლებოდა გამოჩენილიყვნენ ისეთები, ვინც ამ ძალას ისურვებდა. იქნებ მატის უნდა ეპოვა მისგან გათავისუფლების გზა? ამ აზრმა ააფორიაქა და სცადა სხვა, თავშესაქცევ საგნებზე ეფიქრა.

მატის ანკესი ჰქონდა, მაგრამ ეს ნივთი სჭირდებოდა და უყვარდა. გარდა ამისა, თავის სხვენში საჰაერო გველიც ეგულებოდა და იქნებ ერთხელაც ის უკეთეს საჰაერო გველში გაეცვალა.

მაგრამ არა ამაღამ. ამაღამ მხოლოდ დააკვირდება. სწორედ ამას შეჰპირდა ბრმას.

7

ადრიანი საღამო იდგა, ახალი ნავახშმევი, და მატიც, სხვების კვალდაკვალ, ორღობეში მიიჩქაროდა გაცვლის ადგილისკენ. ჩავლისას მეზობლებს თავი დაუკრა, მოშორებით მდგარ სხვა ნაცნობებს კი ხელი დაუქნია. საპასუხოდ, ადამიანებიც თავს უკრავდნენ ან ხელს უქნევდნენ, თუმცა ამჯერად არავინ არავის ეხუმრებოდა გულკეთილად, როგორც სოფელში სჩვეოდათ. იგრძნობოდა დაძაბული ყურადღება, უცნაური სერიოზულობა და სოფლისთვის უჩვეულო მღელვარება.

გასაკვირი არ არის, რომ წინასწარმეტყველს ჩემი აქ ყოფნა არ უნდოდა, - ფიქრობდა მატი, როცა იმ ადგილს უახლოვდებოდა, - იგრძნობა, რომ რაღაც ისე ვერ არის.

ხმაური ესმოდა - ადამიანები ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ. ეს დღე სრულებით არ ჰგავდა ბაზრობის დღეს თავისი სიცილ-ხარხარით, საუბრითა და საბაზრო გარიგებებით: გულმართალი შევაჭრებებით, გოჭების ჭყვიტინით, თავიანთი წიწილების გვერდით ქათმების დედობრივი კრიახით. ამ საღამოს ადამიანები მხოლოდ ხმადაბლა დუდუნებდნენ და ნერვიულად ჩურჩულებდნენ.

მატი შეძვრა იმ ჯგუფში, რომელიც ყველაზე ახლოს შეკრებილიყო ბაქანთან - ხის მარტივ სტრუქტურასთან, რომელიც ჰგავდა სცენას, ხშირად რომ იყენებდნენ თავყრილობების დროს. აქვე ჩატარდებოდა შეხვედრა, რომელზეც განიხილებოდა სოფლის ჩაკეტვის მოთხოვნა. ლიდერი ამ სცენაზე იდგებოდა, რათა შეხვედრა წარემართა და წესრიგი დაეცვა.

წვიმისგან აქაურობას ხის დიდი სახურავი იცავდა, ცივ თვეებში კი გვერდებსაც უკეთებდნენ. თუმცა ამაღამ, ჯერაც თბილ ამინდში, ეს საჭირო არ იყო. ნიავი მატის თმას უჩეჩდა, ნესტოები კი იქვე ამოყრილი ფიჭვის ტევრის სურნელით ევსებოდა.

მატიმ იპოვა ადგილი აღმზრდელის გვერდით იმ იმედით, რომ შეიძლებოდა, ჯინი მამასთან მოსულიყო. თუმცა, ჯერჯერობით არ ჩანდა. აღმზრდელმა მატის დახედა და გაუღიმა.

- მატი! რა მოულოდნელია შენი აქ დანახვა! უწინ არასოდეს ყოფილხარ.

- არა. არაფერი მაქვს გასაცვლელი.

მასწავლებელმა თბილად დაადო ხელი მხარზე და მატიმ იგრძნო, რომ მას წონა დაჰკარგოდა.

- აჰ, გაგიკვირდება, - უთხრა აღმზრდელმა, - მაგრამ ყველას აქვს რაღაც გასაცვლელი.

- ჯინს თავისი ყვავილები აქვს, - თქვა მატიმ: იმედი ჰქონდა, საუბარი აღმზრდელის ქალიშვილზე გადაინაცვლებსო, - მაგრამ ყვავილები ბაზარში მიაქვს, გაცვლა აღარ სჭირდება. თანაც, ლეკვს შემპირდა და, აჯობებს, არაფერში გაცვალოს.

აღმზრდელს გაეცინა:

- არა, მატი, ლეკვი შენია. რაც მალე წაიყვან, მით უკეთესი. ძალიან ცელქია. ამ დილით ფეხსაცმელი დამიღეჭა.

ჯერჯერობით ყველაფერი უწინდებური ჩანდა: ეს კაცი თბილი და ხალისიანი იყო, ისეთივე მოსიყვარულე პედაგოგი და მამა, როგორიც ამ წლების განმავლობაში და მატის მხარზე მისი ხელიც - ასეთი ახლობელი.

მაგრამ უეცრად ბიჭმა იგრძნო, რომ აინტერესებდა, რატომ იყო აღმზრდელი აქ. ან რისთვის მოსულიყო ამდენი ხალხი ამ ადგილას. არც ერთს არ ჰქონდა თან რამე ისეთი, რითიც ივაჭრებდა. მატიმ მზერა მოატარა იმაში დასარწმუნებლად, რაც შენიშნა. ადამიანები დაძაბულები იდგნენ, გულხელდაკრეფილები ან მკლავებჩამოშვებულები. ზოგიერთები ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ. მატიმ შენიშნა ახალგაზრდა წყვილი - მათი მეზობლები იმავე ქუჩის ჩაყოლებაზე, სადაც ის და ბრმა წინასწარმეტყველი ცხოვრობდნენ. წყვილი ხმადაბლა საუბრობდა, შეიძლება კამათობდა კიდეც. ახალგაზრდა ცოლი აღელვებული ჩანდა ქმრის ნათქვამით. თუმცა ხელები - მატის, აღმზრდელის და სხვების მსგავსად - ცარიელი ჰქონდათ. არავის არაფერი ეჭირა გასაცვლელად.

ყველა გაჩუმდა და ჯგუფი ორად გაიყო, რათა გზა მიეცა მაღალი, შავგვრემანი კაცისთვის, რომელიც დიდი ნაბიჯებით უახლოვდებოდა ბაქანს. ეს ტრედმასტერი იყო. ამბობდნენ, რომ ის - უკვე სახელდარქმეული - წლების წინ მოსულა აქ და თავისი ძველი სამყოფლიდან სავაჭრო ცოდნა მოუტანია. მატის ხშირად უნახავს იგი სოფლის ახლომახლო და იცოდა, რომ ის პასუხს აგებდა გაცვლაზე, მერე კი შედეგებს ამოწმებდა - ჩერდებოდა სახლებთან, რომელთა პატრონებმა რაღაც გაცვალეს. რამონთანაც მივიდა მას შემდეგ, რაც მისმა მშობლებმა სათამაშო მანქანა შეიძინეს. ამ საღამოს რამონს არაფერი ეჭირა, გარდა სქელი წიგნისა, რომელიც მატის აქამდე არასოდეს უნახავს.

აღმზრდელის ხელი მატის მხარს მოშორდა და მისი ყურადღება მიეჯაჭვა სცენას, რომელზეც ტრედმასტერი იდგა.

- გაცვლა იწყება, - დაიძახა ტრედმასტერმა, რომლის მაღალ ხმას მსუბუქი აქცენტი დაჰკრავდა. ასეთი აქცენტი - წარსული ცხოვრებიდან გამოყოლილი - ბევრს ჰქონდა სოფელში. ხალხი გაისუსა, ჩურჩულიც კი აღარ ისმოდა. თუმცა საიდანღაც ქალის ქვითინი მოისმა. მატი ფეხისწვერებზე შედგა და ძლივს მოასწრო თვალის შევლება, რომ ის ქალი რამდენიმე ადამიანს გაჰყავდა.

აღმზრდელს მოქვითინე ქალისკენ არც კი გაუხედავს. მატი მას უყურებდა და უცებ სახეზე რაღაც ცვლილება შენიშნა, თუმცა ვერ იტყოდა - რა. ირგვლივეთი საღამოს ბინდში ჩაძირულიყო,

ჩვეულებრივ მშვიდი მასწავლებელი ახლა დაძაბული და გაფაციცებული იყო, თითქოს რაღაცას ელოდა.

- ვინ არის პირველი? - დაიძახა ტრედმასტერმა. მატი ისევ აღმზრდელს უყურებდა, რომელმაც ხელი ასწია და გაშმაგებით დაიქნია იმ მოსწავლესავით, ჯილდოს რომ ელოდება.

- მე! მე! - დაიძახა ჭირვეული ხმით და უკეთ გამოსაჩენად მატის წინ მდგომი ადამიანები მისწი-მოსწია.

* * *

იმ ღამეს, მოგვიანებით, ბრმა დამთავრებულ ვაჭრობაზე მატის მონათხრობს შეფიქრიანებული სახით უსმენდა.

- პირველი აღმზრდელი იყო, ისე სწრაფად ასწია ხელი. სულ დავავიწყდი, წინასწარმეტყველო. მანამდე ჩემ გვერდით იდგა და ვსაუბრობდით, როგორც ყოველთვის, მერე კი, როცა დაიწყეს, მე თითქოს აღარც ვარსებობდი. მან ყველას დაასწრო და პირველი გავიდა.

- პირველი გავიდაო? სად გავიდა?

- ბაქანთან. ყველა მისწი-მოსწია, ბიძგებით და მუჯლუგუნებით გაიკვალა გზა, წინასწარმეტყველო. ძალიან უცნაური იყო. როდესაც ტრედმასტერმა მისი სახელი დაიძახა, ბაქანთან მივიდა,

ბრმა სავარძელში წინ და უკან ირწეოდა. ამ საღამოს არ დაუკრავს და მატიმ იცოდა, რომ ის იტანჯებოდა.

- ადრე სხვანაირად იყო. მე რომ ვიყავი, ადამიანების შეძახილები, სიცილი და ხუმრობა ისმოდა.

- არავითარი სიცილი, წინასწარმეტყველო. მხოლოდ დუმილი, თითქოს ადამიანები ძალიან ღელავდნენ. ცოტათი შემზარავიც კი იყო.

- რა მოხდა, როცა აღმზრდელი ბაქანთან მივიდა?

მატი ჩაფიქრდა. ამდენ ხალხში ამის დანახვა, ცოტა არ იყოს, გაუჭირდა.

- მხოლოდ იდგა. მერე ტრედმასტერმა რაღაც ჰკითხა, თუმცა, თითქოს პასუხი წინასწარ იცოდა. ყველას ჩაეცინა, თითქოს იმათაც იცოდნენ, რას უპასუხებდა, ოღონდ ეს იყო არა თავშექცევის, არამედ ცოდნის სიცილი.

- გაიგონე, რა ჰკითხა?

- თავიდან ვერ გავიგონე, მაგრამ მაინც ვიცი, რადგან მერე ყველას ამას ეკითხებოდა - სამად სამ სიტყვას: რა გინდა, მიიღო?

- პასუხითაც ყველა ერთნაირად პასუხობდა?

არაო, თავი გააქნია მატიმ. მერე გაახსენდა, რომ ხმამაღლა უნდა ეპასუხა.

- აღმზრდელის პასუხი თუ გაიგონე?

- კი. სწორედ ამ პასუხმა გააცინა ყველა ასე უცნაურად. აღმზრდელმა თქვა: „იგივე, რაც უწინ“.

ბრმამ შუბლი შეჭმუხნა:

- მიხვდი, რას ნიშნავდა ეს?

- მე მგონი, რადგან ყველა უყურებდა ვეტერინარის ქვრივს, რომელიც მაშინვე გაწითლდა. ჩემთან ახლოს იდგა და ვხედავდი. მისმა მეგობრებმა აქეთ-იქიდან უბიძგეს, მან კი თქვა: „მას რამდენიმე გაცვლა დარჩა“.

- მერე რა მოხდა?

მატი შეეცადა, თანამიმდევრობა გაეხსენებინა:

- ტრედმასტერი თითქოს დათანხმდა, ყოველ შემთხვევაში, თავი დაუქნია. მერე თავისი წიგნი გადაშალა და ეს შიგ ჩაწერა.

- მინდა, ვნახო ეგ წიგნი, - თქვა ბრმა კაცმა, მერე კი საკუთარ თავზე გაეცინა და დასძინა: - ან შენ ნახე და წამიკითხე. მერე რა მოხდა?

- აღმზრდელი იქ იდგა. დამშვიდებული იყო, რომ ტრედმასტერმა მისთვის რაღაც ჩაწერა.

- ეგ საიდან იცი?

- იღიმებოდა და დამშვიდებული ჩანდა.

- მერე?

- მერე ყველამ ხმა გაკმინდა და ტრედმასტერმა იკითხა: „რა უნდა, გაიღო?“

ბრმა ჩაფიქრდა.

- ისევ სამი სიტყვა. ყველას მაგას ეუბნებოდა? „რა გინდა, მიიღო“? და მერე: „რა უნდა გაიღო“?

- ჰო. თუმცა პირველ შეკითხვას ყველა ხმამაღლა პასუხობდა, როგორც აღმზრდელი, მეორეს კი - ჩურჩულით, ისე, რომ ვერავის გაეგონა.

- მაშ, საჯაროდ გაცხადდა, რას გაიღებდნენ...

- ჰო. და ზოგჯერ ხალხი ზიზღით შეჰყვირებდა ხოლმე. დასცინოდნენ. ვგონებ, ეს შესაფერისი სიტყვაა.

- და ისიც თითოეულის ნათქვამს იწერდა?

- არა. როცა რამონის დედა სცენაზე ავიდა და ტრედმასტერმა ჰკითხა, რა გინდა, მიიღოო, მან უპასუხა: „ბეწვის ქურთუკი“, მაგრამ ტრედმასტერმა უარი უთხრა.

- და აუხსნა კიდეც უარის მიზეზი?

- თქვენ უკვე შეიძინეთ სათამაშო მანქანაო, თქვა. იქნებ სხვა დროს იყოსო. კიდევ სცადეთო, უთხრა.

ბრმა მოუსვენრად შეირხა სკამზე.

- ჩაის ხომ არ მოამზადებდი, მატი?

ბიჭი დაემორჩილა, მივიდა შეშის ღუმელთან, რომელზეც უკვე შიშინებდა რკინის ჩაიდანი. მდუღარე წყალი დაასხა ორ სქელ ტოლჩაში ჩაყრილ ჩაის ფოთლებს და ერთი ბრმას გაუწოდა.

- კიდევ ერთხელ მიამბე მეორე სამსიტყვეულის შესახებ, - უთხრა ბრმამ ჩაის მოსმის შემდეგ.

მატიმ გაიმეორა:

- რა უნდა გაიღო? - სცადა ხმამაღლა და მკაფიოდ ეთქვა ეს, როგორც ტრედმასტერი ამბობდა. აქცენტის მიბაძვაც სცადა.

- მაგრამ ვერც ერთ პასუხს ვერ გაიგონებდი, არა?

- ვერა. ისინი ჩურჩულებდნენ, ტრედმასტერი კი ამ ჩურჩულებს თავის წიგნში იწერდა.

მოულოდნელად მატის რაღაც აზრი მოუვიდა და წელში გაიმართა.

- რა მოხდება, მე რომ ის წიგნი მოვიპარო და გითხრა, რა წერია შიგ?

- მატი, მატი...

- მაპატიე, - მოუბოდიშა მაშინვე. ქურდობას იმხელა ადგილი ეჭირა მის წარსულში, რომ ზოგჯერ ახლაც, ამდენი წლის შემდეგ, ავიწყდებოდა, რომ ეს სოფლისთვის მიუღებელი იყო.

- ჰოო, - ერთხანს ჩაის სიჩუმეში წრუპავდნენ, მერე კი ბრმამ ხმა ამოიღო, - მინდა, ვიცოდე, რას ყიდიან ადამიანები. შენ ამბობ, ხელცარიელები მოვიდნენო. თუმცა, თითოეული ჩურჩულით აწერინებდა რაღაცას.

- რამონის დედის გარდა, - შეახსენა მატიმ, - ტრედმასტერმა უარი უთხრა. დანარჩენებმა მიიღეს თავ-თავისი. აღმზრდელმაც.

- თუმცა არ ვიცი, რა.

- არა. „იგივე, რაც უწინ“. მან ასე ითხოვა.

- მითხარი, მატი, როცა აღმზრდელი წავიდა, გაცემული არაფერი ჰქონდა, არა? მანამდე ხელში არაფერი ეჭირა?

- არა, არაფერი.

- ვინმემ თუ მიიღო რამე თან წასაღებად?

- ზოგიერთს უთხრეს, როდის მიიღებდა თავისას. ვიღაცამ სათამაშო მანქანა მიიღო, - უთხრა მატიმ. მერე კი დაამატა, თუმცა, იცოდა, ტყუილად ირჯებოდა: - მეც კი მინდოდა სათამაშო მანქანა, წინასწარმეტყველო.

მაგრამ ბრმას ყურადღება არ მიუქცევია.

- კიდევ ერთი შეკითხვა, მატი. კარგად დაფიქრდი.

- კარგი, - მატი კარგად დასაფიქრებლად მოემზადა.

- სცადე. გაიხსენო, სხვანაირად გამოიყურებოდნენ თუ არა ადამიანები, როცა ყველაფერი დამთავრდა. არა ყველა, არამედ ისინი, ვინც რაღაც გაცვალა.

მატიმ ამოიოხრა. იქ ბევრი ხალხი იყო, გაცვლა დიდხანს გაგრძელდა, ბოლოს დაიქანცა და რამონი რომ დაინახა, ხელი დაუქნია, მაგრამ ის ტრედმასტერის უარით გულმოსულ დედასთან იდგა და ხელის დაქნევითვე არ უპასუხია.

ჯინს დაუწყო ძებნა, მაგრამ გოგონა იქ არ იყო.

- არ მახსოვს. ბოლოს ყურადღებას აღარ ვაქცევდი.

- შენ მითხარი, რომ ვიღაცამ სათამაშო მანქანა მიიღო. ვინ?

- იმ ქალმა, ბაზრის მოედანთან რომ ცხოვრობს. იცნობ? მისი ქმატი წელში მოხრილი დადის. ეს კაციც იქ იყო, მაგრამ გაცვლებში არ ჩარეულა.

- ჰო, ვიცი, ვის გულისხმობ. კარგი ოჯახია, - თქვა ბრმამ, მაშ, იმ ქალს სათამაშო მანქანა უნდოდა. წასვლისას ხომ არ დაგინახავს?

- მგონი, დავინახე. სხვა ქალებთან ერთად იყო და სიცილ-კისკისით ბრუნდებოდნენ შინ.

- შენ თქვი, ქმართან ერთად იყოო.

- ჰო, მაგრამ ის კაცი მათ უკან მიაბიჯებდა.

- როგორ გამოიყურებოდა ის ქალი?

- ბედნიერი იყო, სათამაშო მანქანა რომ მიიღო. თავის მეგობრებს ეუბნებოდა, შეგიძლიათ მოხვიდეთ და ითამაშოთო.

- კიდევ? კიდევ რამე გახსოვს? იმ ქალის ვაჭრობამდე კი არა, ვაჭრობის შემდეგ...

მატიმ მხრები აიჩეჩა. უკვე მოჰბეზრდა ეს დაკითხვა. ახლა ჯინზე ფიქრობდა, შეეძლო დილით ენახა. იქნებ ლეკვიც მზად იყო წამოსაყვანად. სხვა რომ არაფერი, ეს მაინც იქნებოდა მისი მისვლის გამართლება. ახლა ლეკვი - დიდფეხა და დიდყურა - ჯანმრთელი იყო და სწრაფად იზრდებოდა. ამ ცოტა ხნის წინ მატიმ ბევრი იცინა: დაინახა, როგორ შეუღრინა დედა ძაღლმა, როცა პატარა თამაშ-თამაშით კბენდა ყურებზე.

ლეკვის ქცევაზე ფიქრმა მატის რაღაც გაახსენა.

- რაღაც განსხვავებულიც იყო, - თქვა მან, - ის კარგი ქალია, აი, ის, ვინც სათამაშო მანქანა მიიღო.

- ჰო, მართლაც. ნაზია, მხიარული, მეუღლის მოყვარული. –

- ჰოდა... - თქვა მატიმ ნელა, - წასვლისას, როცა სხვა ქალებთან ერთად მიაბიჯებდა და ლაპარაკობდა, უკან კი ქმატი მიჰყვებოდა და ცდილობდა, არ ჩამორჩენოდა, ქალი უცბად შემოტრიალდა და გათათხა, რა ნელა მოდიხარო.

- ნელა? მაგრამ ის ხომ ხეიბარია და სხვანაირად ვერ ივლის, - თქვა გაოცებულმა ბრმამ.

- ვიცი. მაგრამ ცოლმა სახე დამცინავად დამანჭა და ქმარს სიარული გამოაჯავრა. მოკლედ, დასცინა, თუმცა მხოლოდ ერთი წამით.

წინასწარმეტყველი გაჩუმდა, მხოლოდ ირწეოდა. მატიმ ცარიელი ტოლჩები აიღო, წყლის ნიჟარასთან მიიტანა და გამოავლო.

- გვიანია, - თქვა ბრმამ, - ძილის დროა.

სკამიდან წამოდგა და თავისი სიმებიანი საკრავი თაროზე დადო, მერე კი ნელა გაემართა საძინებლისკენ.

- ღამე ნებისა, მატი.

მერე კიდევ რაღაც თქვა, თითქმის თავისთვის:

- მაშ, ახლა სათამაშო მანქანა აქვს, - ჩაიჩურჩულა ზიზღით.

ნიჟარასთან მდგარ მატის რაღაც გაახსენდა:

- აღმზრდელის ტყირპი გაქრა.

8

ლეკვი მზად იყო. მატიც. იმ პატარა ძაღლმა - წლების განმავლობაში მატის კომპანიონმა - აქტიური და ბედნიერი ცხოვრება განვლო და ძილში მიიცვალა. სევდით აღსავსეებმა დიდი ამბით დაასაფლავეს ბაღის გადაღმა. ბრანჩის მონატრულ მატის დიდხანს აღარ მონდომებია ძაღლი, მაგრამ ახლა უკვე დრო იყო და როცა ჯინმა უხმო (ატყობინებდა, ახლავე მოდი და ლეკვი წაიყვანე, მამაჩემი გაშმაგებულია მისი ქცევითო), მატიმ დაუყოვნებლივ მიაშურა მის სახლს.

გასული კვირის გაცვლის შემდეგ პირველად მიდიოდა აღმზრდელის სახლში. როგორც ყოველთვის, კარგად მოვლილ ყვავილნარში ახლაც ხასხასებდა გვიანი ვარდები და კვირტებდაბერილი შემოდგომის ასტრები. ჯინიც იქ იყო: ბაღის ნიჩბით მიწას თხრიდა ყვავილების კვალთან ჩაცუცქული. მატის გაუღიმა, თუმცა ეს არ იყო მისთვის ჩვეული კადნიერი და კეკლუცი ღიმილი, ლამის რომ აგიჟებდა მატის. ამ დილით ჯინი შეწუხებული ჩანდა.

- ფარდულშია ჩაკეტილი, - უთხრა მატის, ლეკვს გულისხმობდა, - თოკი ხომ არ წამოგიღია წასაყვანად?

- არ მჭირდება. ისედაც წამომყვება. ძაღლებთან მოქცევა ვიცი.

ჯინმა ამოიოხრა, ნიჩაბი გადადო და შუბლი მოიწმინდა. თუმცა, იმავდროულად, გაითხუპნა კიდეც, რაც მატის ფრიად მიმზიდველი ეჩვენა.

- ნეტავ, მეც შემეძლოს, - თქვა ჯინმა, - ვეღარ ვიმორჩილებ. ძალიან სწრაფად გაიზარდა, თან ძალიან ღონიერი და თამამია. მამაჩემი ჭკუიდან იშლება, როცა ამ პატარა ველურის ქცევას უყურებს.

მატიმ გაიღიმა.

- აღმზრდელს ბევრ პატარა ველურთან აქვს საქმე სკოლაში. ერთ დროს მეც პატარა ველური ვიყავი და სწორედ მან მომარჯულა.

ჯინმა გაუღიმა:

- მახსოვს, როგორი ურჩი კონკიაჟღარუნა იყავი, როცა სოფელში მოხვედი.

- მძვინვართ მძვინვარეს ვეძახდი ჩემს თავს.

- ეგრეც იყო, - გაიცინა ჯინმა, - ახლა კი ლეკვია ასეთი.

- მამა შინაა?

- არა, სტუმრად არის ვეტერინარის ქვრივთან, როგორც ყოველთვის, - ამოიოხრა ჯინმა.

- კარგი ქალია.

- ჰო, ეგრეა. მომწონს ეგ ქალი. მაგრამ, მატი...

ბიჭი აქამდე იდგა, ახლა კი ბალახზე ჩაჯდა, ბაღის განაპირას.

- რა?

- შეიძლება, რაღაც შემაშფოთებელი გითხრა?

მატიმ იგრძნო, როგორ წალეკა ჯინისადმი გრძნობამ. დიდხანს იზიდავდა მისი პრანჭიაობა, მისი მომხიბვლელობა და ხრიკები. ახლა კი, პირველად, რაღაც ახალი იგრძნო. ამ ზედაპირულობის მიღმა მატიმ ქალიშვილი შეიგრძნო. ტალახიან შუბლზე ჩამოშლილი კულულების მიღმა მატიმ დაინახა ულამაზესი ადამიანი, ყველაზე ლამაზი მათ შორის, ვინც კი დღემდე ენახა. და ახლა ჯინი ბავშვურად და გამომწვევად კი არ ელაპარაკებოდა, რათა ჭკუიდან გადაეყვანა, არამედ მოწიფული ადამიანივით გულისტკივილით. მატიმ უეცრად იგრძნო, რომ უყვარდა ეს გოგო. ასეთი გრძნობა უწინ არასდროს განეცადა.

- ეს მამაჩემს ეხება, - თქვა ჯინმა ხმადაბლა.

- იცვლება, არა? - თქვა მატიმ და თვითონვე გაოგნდა, რადგან უწინ ეს არასოდეს გაუვლია გონებაში, არასოდეს უთქვამს ხმამაღლა, ახლა კი ჯინს ეუბნებოდა ამას. შვების უცნაურმა განცდამ შეიპყრო.

ჯინი ჩუმად ატირდა:

- ჰო, მან თავისი სულიერი სამყარო გაცვალა.

- გაცვალა? - მატი გაოცდა, რადგან ფიქრით აქამდე არასდროს მისულა, - რაში გაცვალა? – იკითხა თავზარდაცემულმა და გააცნობიერა, რომ გაცვლების ტერმინოლოგიას სწავლობდა.

- ვეტერინარის ქვრივში, - თქვა ჯინმა ქვითინით, უნდოდა, იმ ქალს ჰყვარებოდა, ამიტომაც ივაჭრა. ახლა მაღლდება და წელში სწორდება. გამელოტებული კეფა თმით დაეფარა, მატი. ტყირპიც გაუქრა.

რა თქმა უნდა სწორედ ასე იყო.

- ეგ მეც ვნახე, მაგრამ ვერ მივხვდი, - უთხრა მატიმ და აქვითინებულ გოგოს ხელი მოხვია.

ჯინმა, როგორც იქნა, სული მოითქვა.

- არ ვიცოდი, როგორი მარტოსული იყო მამაჩემი, მატი. ეს რომ მცოდნოდა...

- აი, ამიტომაც... - მატი ცდილობდა, გონებაში ყველაფერი დაელაგებინა.

- ლეკვი. ოდესღაც მამა ისევე შეიყვარებდა ცელქ ლეკვს, როგორც შენ შეგიყვარა, როცა ჩამოძონძილი ბიჭი იყავი. გუშინ დავრწმუნდი ამაში, როცა ლეკვს ფეხი ამოსცხო. მანამდე მხოლოდ ვეჭვობდი.

ჯინმა თვალები ხელის ზურგით შეიმშრალა და ტალახის კიდევ ერთი მომხიბლავი ზოლი დაიმჩნია სახეზე.

- და ის პეტიციაც! - უცებ გაახსენდა მატის.

- ჰო, მამაჩემი ყოველთვის მიესალმებოდა ახალმოსულებს. ეს მამაჩემის საუკეთესო თვისება იყო. ყველაზე ზრუნავდა და ცდილობდა, სწავლაში დახმარებოდა. ახლა კი...

ფარდულიდან ხმამაღალი წკმუტუნი და ფხაჭუნი მოესმათ.

- გამოუშვი, ჯინ, მამაშენის დაბრუნებამდე წავიყვან.

გოგონა ფარდულის კართან მივიდა, გააღო და ცრემლებით დაღარული სახით გაუღიმა ერთიანად მცმუკავ, მოუქნელ ლეკვს, რომელმაც წინ ისკუპა, ხელებზე შეახტა მატის და ლოყები აულოკა, თან თეთრ კუდს პროპელერივით აბზრიალებდა.

- დრო მჭირდება ფიქრისთვის, - თქვა მატიმ, თან ლეკვს ყბის ქვეშ ფხანით ამშვიდებდა.

- რაზე ფიქრისთვის? ვერაფერს გააწყობ. გაცვლები ყოველთვის იყო და იქნება. ისეთი ბრიყვული რამაც კი, როგორიც სათამაშო მანქანაა, რომც გატყდეს ან, ბოლოს და ბოლოს, მოგბეზრდეს, მაინც ვერ შეცვლი.

მატი ფიქრობდა, ვუთხრა თუ არაო. ჯინი შეესწრო ლეკვისა და დედა ძაღლის განკურნებას, თუმცა, ვერაფერი გაიგო. ახლა, თუ მატი გადაწყვეტდა, იქნებ აეხსნა კიდეც. მაგრამ ჯერ თვითონაც არ იცოდა, რა შეეძლო და რა - არა და არ უნდოდა, შეუძლებელს დაჰპირებოდა ძვირფას გოგონას. ადამიანის სულისა და გულის შეერთება, გაცვლის შედეგის შემობრუნება ძალიან ძნელი იქნებოდა, ამას მატი ვერ აუვიდოდა.

ამიტომაც აღარაფერი უთქვამს, წავიდა და თავისი გადარეული ლეკვიც თან გაიყოლა.

* * *

- შეხედე! ჯდება, როცა ვეუბნები, - თქვა მატიმ, მერე ამოიგმინა: - უჰ, მაპატიე!

როდის ისწავლის, რომ „შეხედე“ აღარ უთხრას კაცს, რომელსაც თვალები არ აქვს?

მაგრამ ბრმამ გაიცინა:

- დანახვა არ მჭირდება, მისი თათების წკაპაწკუპი შეწყდა და ვეღარც მის კბილებს ვგრძნობ ჩემს ფეხსაცმელზე.

- მგონი, ჭკვიანია, - თქვა მატიმ იმედიანად.

- ჰო, ალბათ, ეგრეა. კარგი ლეკვუნაა, მატი. სწრაფად ისწავლის. შეგიძლია, არ იდარდო მის სიცელქეზე, - ბრმამ ხელი გაიწვდინა. ლეკვი მივარდა და თითები გაულოკა.

- და ძალიან ლამაზიცაა, - სინამდვილეში, მატი საკუთარი თავის დარწმუნებას ცდილობდა. ლეკვი ჭრელი იყო, დიდი თათები ჰქონდა, კარუსელივით მოტრიალე კუდი და დაშვებული ყურები.

- დარწმუნებული ვარ, ეგრეა.

- სახელი დასჭირდება. ჯერ არ მომიფიქრებია შესაფერისი სახელი.

- მისი ნამდვილი სახელი თავისით მოგაკითხავს.

- იმედი მაქვს, მალე მე თვითონ მოვიფიქრებ.

- მოგაკითხავს, როცა დრო მოვა.

მატიმ თავი დააკანტურა და ძაღლს ზურგი აქცია.

- ჯერ გადარჩენილი ვიფიქრე, რადგან ლეკვებიდან მხოლოდ ეს გადარჩა. მაგრამ ძალიან გრძელი სიტყვაა, შესაფერისად არ ჟღერს, - მატიმ ლეკვი აიყვანა, კალთაში ჩაისვა და მუცელი მოფხანა, მაშ, თუკი... - მატის სიცილი აუტყდა, თუ მხოლოდ ეს გადარჩა, მაშინ, ვიფიქრე ლივერი[2] ხომ არ დავარქვა-მეთქი.

- ლივერი? - ბრმასაც გაეცინა.

- ვიცი, ვიცი, ეს სულელური იდეაა: ღვიძლი ხახვით, - მატი დაიმანჭა.

---

[2] *ინგლისურად (Liver) ცოცხალ არსებასაც ნიშნავს და ღვიძლსაც.*

ლეკვი ისევ ძირს დასვა და ისიც კუდის ქიცინით გავარდა, ღუმელთან დაწყობილ შეშას შეუღრინა და ნედლი კიდეების ღრღნა დაუწყო.

- შეგეძლო გეკითხა ლიდერისთვის, - უკარნახა ბრმამ, - ის არქმევს ადამიანებს ნამდვილ სახელებს. იქნებ ლეკვსაც მიუსადაგოს რამე.

- კარგი იდეაა. ლიდერი მაინც უნდა მენახა. მოახლოებული შეხვედრისთვის შეტყობინებების ჩამორიგების დროა. ლეკვსაც წავიყვან.

თავისი ბუთქუნა, მეტისმეტად დიდი ფეხებით ლეკვი ლიდერის სახლისკენ ამავალ კიბეზე ვერ ავიდა. მატიმ ჯერ ხელში აიყვანა, მერე კი იატაკზე ჩამოსვა ზედა სართულზე, სადაც ლიდერი თავის მაგიდასთან უკვე ელოდა ბიჭს. შეტყობინებები დასტებად ეწყო. მატის შეეძლო, აეკრიფა და დაუყოვნებლივ შესდგომოდა თავისი დავალების შესრულებას, მაგრამ აყოვნებდა. სიამოვნებდა ლიდერთან ყოფნა. თან რაღაცების თქმა უნდოდა და გონებაში წინადადებებს ალაგებდა.

- ქაღალდი ხომ არ გინდა ლეკვისთვის დასაფენად? - ჰკითხა ლიდერმა, თან ღიმილით ადევნებდა თვალს ოთახში მორბენალ პატარა არსებას.

- არა, არაფერი უჭირს. ოთახს არასოდეს სვრის. პირველად ეგ ისწავლა.

ლიდერი სკამზე გადაწვა და გაიზმორა.

- კარგ კომპანიონობას გაგიწევს, მატი, როგორსაც ბრანჩი გიწევდა, - მერე განაგრძო, - იცი, იქ, სადაც მე ვიყავი, ძაღლები არ იყვნენ. არც ერთი ცხოველი არ იყო.

- არც ქათმები ან თხები?

- არა, არაფერი.

- მაშ, რას ჭამდით? - ჰკითხა მატიმ.

- თევზი გვქონდა, უამრავი თევზი საინკუბაციო სადგურიდან, და ბევრი ბოსტნეული. მაგრამ ცხოველის ხორცი - არა. და არც შინაური ცხოველები გვყავდა. მე არ ვიცოდი, რას ნიშნავდა ცხოველის ყოლა, არც რამის სიყვარული და საპასუხო სიყვარულის მიღება.

მისმა სიტყვებმა მატის ჯინი გაახსენა და იგრძნო, რომ სახე წამოუწითლდა.

- გოგონა არასოდეს გყვარებია? – ჰკითხა და იფიქრა, რომ ლიდერს გაეცინებოდა. მაგრამ ამის ნაცვლად ჭაბუკი დაფიქრდა.

- დაიკო მყავდა, - თქვა ლიდერმა ცოტა ხნის შემდეგ, - მასზე ხშირად ვფიქრობ და იმედი მაქვს, რომ ბედნიერია.

მაგიდიდან ფანქარი აიღო, თითებში აათამაშა და ფანჯრიდან გაიხედა. მისი ღია ლურჯი თვალები შორს იყურებოდნენ, წარსულშიც კი, და იქნებ მომავალშიც.

მატი ყოყმანობდა. მერე აუხსნა:

- გოგონას ვგულისხმობ. არა როგორც დას, არამედ... უუჰ... გოგონას.

ლიდერმა ფანქარი დადო და გაიღიმა.

- მესმის, რას ამბობ. იყო ერთი გოგონა, დიდი ხნის წინ. მაშინ შენზე უმცროსი ვიყავი, მატი, მაგრამ სწორედ იმ ასაკის, როცა ეგეთი რამეები იწყება.

- რა ბედი ეწია?

- შეიცვალა. მეც შევიცვალე.

- ზოგჯერ მგონია, არასოდეს არაფრის შეცვლა არ მომინდება, - ოხვრას ამოაყოლა მატიმ. მერე გაახსენდა, რისი თქმა სურდა ლიდერისთვის.

- გაცვლებს დავესწარი, ლიდერო. უწინ არასოდეს ვყოფილვარ.

ლიდერმა მხრები აიჩეჩა:

- ვისურვებდი, ამის შეწყვეტისთვის კენჭი ეყარათ. მე აღარ ვესწრები, მაგრამ წარსულში რამდენჯერმე ვიყავი. სიგიჟედ და დროის ფლანგვად მეჩვენებოდა. ახლა კი უარესი ჩანს.

- ეს ერთადერთი გზაა ისეთი რამის საშოვნელად, როგორიც სათამაშო მანქანაა.

ლიდერმა სახე დამანჭა.

- სათამაშო მანქანა... - გაიმეორა ზიზღით.

- ჰოო, მეც მინდა ეგეთი, - ჩაიბუზღუნა მატიმ, - მაგრამ წინასწარმეტყველი ამბობს, არაო.

ლეკვი ოთახის კუთხეში მიბორიალდა, იქაურობა დაყნოსა, რამდენჯერმე წრეზე დატრიალდა, ბოლოს დაეცა და ჩაეძინა. მატი და ლიდერი უყურებდნენ და ორივეს გაეღიმა.

- იქ მხოლოდ სათამაშო მანქანები და ასეთი რამეები არ არის, - მატი ფიქრობდა, როგორ გამოეთქვა და აღეწერა ეს. და სიჩუმეში, მძინარე ლეკვს რომ უყურებდნენ, უნებურად წამოისროლა: - იქ კიდევ რაღაც ხდება. ადამიანები იცვლებიან, ლიდერო. აღმზრდელი იცვლება.

- ვნახე აღმზრდელის ცვლილება, - აღიარა ლიდერმა, - რის თქმა გინდა, მატი?

- აღმზრდელმა თავისი სულიერი სამყარო გასცა, - თქვა მატიმ, - და, ვფიქრობ, იმ სხვებმაც.

ლიდერი წინ გადმოიხარა, რათა ყურადღებით მოესმინა, როგორ აღწერდა მატი ნანახს, რას ეჭვობდა და რა იცოდა.

* * *

- ლიდერმა ლეკვის სახელი მიკარნახა, თუმცა არ ვიცი, მომწონს თუ არა, – თქვა შინ დაბრუნებულმა მატიმ, ბოლო შეტყობინებაც რომ მიიტანა. ბრმა წყლის ნიჟარასთან იდგა და სამოსს რეცხავდა.

- რა სახელია? – იკითხა მან და მატისკენ მობრუნდა.

- ფროლიკ.

- ჰმმ... კარგად ჟღერს. ძაღლი როგორ ეგუება?

მატიმ ლეკვი აიყვანა და თავის ქურთუკში გაახვია. თითქმის მთელი დილა უკან დასდევდა, მაგრამ ბოლოს მოკლე ფეხები დაეღალა და ხელით სატარებელი გახდა.

ლეკვმა თვალები გაახილა - უკვე გამოეძინა ქურთუკში გახვეულს - და მატიმაც იატაკზე ჩამოსვა.

- ფროლიკ! - ლეკვმა ამოხედა და კუდი გააქიცინა.

- დაჯექი, ფროლიკ! - თქვა მატიმ, ისიც მაშინვე დაჯდა და ბიჭს მიაჩერდა.

- მიჯერებს! - ახარა მატიმ ბრმას.

- დაწექი, ფროლიკ!

წამიერი პაუზის შემდეგ ლეკვი უხალისოდ გაწვა და პატარა ცხვირი ხალიჩაზე დადო.

- უკვე იცის თავისი ნამდვილი სახელი! - მატი ლეკვთან ჩაცუცქდა და პატარა თავზე ხელი გადაუსვა. - კარგი ლეკვუნა! - ქვემოდან დიდმა ყავისფერმა თვალებმა ამოანათა და დაწინწკლული სხეულიც - ჯერაც მორჩილად გაწოლილი იატაკზე - ალერსიანად შეირხა.

- კარგი ფროლიკი! - თქვა მატიმ.

9

სოფელში ბევრს ლაპარაკობდნენ მომავალ შეხვედრაზე. მატის ყველგან პეტიციაზე მოკამათე ხალხი ხვდებოდა.

ყველაზე გვიან მოსულთაგან რამდენიმე უკვე გარეთ დადიოდა. ჭრილობები უხორცდებოდათ, სუფთა სამოსი ეცვათ და თმა დავარცხნილი ჰქონდათ; შეშინებული სახეები უმშვიდდებოდათ, შეშფოთება და სასოწარკვეთა მშვიდი განწყობით ეცვლებოდათ. მათი ბავშვები ახლა სოფლის სხვა ბავშვებთან ერთად შუკებსა და ბილიკებზე დაქროდნენ, დაჭერობანას და დამალობანას თამაშობდნენ. მათ შემყურე მატის გაახსენდა თავისი ბავშვობა, მაშინდელი ყოყოჩობა, ამის მიღმა კი - აუტანელი ტკივილი. სოფელში მოსვლამდე არ სჯეროდა, რომ ვინმე ოდესმე მასთან ურთიერთობას ინდომებდა. მოსვლის შემდეგაც კიდევ დიდხანს არ იჯერებდა სოფლის სიკეთეს.

კუდში ადევნებული ფროლიკის თანხლებით მატი ბაზრისკენ მიემართებოდა პურის საყიდლად.

- დილა მშვიდობისა! - მხიარულად გასძახა ბილიკზე შეხვედრილ ქალს - ერთ-ერთ ახალმოსულს, რომელიც მატის ამასწინანდელი მიღებიდან ახსოვდა. იმ დღეს ქალს გრძელ სახეზე თვალები ფართოდ გახელოდა. მისი ნაიარევებიანი სახე თითქოს განზრახ დაესახიჩრებინათ, ერთი ხელი კი გამრუდებული ჰქონდა, რაც მოძრაობას უშლიდა.

მაგრამ დღეს დამშვიდებული იერი ჰქონდა და აუჩქარებლად მიუყვებოდა ბილიკს. მატის სალამზე გაიღიმა.

- გაჩერდი, ფროლიკ! ძირს! - დატუქსა ლეკვი, რომელმაც ისკუპა და ქალის გაცრეცილ კაბას წაეტანა. ფროლიკი უკმაყოფილოდ დაემორჩილა.

ქალი დაიხარა და თავზე ხელი მოუთათუნა.

- არა უშავს, - თქვა თბილად, - უწინ მეც მყავდა ძაღლი, მაგრამ იქ დატოვება მომიხდა.

მის მეტყველებას ოდნავ დაჰკრავდა აქცენტი. სხვა უამრავი აქაურივით, მასაც თავისებური მეტყველება მოეტანა ძველი საბინადროდან.

- ეწყობი?

- ჰო, კეთილი ხალხია, მოთმინებით მეპყრობიან. დაშავებული ვიყავი და ახლა რაღაცები თავიდან მაქვს სასწავლი. ამას დრო სჭირდება.

- აქ მოთმინება მნიშვნელოვანია, რადგან ბევრი გვყავს სოფელში ისეთი, ვისაც რაღაც უჭირს, - აუხსნა მატიმ, - მამაჩემს...

მერე შეყოვნდა და დააზუსტა:

- ანუ კაცს, რომელთანაც ვცხოვრობ, წინასწარმეტყველი ჰქვია. ალბათ, გინახავს. ბრმაა, მაგრამ ყველა ბილიკზე დაუბრკოლებლად დადის. თუმცა, რომ მოვიდა, თვალისჩინი ახალი დაკარგული ჰქონდა...

- რაღაც მაწუხებს, - თქვა ქალმა უეცრად და მატი მიხვდა, რომ საქმე ბილიკების მდგომარეობას ან შენობებისკენ მიმავალ გზებს არ ეხებოდა. ქალი აშკარად აფორიაქებული იყო,

- ნებისმიერი საწუხარით შეგიძლია მიხვიდე ლიდერთან.

ქალმა თავი გააქნია;

- იქნებ შენ მიპასუხო. ეს სოფლის დაკეტვას ეხება. აქ პეტიციაზე ლაპარაკობენ.

- მაგრამ შენ ხომ უკვე აქ ხარ! - გაამხნევა მატიმ. - არაფერი გაქვს საფიქრალი. შენ უკვე ჩვენიანი ხარ. არავინ გაგისტუმრებს აქედან, თუნდაც სოფელი დახურონ.

- ჩემი ბიჭიც ჩამოვიყვანე, ვლადიკი, დაახლოებით შენი ასაკისაა. იქნებ შეგიმჩნევია კიდეც?

მატიმ თავი გააქნია. ახალმოსულების დიდ გუნდში ასეთი არავინ შეუმჩნევია. ნეტავ, რატომ ღელავდა ეს ქალი თავის ვაჟიშვილთან დაკავშირებით? იქნებ ის ბიჭი სოფელს ვერ ეგუებოდა? ზოგიერთ ახალს ემართებოდა ასე. თავიდან მატისაც გაუჭირდა.

- როცა აქ მოვედი, - უთხრა ქალს, - შეშინებული ვიყავი, ალბათ, მარტოხელაც. ცუდად ვიქცეოდი. ვტყუოდი და ვიპარავდი. ახლა კი არაფერი მიჭირს. იმედი მაქვს, მალე ჩემს ნამდვილ სახელსაც მივიღებ.

- არა, არა, ჩემი ბიჭი წესიერია, - მიუგო ქალმა, - არ იტყუება, არც იპარავს. ღონიერია და ენერგიული. უკვე მინდვრებში ამუშავებენ. მალე სკოლაშიც წავა.

- მაშინ არაფერია სანერვიულო.

ქალმა თავი გააქნია:

- მასზე არ ვღელავ. ჩემს სხვა შვილებზე ვდარდობ. ვლადიკი ჩამოვიყვანე, მაგრამ სხვების დატოვება მომიხდა. ჩვენ პირველები ჩამოვედით, გზა გამოვკვალეთ. ეს იყო ხანგრძლივი, მძიმე მოგზაურობა. პატარები მოგვიანებით ჩამოვლენ, ჩემი და ჩამოიყვანს, როცა მე ადგილს გავუმზადებ.

ხმა აუკანკალდა.

- მაგრამ ხალხი ამბობს, რომ საზღვარი დაიკეტება. არ ვიცი, რა ვქნა. იქნებ დავბრუნდე. ვლადიკს აქ დავტოვებ, იცხოვროს და იხაროს, მე კი ჩემს პატარებს დავუბრუნდები.

მატი ყოყმანობდა. არ იცოდა, რა ეთქვა ქალისთვის. შეეძლო მას დაბრუნება? ახლახან ჩამოვიდა, ესე იგი დაბრუნება დაგვიანებული არ იყო. ტყე ამ საბრალოს ჯერ არ გახლართავდა. მაგრამ თუ წავიდოდა, სად მოუწევდა დაბრუნება? მატიმ არ იცოდა, როგორ ავნეს ამ ქალს, თუმცა ზოგ ადგილას - და მატის ძველ სამყოფელშიც, ადამიანებს სასტიკად სჯიდნენ. თვალი შეავლო ქალის ნაიარევებს, გამრუდებულ მკლავს და, ხომ არ ჩაქოლესო, გაიფიქრა.

რასაკვირველია, ქალს უნდოდა, თავისი შვილები ამ სოფლის უსაფრთხოებისთვის შეეფარებინა.

- ხვალ უყრიან კენჭს, - აუხსნა მატიმ, - მე და შენ ვერ მივიღებთ მონაწილეობას, რადგან ჯერ ნამდვილი სახელები არ გვაქვს, მაგრამ შეგვიძლია წავიდეთ და დებატებს მოვუსმინოთ. თუ მოგვინდება, შეგვიძლია, სიტყვითაც გამოვიდეთ და მერე კენჭისყრას თვალი ვადევნოთ.

მერე მიასწავლა, როგორ ეპოვა ბაქანი, რომელთანაც ხალხი შეგროვდებოდა. მადლიერების ნიშნად ქალმა ჯანმრთელი ხელით მატის ხელი ჩაბღუჯა და თავის გზას გაუყვა.

ბაზრის დახლთან მატიმ პური იყიდა ჯინისგან, რომელმაც ქრიზანთემა შეახვია ქაღალდში, მერე ფროლიკს გაუღიმა, დაიხარა და ხელიდან პურის ნამცეცები აალოკვინა.

- ხვალ შეხვედრაზე მიდიხარ? - ჰკითხა მატიმ.

- ალბათ. მამაჩემი მხოლოდ ამაზე ლაპარაკობს, - ამოიოხრა ჯინმა და დახლზე თავისი პროდუქტების გადაწყობას შეუდგა.

- ოდესღაც ეს იყო წიგნები და პოეზია, - თქვა უცებ გულისტკივილით, - მახსოვს, დედაჩემის სიკვდილის შემდეგ, როცა პატარა ვიყავი, მამა მიყვებოდა ამბებს და მიკითხავდა ლექსებს. მერე, მოგვიანებით, მიამბობდა ადამიანებზე, ვინც ისინი დაწერა. მაშინ სკოლაში ვსწავლობდით ამას. ხომ გახსოვს, მატი, ლიტერატურას რომ სწავლობდი? ეს ისეთი ნაცნობი იყო ჩემთვის! ისე მასწავლიდა, ვერც კი ვხვდებოდი, რომ ვსწავლობდი.

მატის გაახსენდა.

- სხვადასხვა ხმას იყენებდა. გახსოვს ლედი მაკბეტი? „შორს, წყეულო ადგილო! შორს, გეუბნები!“ - მატიმ სცადა, გაემეორებინა სტრიქონები აღმზრდელის ძრწოლის მომგვრელი, თუმცა მეფური ხმით.

ჯინმა გაიცინა.

- და მაკდუფი? ვტიროდი, როცა მამაჩემი იმეორებდა მაკდუფის სიტყვებს თავისი ცოლისა და შვილების სიკვდილზე.

მატის ეს სიტყვებიც ახსოვდა. პურის დახლთან იდგნენ, ფეხებში ფროლიკი ედებოდათ და ერთად წარმოთქვამდნენ სტრიქონებს:

ყველა ჩემი ლამაზი ბარტყი?

შენ თქვი, ყველაო? ჯანდაბას! ყველა?

რაო! ყველა ჩემი ლამაზი ბარტყი და მათი დედა
სულ ერთი დარტყმით?
ამის ხსოვნაღა დამრჩენია: ისინი იყვნენ,
უძვირფასესნი რომ იყვნენ ჩემთვის.

მერე ჯინი მიბრუნდა და დახლზე პურის დაწყობა განაგრძო, თუმცა, ფიქრებით აშკარად სადღაც შორს იყო. ბოლოს მატის ახედა და შეფიქრიანებულმა წარმოთქვა:

- ეს ისეთი მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის! მან შეძლო, მნიშვნელოვანი გაეხადა პოეზია, ენა... მისი გამოყენებაც გვასწავლა იმისთვის, რომ შევახსენოთ ჩვენს თავს, როგორ უნდა ვიცხოვროთ...

მერე ხმაში სიმწარე შეერია:

- ახლა კი მამაჩემი ვეტერინარის ქვრივისა და ახლებისთვის სოფლის დაკეტვის გარდა აღარაფერზე ლაპარაკობს, რა დაემართა?

მატიმ თავი გააქნია. არ იცოდა, რა ეპასუხა.

მაკდუფის ცნობილმა სიტყვებმა ბილიკზე შეხვედრილი ქალი გაახსენა, თავისი დაკარგული შვილების მომავალი რომ აშინებდა. ჩემი ლამაზი ბარტყები.

უეცრად მატიმ იგრძნო, რომ ისინი განწირულები იყვნენ.

თავისი ძალა აღარ ახსოვდა. აღარც ბაყაყი.

10

შეხვედრა, რომელზეც უნდა განეხილათ და კენჭი ეყარათ პეტიციისთვის, ფრთხილად და მშვიდად დაიწყო, როგორც იწყებოდა ხოლმე ასეთი შეხვედრები. ბაქანზე იდგა ლიდერი, რომელმაც წაიკითხა პეტიცია თავისი ძლიერი, მკაფიო ხმით და შეხვედრა გახსნა. სოფლელები სათითაოდ დგებოდნენ და საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ.

ახალმოსულებიც აქ იყვნენ. მატიმ დაინახა ბილიკზე ნანახი ქალი, მის გვერდით კი - მაღალი, ქერათმიანი ბიჭი, რომელიც ვლადიკი უნდა ყოფილიყო. ეს ორნი ახლდნენ ახალმოსულთა ჯგუფს,

რომელიც განცალკევებით იდგა, რადგან კენჭისყრაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა.

ბავშვები, რომლებსაც მოჰბეზრებოდათ ეს ყველაფერი, ფიჭვნარის კიდეზე თამაშობდნენ. მატიც ასე იქცეოდა, როცა ახალმოსული იყო - არც მას მოსწონდა შეხვედრები და დებატები, მაგრამ ახლა წინასწარმეტყველსა და სხვა უფროსებთან იდგა და უსმენდა. ფროლიკიც კი არ წამოიყვანა, არადა, ყველგან დაჰყავდა. დღეს ლეკვი შინ დატოვეს, დაკეტილ კარს მიღმა მოწკმუტუნე.

ამჯერად აქ შეგროვილ ხალხში დამზაფრავად ნათლად გამოჩნდა, რომ რაღაც საშინელება ხდებოდა. ვაჭრობა საღამოს ბინდში მიმდინარეობდა და მატიც ისე იყო დაინტერესებული მისი მსვლელობით, რომ ბევრი ადამიანი არც შეუნიშნავს, მხოლოდ ისინი დაინახა, ვინც ბაქანთან მივიდნენ, აღმზრდელისა და იმ ქალის მსგავსად, შინ მიმავალი ქმარს ასე უცნაურად მკაცრად რომ მოექცა.

ახლა კი მზე კაშკაშებდა, მატი ყველას კარგად ხედავდა და, შეძრწუნებული, ცვლილებებსაც ამჩნევდა.

იქვე ახლოს იდგა მისი მეგობარი რამონი თავის მშობლებსა და პატარა დაიკოსთან ერთად. სწორედ რამონის დედამ ითხოვა ბეწვის ქურთუკი და უარი უთხრეს. სათამაშო მანქანა მათ კარგა ხნის წინ მიიღეს, ანუ გაცვლა წარსულში მოხდა. მატიმ დაკვირვებით შეათვალიერა თავისი მეგობრის ოჯახი. რამონი იმ დღის შემდეგ არ ენახა, რაც სათევზაოდ წასვლა შესთავაზა და - შეუძლოდ არისო, უთხრეს.

რამონმა მატის გამოხედა და გაუღიმა. თუმცა მატის სუნთქვა შეეკრა და დაფრთხა - მისი მეგობარი ნამდვილად ავად იყო, აღარც გარუჯული იყო და აღარც - ვარდისფერლოყება, გამხდარი და ნაცრისფერი ჩანდა. მის გვერდით მდგარი პატარა დაიკოც ავადმყოფს ჰგავდა, თვალები ჩასცვენოდა და დროდადრო ახველებდა.

იცოდა: უწინ დედამისი ასეთი ხველების გაგონებაზე უთუოდ დაიხრებოდა გოგონასკენ, ახლა კი, მატიმ დაინახა, რომ ქალმა მხოლოდ უხეშად მოქაჩა ბავშვს მხარზე და ხმადაბლა უთხრა:

- ჩუუ!

ადამიანები ცალ-ცალკე ლაპარაკობდნენ და მატიც თანდათან ადგენდა, ვინ მიიღო გაცვლებში მონაწილეობა. ზოგიერთი მათგანი - უწინ სოფლის ყველაზე მუყაითი, ყველაზე კეთილი, ყველაზე მხნე მკვიდრი - ახლა ბაქანთან მიდიოდა და ყვიროდა, საზღვარი უნდა დაიკეტოს, ისე, რომ ჩვენ (მატის ამ „ჩვენ“-ის გაგონებაზე გააკანკალა) ჩვენი რესურსების განაწილებამ აღარ მოგვიწიოსო.

მთელი თევზი ჩვენთვის გვჭირდება.

ჩვენი სკოლა არც ისე დიდია, რომ მათმა შვილებმაც ისწავლონ, იქ მხოლოდ ჩვენებმა უნდა იარონ.

მათ სწორად მეტყველებაც კი არ შეუძლიათ. ჩვენ არ გვესმის მათი.

მეტისმეტად ბევრი რამ სჭირდებათ. ჩვენ არ გვინდა მათზე ზრუნვა.

დაბოლოს:

ისედაც დიდხანს ვაკეთეთ ეს.

დროდადრო რომელიმე მარტოხელა, რომელიც გაცვლებში არ მონაწილეობდა, ბაქანზე გადიოდა და ცდილობდა, ელაპარაკა. ისინი იხსენებდნენ სოფლის ისტორიას, როგორ გამოექცა თითოეული მათგანი სიღატაკეს და სისასტიკეს, როგორ მიიღო და შეიფარა ამ ახალმა ადგილმა.

ბრმამ ენამჭევრად ილაპარაკა იმ დღეზე, ცოცხალ-მკვდარი რომ მოიყვანეს აქ, მერე კი, თვეების განმავლობაში, სოფლის ბინადრებმა მოუარეს, სანამ - თუნდაც უსინათლოსთვის - აქაურობა საკუთარ სახლად არ გადაიქცა. მატიმ გაიფიქრა, იქნებ მეც ავიდე და ვილაპარაკოო. ეს ძალიან უნდოდა, რადგან სოფელი მართლაც მის სახლად და გადამრჩენლად იქცა, მაგრამ მოერიდა. სწორედ ამ დროს გაიგონა, რომ ბრმა წინასწარმეტყველი მატის ნაცვლადაც ლაპარაკობდა.

- ჩემი ბიჭი ექვსი წლის წინ მოვიდა აქ, ჯერ კიდევ ბავშვი. ბევრ თქვენგანს ახსოვს მაშინდელი მატი: ჩხუბობდა, იგინებოდა, ქურდობდა...

მატის მოეწონა სიტყვები „ჩემი ბიჭი“, რაც მანამდე ბრმის ბაგიდან არასოდეს სმენია. თუმცა შეცბუნდა, როცა ყველამ თავი მისკენ მოაბრუნა.

- სოფელმა მატი შეცვალა, იმად აქცია, ვინც არის ახლა, - თქვა ბრმამ, - და მალე თავის ნამდვილ სახელსაც მიიღებს.

წამით მატის იმედი გაუჩნდა, რომ ჯერაც ბაქანზე მდგომი ლიდერი ხელს შემართავდა და ხალხს სიჩუმისკენ მოუწოდებდა, მერე კი მატის მოუხმობდა, შუბლზე შეეხებოდა და მის ნამდვილ სახელს წარმოთქვამდა.

შიკრიკი.

ხანდახან ასეც ხდებოდა ხოლმე. ამის იმედით მატიმ სუნთქვაც კი შეიკავა. მაგრამ უეცრად ლიდერის ნაცვლად სულ სხვა ადამიანის ხმა გაიგონა.

- მახსოვს, რას ჰგავდა! თუ საზღვარს დავკეტავთ, აღარ მოგვიწევს ამის კეთება! აღარ მოგვიწევს გამკლავება ქურდბაცაცებთან, ტრაბახებთან და ტილიანებთან, როგორიც მატი იყო, როცა აქ მოვიდა!

მატი შეტრიალდა, რომ ამის მთქმელი დაენახა. ეს იყო მისი მეზობელი ქალი, რომელმაც ახალმოსულს სამოსი შეუკერა. მატი გაოგნებული იყო, თითქოს სახეში გაულაწუნეს. ახსოვს, როგორ იდგა ძონძებიანი, სანამ ეს ქალი ზომებს უღებდა, მერე კი სათითე გაიკეთა მატის მომავალი სამოსის დასალამბად. მაშინ ამ ქალს თბილი ხმა ჰქონდა და კერვის დროს ნაზად ელაპარაკებოდა.

ახლა მას ჰქონდა საუკეთესო საკერავი მანქანა, ქსოვილების თოფები, რომლებითაც მშვენიერ სამოსს კერავდა. ბრმა კი თავისი ხელით კერავდა მარტივ რამეებს, რაც მას და მატის სჭირდებოდათ.

ესე იგი ამ ქალსაც გაეცვალა რაღაც და, არა მხოლოდ მატიზე ბრაზობდა, არამედ ყველა ახალმოსულზე.

ქალის ხმამ სხვებიც წააქეზა და უკვე ბევრი აყვირდა:

- დავხუროთ სოფელი! დავკეტოთ საზღვარი!

მატის ასეთი სევდიანი ლიდერი არასოდეს უნახავს.

* * *

როცა ყველაფერი დამთავრდა და სოფლის დახურვისთვის კენჭისყრა დასრულდა, მატი ბრმასთან ერთად შინისკენ წალასლასდა.

თავიდან ორივე დუმდა. არაფერი ჰქონდათ სათქმელი.

მათი სამყარო შეიცვალა.

ცოტა ხნის შემდეგ მატიმ ხმა ამოიღო - სცადა, გახალისებულიყო, მოვლენები უკეთესი მხრიდან დაენახა.

- ახლა ლიდერი, ალბათ, ყველა სოფელსა და თემში გამგზავნის ამ შეტყობინების მისატანად. დიდხანს მომიწევს მოგზაურობა. კარგია, რომ ჯერ ზამთარი არ არის. თოვლში სიარული ძნელია.

- ის თვითონ მოვიდა თოვლში, - თქვა ბრმამ, - იცის, რა არის ეს.

მატი ჯერ ვერ მიხვდა, რას ამბობსო, დაფიქრდა. ვინ მოვიდა? ჰო, მართლა. ჰატარა ციგა.

- ლიდერმა ყველაზე მეტი იცის, - თქვა მატიმ, - და ბევრზე ახალგაზრდაა.

- ის მიღმა ხედავს, - თქვა წინასწარმეტყველმა.

- რას ხედავს?

- განსაკუთრებული უნარი აქვს, როგორც ზოგიერთ ადამიანს. ლიდერი მიღმა ხედავს.

მატი გაოგნდა. მას შემჩნეული ჰქონდა ლიდერის ღია ლურჯი თვალების უცნაური გამოხედვა. მისნაირი მზერით ბევრი ვერ დაიტრაბახებდა, თუმცა აქამდე მასზე ასეთი რამ არავის უთქვამს.

ამან გაახსენა ის, რაც ახლახან აღმოაჩინა საკუთარ თავში.

- მაშ, ზოგიერთ ადამიანს განსაკუთრებული უნარი აქვს, როგორც ლიდერს?

- ნამდვილად, - მიუგო წინასწარმეტყველმა.

- და ეს ყოველთვის ერთი და იგივე უნარია? ყოველთვის... როგორ თქვი? მიღმა ხედვის უნარი?

ისინი უახლოვდებოდნენ მოსახვევს, სადაც ბილიკი იყრებოდა და ერთი გზა მათი სახლისკენ მიდიოდა. როგორც ყოველთვის, მატი ახლაც შიშით და მოწიწებით ადევნებდა თვალს, როგორ გრძნობდა ბრმა მოახლოებულ მოსახვევს და თავის მრუმე სამყაროში ჩამყუდროებულმაც კი იცოდა, სად გაეხვია.

- არა. სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვა უნარი აქვს.

- შენ გაქვს ეს უნარი? მაგის წყალობით ხვდები, საით წახვიდე?

ბრმამ გაიცინა:

- არა. ეგ ვისწავლე. დიდხანს ვიცხოვრე უსინათლოდ. თავიდან ვბორძიკობდი და სულ რაღაცას ვეჯახებოდი. ვიღაც უნდა დამხმარებოდა. რაღა თქმა უნდა, უწინ სოფელი დაუფიქრებლად გეხმარებოდა და მეგზურობას გიწევდა.

მერე ხმაში სიმწარე შეეპარა:

- ვინ იცის, რა მოხდება ახლა?

უკვე სახლთან იყვნენ და ფროლიკის ხმაც ესმოდათ: მათი ხმების გაგონებაზე კარზე აფხაჭუნებდა და აგზნებული წკავწკავებდა.

მატის არ სურდა საუბრის ახლა შეწყვეტა. უნდოდა, ბრმისთვის თავისი საიდუმლო გაემხილა.

- მაშ, შენ არ გაქვს განსაკუთრებული ნიჭი, როგორც ლიდერს, მაგრამ სხვა ადამიანებს აქვთ, არა?

- ჩემს ქალიშვილს აქვს. იმ ღამეს მითხრა, მასთან რომ მიმიყვანე.

- კირას? კირას გამორჩეული უნარი აქვს?

- ჰო, შენს ძველ მეგობარ კირას. იმას, ვინც ქცევის წესები გასწავლა.

მატიმ ამას ყურადღება არ მიაქცია,

- ახლა უკვე დიდი ქალი იქნება. ორი წლის წინ, იქ უკანასკნელად რომ ვიყავი, ვნახე, მაგრამ... წინასწარმეტყველო, რას გულისხმობ?

ბრმა კარისკენ ამავალ საფეხურებზე მოულოდნელად შეჩერდა.

- მატი! – წარმოთქვა აჩქარებით.

- რა?

- ახლა მივხვდი: საზღვარი სამ კვირაში დაიკეტება.

- ჰო.

წინასწარმეტყველი საფეხურებზე ჩამოჯდა და თავი ხელებში ჩარგო. ზოგჯერ ასე იქცეოდა, როცა ფიქრობდა. მატი გვერდით მიუჯდა და დაელოდა. ესმოდა ფროლიკის ხმა, გულდაწყვეტილი რომ აწყდებოდა კარს შიგნიდან.

ბრმა ალაპარაკდა:

- მინდა, შენს ძველ სოფელში წახვიდე. ლიდერი მაინც გაგგზავნის შეტყობინებით. რამდენიმე ადგილას უეჭველად გაგგზავნის, მაგრამ, მატი, მინდა, ჯერ შენს ძველ სოფელში წახვიდე. ლიდერი ამას გაიგებს.

- მე არ მესმის.

- ჩემმა გოგონამ თქვა, ოდესმე, შესაფერის დროს, თქვენთან გადმოვსახლდებიო. შენ მას იცნობ, მატი, იცი, რომ ჯერ იქ ჰქონდა რაღაცები დასამთავრებელი.

- ჰო, დასამთავრებელი აქვს, წინასწარმეტყველო. ასე იყო, როცა ბოლოს ვიყავი იქ. რაღაცები შეცვლილი დამხვდა. ახლა ბავშვებს კარგად უვლიან და...

მატი შეყოყმანდა. ერთი წამით მეტყველების უნარი წაერთვა, რადგან თავისი მძიმე წარსული გაახსენდა, მერე კი დაამატა:

- კირამ შეცვალა ცხოვრება. ახლა იქ უკეთესი სიტუაციაა.

- სამი კვირა დარჩა, მატი. როცა საზღვარი დაიკეტება, გვიან იქნება, მას აღარ შემოუშვებენ. მანამდე უნდა ჩამოიყვანო. თუ არადა, ვეღარასოდეს ვნახავ ჩემს გოგონას.

- ყოველთვის მეუცნაურება, როცა ხედვას ახსენებ.

ბრმამ გაიღიმა:

- მე გულით ვხედავ, მატი.

ბიჭმა თავი დააქნია:

– ვიცი, რომ ეგრეა. ჩამოგიყვან კირას. ხვალვე გავუდგები გზას.

ერთად წამოდგნენ.

საღამოვდებოდა.

მატიმ კარი გააღო და ფროლიკი მაშინვე ზედ შეახტა.

11

- პერანგში ჩაიდე, მატი, და არ დაიჭმუჭნება. წინ გრძელი გზა გელის.

მატიმ დაკეცილი ბარათების დასტა სქელ კონვერტში ჩუშვა და იქ ჩაიდო, სადაც ლიდერმა უთხრა - პერანგში, მკერდთან. მისთვის არ

უთქვამს, თუმცა მოგვიანებით, როცა თავის სამოგზაურო ნივთებს თავს მოუყრიდა, ამ კონვერტს, ალბათ, სხვაგან შეინახავდა: საკვებსა და ჩულოსთან ერთად. აქ, პერანგის შიგნით, მართლაც ყველაზე უსაფრთხო და სუფთა ადგილი იყო, მაგრამ გადაწყვეტილი ჰქონდა, უბით ფროლიკი წაეყვანა.

სამი კვირა არ ეყოფოდა ყველა სოფლისა და თემის შემოვლას. ზოგი მრავალი დღის სავალზე იყო, ზოგამდეც მხოლოდ ნავით თუ მიაღწევდა. მატი არ იყო მზად მდინარეზე სამგზავროდ. ნავით კორესპონდენციებს და სავაჭრო საქონელს ყოველთვის მენავე დაატარებდა.

გადაწყდა, რომ შეტყობინებას დატოვებდნენ ტყის ყველა ბილიკზე, რათა ყველა ახალწამოსულს ენახა და უკან გაბრუნებულიყო. მატი იყო ერთადერთი ადამიანი, რომელიც ყველა ბილიკს იცნობდა და რომელსაც ტყეში შესვლა და ეს სახიფათო მოგზაურობა არ აშინებდა. შეტყობინებებს ჩამოარიგებდა და მერე თავის ძველ საბინადრომდეც გააგრძელებდა გზას. წლების განმავლობაში უწყვეტი კავშირი არსებობდა მის ძველ სამყოფელსა და ამ სოფელს შორის და ახლა იქაურებს ახალი წესდების ამბავიც უნდა გაეგოთ.

ლიდერი ფანჯარასთან იდგა (რაც ხშირად ხდებოდა ხოლმე), სოფელს და ხალხს გასცქეროდა. მატი იცდიდა. ეჩქარებოდა წასვლა, გრძელი მოგზაურობის დაწყება, მაგრამ გრძნობდა, რომ ლიდერს მისთვის რაღაცის თქმა სურდა, რაღაც აქამდე უთქმელის.

ბოლოს ლიდერი გვერდით მდგომ მატის მოუტრიალდა.

- მან გითხრა, რომ მიღმა ვხედავ, არა?

- ჰო. ამბობს, რომ განსაკუთრებული უნარი გაქვს. ისევე, როგორც მის ქალიშვილს.

- მის ქალიშვილს... ეს, ალბათ, ის გოგოა, კირა, ძველი საბინადროდან წამოსვლაში რომ დაგეხმარა. არასოდეს ახსენებს თავის ქალიშვილს.

- ეს სევდას ჰგვრის. თუმცა სულ მასზე ფიქრობს.

- შენ ამბობ, იმ გოგონასაც გამორჩეული უნარი აქვს?

- ჰო, მაგრამ განსხვავებული. ყველას სხვადასხვა უნარი აქვსო, თქვა წინასწარმეტყველმა.

ჩემი უნარის შესახებ იცი? - გაიფიქრა მატიმ, თუმცა კითხვა არ დასჭირვებია. თითქოს მისი აზრები წაიკითხაო, ლიდერმა უთხრა:

- მე ვიცი შენი უნარის შესახებ.

მატის გააჟრჟოლა. ეს ახალაღმოჩენილი უნარი ისევ ძალიან აფრთხობდა.

- საიდუმლოდ შევინახე, - თქვა მობოდიშებით, - წინასწარმეტყველისთვისაც კი არ მითქვამს. არ მინდოდა, რამე მალულად მქონოდა, მაგრამ ჯერ ვცდილობ, მე თვითონ გავიგო, რა მჭირს. ვცდილობ, დავივიწყო, რომ რაღაც სხვანაირად შემიძლია, მაგრამ უეცრად თვითონ იჩენს ხოლმე თავს. ვგრძნობ, როგორ მოდის. და არ ვიცი, როგორ შევაჩერო.

- ნუ ეცდები მაგას. თუ დაუძახებლად მოდის, ესე იგი ეს საჭიროა, ვიღაცას შენი უნარი სჭირდება.

- ბაყაყს? პირველი ბაყაყი იყო!

- ეს შენთვის საჩვენებლად მოხდა. ყოველთვის უმნიშვნელო რამით იწყება. მე როგორ მივხვდი? პირველად მიღმა ვაშლი დავინახე.

საუბრის სერიოზულობის მიუხედავად, მატიმ ჩაიფხუკუნა. ბაყაყი და ვაშლი. და ლეკვი, რომელიც ახლაღა გაახსენდა.

- შესაფერის დროს დაელოდე, მატი, უნარს ნუ გაფლანგავ.

- მაგრამ როგორ მივხვდები?

ლიდერმა გაიღიმა და მატის მხარზე მოუთათუნა:

- მიხვდები.

მატიმ მიიხედ-მოიხედა, ფროლიკი სად არისო, და დაინახა, რომ კუთხეში ეძინა დამრგვალებულს.

- უნდა წავიდე. ჯერ სამგზავრო ნივთები არ ჩამილაგებია. ჯინსაც უნდა გავუარო და ვუთხრა, რომ მივდივარ. ეცოდინება, სად ვარ.

ლიდერმა ხელი ალერსიანად მოხვია და შეაჩერა.

- მოიცადე, მატი. მინდა... - მან ისევ ფანჯარაში გაიხედა.

მატი იდგა და ფიქრობდა, ნეტავ რას ელოდებაო. მერე რაღაც იგრძნო. ლიდერის ხელი უცნაური ძალით აივსო და გაცოცხლდა. მატიმ

ეს ძალა მხოლოდ ხელიდან იგრძნო, თუმცა იცოდა, რომ ის მთლიანად ავსებდა ჭაბუკის სხეულს. მიხვდა, რომ ლიდერის უნარი მოქმედებდა.

ბოლოს, რამდენიმე თითქოსდა გაუსაძლისი წუთის შემდეგ, ლიდერმა მატის ხელი მოაცილა და ამოისუნთქა. სხეული ოდნავ მოუდუნდა. მატიმ სკამამდე მიიყვანა და ჩამოსვა გასავათებული, მძიმედ მფეთქავი.

- ტყე თანდათან ხშირდება, - თქვა ლიდერმა, როცა ხმის ამოღება შეძლო.

მატი ვერ მიხვდა, რა იგულისხმებოდა ამ სიტყვებში. ავბედითად კი ჟღერდა. როდესაც ფანჯარაში გაიხედა და ტყის კიდეზე ბუჩქნარს და ფიჭვებს დააკვირდა, რაღაც განსხვავებულად მოეჩვენა.

- ზუსტად არ მესმის, - თქვა ლიდერმა, მაგრამ ვხედავ ტყეს, რომელიც ხშირდება, როგორც... - და შეყოყმანდა.

- როგორც სისხლი დედდება. ყველაფერი უფრო ინერტული და ავადმყოფური ხდება.

მატიმ ისევ ფანჯარაში გაიხედა.

- ისევ ის ხეებია, ლიდერო, თუმცა ქარიშხალი ახლოვდება. ხომ გესმის ქარის ხმა. შეხედე, ცა იქუფრება. იქნებ შენ ეს დაინახე.

ლიდერმა თავი სკეპტიკურად გააქნია.

- არა, მე ტყე დავინახე. ძნელი გამოსათქმელია, მატი, მაგრამ ვცდილობდი, ტყეში შემეხედა, რათა წინასწარმეტყველის ქალიშვილი შემეგრძნო. და ძნელზე ძნელი შესაღწევი აღმოჩნდა. ტყე... ერთი სიტყვით, ძალიან ხშირი იყო. ვფიქრობ, უმჯობესია, არ წახვიდე, მატი. ვწუხვარ. ვიცი, რომ გიყვარს მოგზაურობა და გეამაყება, რომ მხოლოდ შენ შეგიძლია ეს, მაგრამ, მე მგონი, ახლა ტყე სახიფათოა.

მატის გული გადაუქანდა. იმედი ჰქონდა, რომ ამ მოგზაურობის გამო მიიღებდა თავის ჭეშმარიტ სახელს: შიკრიკი. მაგრამ რაღაცამ უკარნახა, რომ შეიძლება, ლიდერი მართალიც იყო.

მერე გაახსენდა:

- მე უნდა წავიდე, ლიდერო!

- არა, ჩვენ შეგვიძლია შეტყობინებები სოფლის შემოსასვლელში გავაკრათ. ეს იმას ნიშნავს, რომ მძიმე და გრძელი მოგზაურობის შემდეგ ახალმოსულებს უკან გაბრუნება მოუწევთ. აი, რა არის ტრაგიკული. მაგრამ...

- არა, შეტყობინებებს არ ვგულისხმობ, არამედ წინასწარმეტყველის ქალიშვილს! შევპირდი, რომ წავიდოდი და კირას ჩამოვიყვანდი. ეს მისი აქ ჩამოსვლის უკანასკნელი შანსია. და მამამისის უკანასკნელი შანსიც იცხოვროს შვილთან ერთად.

- მოუნდება კი წამოსვლა?

- დარწმუნებული ვარ. ყოველთვის აპირებდა და იცოდა, რომ ოდესმე ამას იზამდა. თანაც, იქ ოჯახი არ ჰყავს. უკვე მოწიფულია, დროა, გათხოვდეს, მაგრამ მას არავინ ითხოვს. ფეხი აქვს მრუდე და ჯოხით დადის.

ლიდერმა რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა.

- მატი, მინდა, კიდევ ერთხელ ვცადო ტყის მიღმა გახედვა და წინასწარმეტყველის ასულის დანახვა. შეგიძლია ჩემთან დარჩე, რადგან შენი წასვლა იმაზეა დამოკიდებული, რას დავინახავ. თუმცა, იცოდე, რომ ჩემთვის ორჯერ ზედიზედ ამის გაკეთება ძალიან ძნელია. ნუ შეგეშინდება იმის, რასაც დაინახავ.

ლიდერი ისევ წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. რაკი იცოდა, რომ ვერაფრით დაეხმარებოდა, მატიმ კუთხეში გადაინაცვლა, სადაც ფროლიკს ეძინა, და მის გვერდით ჩაჯდა. იქიდან უყურებდა ლიდერის დაძაბულ, თითქოსდა ატკივებულ სხეულს.

ჭაბუკს ლურჯი თვალები ღია ჰქონდა, თუმცა ოთახსა თუ ფანჯარაში ჩვეულებრივ საგნებს თითქოს აღარ უყურებდა. მზერით და მთელი არსებით წასული იყო იმ ადგილას, რომელსაც მატი ვერ დაინახავდა და სადაც ლიდერს ვერავინ გაჰყვებოდა. თითქოს ციმციმებდა.

ბოლოს აქანავებული სკამზე დაენარცხა და სულის მობრუნება სცადა.

მატი მიუახლოვდა, გვერდით დაუდგა და დაელოდა, სანამ ლიდერი დაისვენებდა. ახსოვდა, როგორ გრძნობდა თავს ლეკვისა და დედამისის განკურნების შემდეგ, როგორ უნდოდა დაძინება.

- მივაღწიე იქამდე, სადაც ის არის, - თქვა ლიდერმა, როცა ხმის ამოღება შეძლო.

- იცოდა, რომ იქ ხარ? შეეძლო, შენი იქ ყოფნა ეგრძნო?

ლიდერმა თავი გააქნია:

- არა. იმისთვის, რომ ჩემი იქ ყოფნა გაეცნობიერებინა, მეტი ენერგია დამჭირდებოდა. ძალიან შორს არის და ტყეც ხშირი და ძნელად გასაღწევია ახლა.

მატის უეცრად გონება გაუნათდა:

- ლიდერო, როგორ ფიქრობ, შეიძლება, რომ ორი უნარი შეერთდეს?

ლიდერი, რომელიც ისევ მძიმედ სუნთქავდა, მატის მიაჩერდა:

- რას გულისხმობ?

- დარწმუნებული არ ვარ... მაგრამ... რა მოხდება, ნახევარი გზა შენ რომ გაგევლო, ნახევარი იმას? ასე სადღაც შუაში შეხვდებოდით თქვენ-თქვენი უნარებით და შენთვის ნახევარი გზის გავლა ასე ძნელი აღარ იქნებოდა.

ამჯერად ლიდერს თვალები დახუჭული ჰქონდა:

- არ ვიცი, მატი.

ბიჭი დაელოდა, მაგრამ ლიდერს აღარაფერი უთქვამს. ცოტა ხნის შემდეგ მატი შეფიქრიანდა, ხომ არ ჩაეძინაო.

- ფროლიკ! ლეკვმა გაიღვიძა, შეირხა და ბიჭთან მივიდა.

- ლიდერო, - თქვა მისკენ დახრილმა მატიმ, - უნდა წავიდე. ბრმის ქალიშვილი მყავს ჩამოსაყვანი.

- იფრთხილე, - ჩაიჩურჩულა ლიდერმა დახუჭული თვალებით, - ახლა სახიფათოა.

- ფრთხილად ვიქნები. ყოველთვის ვფრთხილობ.

- ნუ გაფლანგავ შენს უნარს, ტყუილუბრალოდ ნუ დახარჯავ.

- არ გავფლანგავ, - მიუგო მატიმ, თუმცა დანამდვილებით არ იცოდა, რას გულისხმობდა ლიდერი.

- მატი...

- ჰო... - მატი უკვე კიბის თავზე იდგა და ხელში ფროლიკი ეჭირა, რომელსაც ჯერ არ შეეძლო, საფეხურებს თავისით გამკლავებოდა.

- ის გოგო ძალიან ლამაზია, არა?

მატიმ მხრები აიჩეჩა. მიხვდა, რომ ლიდერი კირას გულისხმობდა, მაგრამ ბრმის ქალიშვილი მასზე უფროსი იყო. მის უფროს დას ჰგავდა. ძველ საბინადროში არავინ უწოდებდა კირას ლამაზს. იქ სძაგდათ მისი სისუსტე.

- მოღრეცილი ფეხი აქვს, - შეახსენა მატიმ, - და სიარულის დროს ჯოხს ეყრდნობა.

- ჰო, - თქვა ლიდერმა, - ძალიან ლამაზია.

მაგრამ მისი ხმა ძლივსღა ისმოდა, წამის შემდეგ კი უკვე ეძინა. მატი ხელში აყვანილი ფროლიკით კიბეზე დაეშვა.

* * *

შუადღის შემდეგღა გაემზადა მატი გასამგზავრებლად. მანამდე წვიმამ წამოუშინა, მერე კი შეწყდა, მაგრამ ქარი მაინც უბერავდა, ხეებზე ფოთლები ირხეოდნენ და ფერმკრთალ უკანა მხარეს აჩენდნენ. ქარიშხალსაც და ბინდსაც ცა ჩაებნელებინა.

ბარათების პაკეტი მატიმ დახვეულ ჩულოში მოათავსა. ბრმა წყლის ნიჟარასთან იდგა და მატის ზურგჩანთაში საკვებს აწყობდა. წინ შორი გზა ედო, მთელი მოგზაურობისთვის საკმარისს თან ვერ წაიღებდა. თუმცა მატი მიჩვეული იყო ტყის ნობათის გამოყენებას. როცა წინასწარმეტყველის ხელით ჩადებული ნუზლი გათავდებოდა, გზადაგზა იპოვიდა საკვებს.

- სანამ წასული იქნები, მე კირას ოთახს მოვაწყობ. უთხარი ეს, მატი. მყუდრო ოთახში იცხოვრებს. ბაღიც ექნება. ვიცი, რომ ეს მნიშვნელოვანია მისთვის. ბაღი ყოველთვის ჰქონდა.

- არ დამჭირდება მისი დარწმუნება. ყოველთვის ამბობდა, ჩამოვალ, როცა დრო მოვაო. ახლა დრო მოვიდა. ლიდერმა თქვა. ესე იგი კირასაც ეცოდინება. ხომ თქვი, გამორჩეული უნარი აქვსო, - მატი ჯემპრს კეცავდა და ბრმის გამხნევებას ცდილობდა.

- ძნელია იმ ერთადერთი ადგილის მიტოვება, რომლის გარდა, არასოდეს არაფერი გინახავს.

- შენ ხომ შეძელი, - შეახსენა მატიმ.

- სხვა გზა არ მქონდა: აქ მაშინ მომიყვანეს, როცა ტყეში თვალებ-დათხრილი მიპოვეს.

- მეც ხომ შევძელი და ბევრმა სხვამაც.

- ჰო, მართალია. იმედი მაქვს, არც კირას გაუჭირდება.

მატიმ გახედა:

- ჭარხლებს ნუ ჩამიწყობ. ვერ ვიტანს ჭარხალს.

- კარგია შენთვის.

- ძირს დაყრილი არაფრად გამომადგება. და სწორედ ასე მოუვა, თუკი ჩამიწყობ.

ბრმამ ჩაიცინა და ჭარხლები ნიჟარაში ჩაყარა.

- კარგი, ისედაც მძიმეა. მხრებს ჩამოგწყვეტს. აი, სტაფილოს კი ჩავდებ.

- ოღონდ ჭარხალი ნუ იქნება...

კარზე კაკუნი გაისმა. ჯინი იყო. წვიმით დასველებული თმა ჩვეულებრივზე მეტად დახვეოდა.

- ასეთ ამინდშიც მიდიხარ, მატი?

ბიჭს ჯინის წუხილზე გაეცინა.

- თოვლშიც გამივლია ეს ტყე, - დაიტრაბახა მან, - ეს ამინდი არაფერია. ჰო, სადაცაა, გავალ. საგზალს ვალაგებ.

- პური მოგიტანე, - ჯინმა შეხვეული პური ამოიღო კალათიდან. მატიმ შენიშნა, რომ ეს პური ჯინს ფოთლებიანი ტოტით და ყვითელი ქრიზანთემას ყვავილით მოერთო. გამოართვა და მადლობა გადაუხადა, თუმცა თავისთვის გაიფიქრა, ნეტავ როგორ ჩავატევო. ბოლოს ბრმამ მოახერხა, პური დახვეულ ჩულოში ჩაეჩურთა.

- გასვლის წინ რამონთან მინდა შევიარო, - თქვა მატიმ, -ჯობია, ვიჩქარო, თორემ ვერასოდეს გავაღწევ აქედან.

- ოჰ, მატი, - თქვა ჯინმა, - ნუთუ არ იცი? რამონი ძალიან ავად არის. მისი დაც. დაფა უკიდიათ სახლის კარზე. შიგნით ვერავინ შევა.

ძალიან სამწუხარო ამბავი იყო, მაგრამ მატის არ გაჰკვირვებია. ბოლო დღეებში რამონს ახველებდა, ციებცხელებიანივით გამოიყურებოდა, უფრო და უფრო ცუდად ხდებოდა.

- მებალახემ რა თქვა?

- ამიტომაც დაკიდეს კარზე დაფა. მებალახე ამბობს, რომ ეს შეიძლება გადამდები იყოს. იქნებ ეპიდემიაც იწყებაო, ამბობს.

რა ემართებოდა სოფელს? მატი შეშფოთდა. აქ არასოდეს ყოფილა ეპიდემია. მატის ახსოვდა, საიდან მოვიდა: იქ ბევრი კვდებოდა, მერე კი გარდაცვლილის ყველა ნივთს წვავდნენ იმ იმედით, რომ მოსპობდნენ ჭუჭყით, რწყილებით ან, ზოგის აზრით, ჯადოქრობით გაჩენილ სნეულებას. მაგრამ ეს აქ არასოდეს მომხდარა, რადგან ადამიანები ყოველთვის ფრთხილად, სუფთად ცხოვრობდნენ.

შენიშნა, რომ ამ ახალმა ამბავმა ბრმაც კი შეაშფოთა.

მატი იდგა და ფიქრობდა, სანამ წინასწარმეტყველი ჩანთას უსწორებდა ზურგზე და ქვემოდან დახვეულ ჩულოს უმაგრებდა. ჯერ ბაყაყი გაიხსენა, მერე - ლეკვი, მერე დაფიქრდა, ნეტავ ჩემს უნარს ჩემი მეგობრის გადარჩენა თუ შეუძლიაო. მივიდოდა მის სახლში და ორივე ხელს შეახებდა ციებ-ცხელებიან სხეულს. იცოდა, რომ ეს ენით აუწერლად მძიმე იქნებოდა, მთელ ძალას გამოაცლიდა, მაგრამ, მისი აზრით, მეგობრის გადარჩენას მაინც ცდიდა.

და მერე? ასეთი მცდელობისთვის რომც გაეძლო, ძალიან დასუსტდებოდა, გამოკეთება დასჭირდებოდა და ალბათ, ტყეში სიარულს ვეღარ შეძლებდა. იცოდა, ეს რასაც ნიშნავდა: ტყე ხშირდებოდა, მალე გაუვალი გახდებოდა და ბრმის ქალიშვილი სამუდამოდ დაეკარგებოდათ.

და რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, ლიდერმა უთხრა, შენს უნარს გაუფრთხილდიო. არ გაფლანგოო.

ამიტომაც მატიმ დანანებით გადაწყვიტა, სნეული რამონი ბედის ანაბარა დაეტოვებინა.

- შეხედე, - თქვა ჯინმა უეცრად, - შეხედე, ეს სხვანაირია.

მატიმ შეხედა და დაინახა, რომ გოგონა იმ ხალიჩაზე იდგა, რომელიც კირამ მამამისს მოუქსოვა. და მატი აქედანაც კი ხედავდა, რას გულისხმობდა ჯინი: მთელი ტყე, მწვანე ტონების ასობით ჰაწია ნაწიბური ჩამუქებულიყო და ძაფებიც უცნაურად გაკვანძულ-დაკლაკნილიყო. უწინდელი ფაქიზი ნაქსოვი ისეთი ლამაზი აღარ ჩანდა, ავბედითად გამოიყურებოდა და შეუღწევადს ჰგავდა.

მატი მიუახლოვდა და დააცქერდა, შეფიქრიანებული და შეშფოთებული,

- რა ხდება, მატი? – ჰკითხა ჯინმა.

- არაფერი. ყველაფერი რიგზეა, - უპასუხა, თან თვალით ანიშნა, ხალიჩის უცნაურ შეცვლაზე ხმამაღლა არაფერი ეთქვა. არ უნდოდა, ეს წინასწარმეტყველს გაეგო.

წასვლის დრო იყო. მატიმ მხრები შეათამაშა, ზურგჩანთა შეისწორა და ბრმის მოსახვევად დაიხარა.

- უსაფრთხოდ იარე.

მატის გასაკვირად, ჯინმა აკოცა. რამდენჯერ უთქვამს ქილიკით, ერთხელაც გაკოცებო, ახლა კი ნამდვილად აკოცა და ეს იყო სწრაფი, სურნელოვანი შეხება მატის ტუჩებზე, რამაც გაბედულება შემატა და შინიდან გასვლამდე მოანატრა შინ დაბრუნება.

12

ფროლიკს სიბნელის ეშინოდა. აქამდე ეს მატის არასოდეს შეუმჩნევია, რადგანაც ღამით ყოველთვის შინ იყვნენ, ზეთის ლამპით განათებულ ოთახში. ჩაეცინა, ლეკვი რომ აწკმუტუნდა დაღამებისა და ჩაბნელებული ტყის შემხედვარე. აიყვანა, თუმცა, ხელშიც იგრძნო ლეკვის ცახცახი.

ასეა თუ ისე, მაინც ძილის დროაო, გაიფიქრა. მთლად ახლოს იყო მდელოსთან, სადაც პირველად ნახა ბაყაყი. შეიძლება ის ახლაც იქ იყო. ფრთხილად გაუყვა რბილ ხავსს მკერდზე მიკრული ფროლიკით. მერე ჩაიმუხლა მაღალი ხის კოჟრებიან ფესვებთან და ზურგჩანთა მოიხსნა. ჩულო გაშალა, ფროლიკს რამდენიმე ლუკმა აჭამა, პური თვითონაც მოკბიჩა, ლეკვი ჩაიხუტა და ძილს მიეცა.

ყუაყ.

ყუაყ

ამ ხმის გაგონებაზე ფოლიკმა თავი ასწია, დრუნჩი შეარხია და ყურები ცნობისწადილით დაცქვიტა. მერე კი ისევ ჩაეფლო მატის მოხრილ მკლავში და მალე იმასაც ჩაეძინა.

* * *

მოგზაურობაში დღეები სწრაფად გადიოდა. მეოთხე ღამის შემდეგ საგზალი შემოელიათ. მაგრამ მატი ძლიერი იყო და არ ეშინოდა, თან, მისდა გასაკვირად, პატარა ფროლიკს ხელით ტარება აღარ სჭირდებოდა. ლეკვი კუდში მისდევდა და მოთმინებით იჯდა, როდესაც მატი ბილიკების გასაყართან ბარათებს ამაგრებდა. ეს დროს აკარგვინებდა. შეუჩერებლად რომ ევლო, მალე მიაღწევდა კირას სოფელს, თავის უწინდელ საბინადროს. მაგრამ მატი თავს ახსენებდა, რომ შიკრიკობა მისი უმნიშვნელოვანესი საქმე იყო, რის გამოც გვერდითა ბილიკებზე გადადიოდა, დიდ გზას კეცავდა და სოფლის დაკეტვის შესახებ ცნობას ტოვებდა ყველგან, სადაც შეიძლებოდა ახალწამოსულებს გამოევლოთ.

იცოდა, ნაიარევებიანი ქალი და მისი ჯგუფი აღმოსავლეთიდან იყვნენ. ასეთი იერი მხოლოდ აღმოსავლელებს ჰქონდათ. აღმოსავლეთისკენ მიმავალ ბილიკზე მატის მათი მგზავრობის ნაშთები ხვდებოდა: გათელილი ადგილი ბუჩქების ქვეშ, სადაც ეძინათ; ნახშირის ნატეხები, სადაც კოცონი ენთოთ; ვარდისფერი ლენტი, რომელიც ვიღაცას დავარდნოდა. ალბათ, ბავშვსო, გაიფიქრა და ზურგჩანთაში ჩაიდო.

ფიქრობდა, იქნებ იმ ქალმა თავისი ვაჟიშვილი სოფელში დატოვა, თვითონ კი დანარჩენი შვილების ჩამოსაყვანად წავიდაო. მაგრამ ქალის კვალი არსად ჩანდა.

ამინდი არ ირეოდა და მატი მადლიერი იყო, რადგან, მართალია, წინა მოგზაურობებში თოვლიც გაკვალა, მაგრამ სტიქიასთან ჭიდილი ძალიან უმძიმდა. ცუდ ამინდში თითქმის შეუძლებელი იყო საკვების პოვნა, ახლა კი უხვად მოიპოვებოდა ადრეული შემოდგომის კენკრა და თხილ-კაკალი. მატი უღიმოდა მოლაქლაქე ციყვებს, რომლებიც ზამთრისთვის სურსათს იმარაგებდნენ. დანაშაულის გრძნობით დააცარიელა ზამთრის მარაგით ნახევრად სავსე მათი ფუღურო, იცოდა ადგილები, სადაც შეეძლო ეთევზავა, და თევზაობის საუკეთესო მეთოდიც, მაგრამ ფროლიკი თევზს არ მიეკარა, მაშინაც კი, როცა მატიმ ცეცხლზე შეუბრაწა.

- მაშინ მშიერმა იარე, - უთხრა სიცილით და თვითონ შესანსლა დაბრაწული თევზი.

უეცრად ფროლიკმა ყურები ცქვიტა, მიაყურადა და სადღაც გაენთო. მატის მოესმა შეყივლება, ფრთების ფათქუნი, ფოთლების შრიალი და ბრდღვინვა. ცოტა ხნის შემდეგ ფროლიკი დაბრუნდა კმაყოფილი იერით და ულვაშებში ჩარჩენილი რამდენიმე ბუმბულით.

- მაშ, ასე, მე მივირთვი თევზი, შენ - ჩიტი.

მატის ფროლიკთან ლაპარაკი ართობდა, თითქოს ადამიანს ესაუბრებოდა. რაც ბრანჩი მოუკვდა, მატი ბილიკებზე მარტო დადიოდა და ახლა გრძნობდა, რა სასიამოვნო იყო გვერდით ვიღაცის ყოფნა. ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ ფროლიკს მისი თითოეული სიტყვა ესმოდა.

ცვლილება თვალში საცემი არ იყო, მაგრამ მატი მიხვდა, რას გულისხმობდა ლიდერი, როცა ამბობდა, ტყე ხშირდებაო. ბიჭი ისე კარგად იცნობდა ტყეს, რომ შეეძლო, წელიწადის დროებს მოყოლილი ცვლილებები განეჭვრიტა. ჩვეულებრივ, ზაფხულის მიწურულს, ალაგ-ალაგ ფოთლები ცვიოდა, მოგვიანებით, თოვლის მოსვლისას კი, ბევრი ხე მთლიანად შიშვლდებოდა. შუა ზამთარში მატის წყალი ისეთ ადგილებში უნდა ეძებნა, სადაც ნაკადები სწრაფი იყო და არ იყინებოდა. მატისთვის ნაცნობი ბევრი უძრავი გუბე ყინულს გადაიკრავდა. გაზაფხულზე სახიდან აბეზარი მწერების მოშორება მოუწევდა, თუმცა, იმ დროს ახალი კენკრაც იქნებოდა.

ეს ყველაფერი ნაცნობი იყო, მაგრამ ახლა ყველაფერი სხვანაირად ხდებოდა. მატიმ პირველად იგრძნო ტყის მტრული იმპულსი. თევზები უხალისოდ ეგებოდნენ ნემსკავზე; ციყვი, ჩვეულებრივ თავაზიანი კომპანიონი, ბრაზიან ხმას უშვებდა და თითზეც უკბინა, როცა მატიმ ხელი გაუწოდა. წითელ კენკრას, რომელიც ხშირად უჭამია, შავი წინწკლები აჩნდა და სიმწარე დაჰკრავდა; პირველად შენიშნა შხამიანი ტირიფი, რომელიც ტოტებს ბილიკის თავზე იწვდიდა, და რომელიც უწინ არასოდეს უნახავს.

უფრო ბნელოდა კიდეც. ხეები თითქოს მოძრაობდნენ, კენწეროებით ერთმანეთს ეყრდნობოდნენ და ბილიკს სახურავივით ეფარებოდნენ. წვიმისგან დამიცავენო, ფიქრობდა მატი და ეს შეიძლება კარგი ნიშანიც იყო, მაგრამ ხეები კეთილმოსურნეებს არ ჰგავდნენ, დღის სინათლეს ახშობდნენ და ჩრდილებს ისროდნენ, რომლებიც ბილიკს ამრუდებდა. მატიც ხან აქ წაიბორძიკებდა ქვაზე და ხან იქ - ფესვზე.

ახლა ტყეში მყრალი სუნიც იდგა, თითქოს ეს სიბნელე ხრწნაშეპარულ საგნებს მალავდა.

მატი შეჩერდა ერთ მდელოზე, რომელიც წინა მოგზაურობებიდან კარგად ახსოვდა და ჩამოჯდა კუნძზე, ხშირად რომ იყენებდა სკამად საჭმლის მომზადებისას. კუნძი მოულოდნელად ჩაიშალა. მატი ძლივს წამოდგა და სამოსიდან დამპალი ქერქი და შლამიანი, მყრალი ნაფხვენი ჩამოიბერტყა. მორის ნაჭერი, ამდენ ხანს რომ საიმედო და სასარგებლო იყო, მკვდარი მცენარეული მატერიის ნაწილაკებად დაიფშვნა. აქ მატი დასასვენებლად ვეღარასდროს ჩამოჯდებოდა. მან ფეხი წაჰკრა დაფშვნილ კუნძს და უსახლკაროდ დარჩენილი უამრავი ხოჭო ახალი სამალავების საძებნელად გაიფანტა.

მატის მოუსვენრად ძილი დასჩემდა. კოშმარები ტანჯავდა. მერე თავი ასტკივდა და ყელშიც შეახურა.

თუმცა სოფლამდე შორი აღარ იყო, ამიტომ მძიმე-მძიმედ მაინც მიიწევდა წინ და თავშესაქცევად თავის ბავშვობას იგონებდა. გაიხსენა ადრეული წლები, როცა საკუთარ თავს მძვინვართ მძვინვარეს უწოდებდა, როცა მეგობრობდა გოგოსთან, რომელსაც ერქვა კირა და რომელიც ბრმა წინასწარმეტყველის ქალიშვილი იყო.

13

როგორი უტიფარი, თავხედი ბიჭი იყო მაშინ, უმამოდ, გაღატაკებულ-გამწარებული დედის ამარა დარჩენილი, რომელიც ცდილობდა, შვილები როგორმე ერჩინა, თუმცა არც ერთი არ უყვარდა. ჰოდა, მატიც წვრილ-წვრილი დანაშაულებით და დაუსრულებელი ცელქობით

ყველას თვალში ხვდებოდა. თითქმის მთელ დროს თხუპნია ბავშვების ჩამოძენძილ ბანდაში ატარებდა, რომელიც სჩადიოდა ყველაფერს, რაც თავის გადასარჩენად სჭირდებოდა. თავისი სოფლის სისასტიკემ ქურდობასა და ტყუილზე დაგეშა. ზრდასრული რომ ყოფილიყო, ციხეში ჩასვამდნენ ან უფრო უარესს დამართებდნენ.

მაგრამ ბიჭს ყოველთვის ჰქონდა კეთილი მხარეც, მიუხედავად იმისა, რომ მას ხშირად ნიღბავდა. უყვარდა თავისი ძაღლი ავადმყოფი ქოფაკი, რომელიც იპოვა, მოუარა და გამოაჯანმრთელა. შეუყვარდა ხეიბარი გოგონა კირა, რომელსაც არასოდეს ენახა მამამისი, დედა კი მოულოდნელად მოუკვდა და მარტო დატოვა.

- შენ ჩემი თილისმა ხარ, - ეუბნებოდა კირა და იცინოდა, - ჩემი საყრდენი.

პირველად მან აიძულა მატი, ებანავა; ასწავლიდა ზრდილობიან ქცევას, უყვებოდა ამბებს.

- მე ვარ მძვინვართ მძვინვარე! - დაიტრაბახა კირასთან ერთხელ.

- შენ ხარ ბინძურთ ბინძური, - მიუგო მან სიცილით და პირველად აბანავა. მატი იბრძოდა და ეწინააღმდეგებოდა, თუმცა, სინამდვილეში, თბილი წყალი სიამოვნებდა. არასდროს ჰყვარებია საპონი, მაგრამ კირამ ცოტაოდენი თავისი საპონი უწილადა და მატიმ იგრძნო, როგორ ჩამოშორდა წლობით ჩამჯდარი ჭუჭყი. ამიერიდან იცოდა, რომ შეეძლო, უფრო სუფთა და უკეთეს ბიჭად ქცეულიყო.

იმთავითვე ბევრს ხეტიალებდა, შემოვლილი ჰქონდა ტყის ჩახლართული ბილიკები. ამ სოფლისკენ გზასაც შემთხვევით გადააწყდა და იქ ბრმა კაცი იპოვა.

- ცოცხალია ჩემი ქალიშვილი? - ჰკითხა ბრმამ ეჭვიანად. - არ მომკვდარა?

ბრმა ადამიანისთვის დაბრუნება ძნელი იყო. მათ, ვინც მისი მოკვლა სცადეს, ვინც წლების წინ ტყეში თვალებდათხრილი დატოვეს, ეგონათ, რომ საწადელს მიაღწიეს და თუ დაბრუნდებოდა, მაშინვე მოკლავდნენ. მაგრამ მატიმ მიპარვის დიდოსტატმა - ღამით მიიყვანა იგი თავის გოგონასთან შესახვედრად. ოთახის კუთხიდან უყურებდა, როგორ იცნო კირამ გატეხილი ქვა, რომელიც წინასწარმეტყველს

ავგაროზივით დაჰქონდა და იმ ნახევარს შეუწყვილა, მომაკვდავმა დედამ რომ დაუტოვა. მატიმ დაინახა, როგორ შეეხო ბრმა კაცი თავისი ქალიშვილის სახეს, რათა კარგად შეესწავლა, მერე მდუმარედ უყურა, ტკივილით გაერთიანებული და გულშეძრული მამა-შვილი როგორ გლოვობდა საერთო დანაკარგს.

მეორე დღეს, როცა ჩამობნელდა, მატიმ ბრმა უკან წამოიყვანა. თუმცა კირა არ გამოჰყვა. მაშინ - არა.

- ოდესმე წამოვალ, - უთხრა მამამისს და მატის, როცა სოფელში გაყოლა სთხოვეს, - აქ ჯერ კიდევ დამრჩა საქმეები.

- ალბათ, ვინმე ჭაბუკია, - უთხრა ბრმამ მატის, როცა კირას გარეშე ბრუნდებოდნენ სოფელში, - ჩემი გოგონა ახლა სწორედ ამ ასაკისაა.

არა, - თქვა მატიმ ზიზღით, - ეგ კირას არ ეხება. კირას უკეთესი რამეები აქვს თავში, - მერე დაამატა: - ის ძალიან კოჭლობს. კოჭლი კი ვერასდროს დაოჯახდება. კირა იღბლიანია, მხეცებს რომ არ შეაჭამეს. უნდოდათ კი, მაგრამ დაინდეს, რადგან ისეთი რამეების კეთება შეუძლია, რაც მათ სჭირდებათ.

- რაების?

- ყვავილებს აშენებს და...

- ყვავილებს დედამისიც უვლიდა...

- ჰო, დედამ ასწავლა. მერე კი იმ ყვავილებისგან საღებავების მიღებაც.

- საღებავების?

- ჰო, ძაფებს ღებავს, იმ ძაფებით კი სურათებს ქსოვს. ამას სხვა ვერავინ აკეთებს. ჯადოსნურად ქსოვსო, ამბობენ. ჰოდა, ამისთვის სჭირდებათ.

- ჩვენს სოფელში დიდი პატივით მიიღებენ. არა მხოლოდ ნიჭის, არამედ მრუდე ფეხის გამოც.

- გაუხვიე, – მატი ბრმას მკლავში ჩაეჭიდა და მარჯვნივ გაუძღვა, ბილიკის მოსახვევში, - აქ ფესვებია.

შენიშნა, რომ ერთი ფესვი წამოიწია და ბრმის სანდლიან ფეხს ოდნავ შეესო. ამან მატის მოსვენება დაუკარგა, რადგან იგრძნო, რომ ტყემ ბრმა გააფრთხილა. ის ამ გზას ვეღარასდროს გაივლიდა.

- კირა წამოვა, როცა მზად იქნება, - შეაგულიანა მატიმ, - მანამდე მე ვივლი წინ და უკან.

თუმცა კირას ბოლო მონახულების შემდეგ უკვე ორი წელი იყო გასული.

* * *

მატი ბორძიკით გავიდა ტყიდან. უეცარმა მზემ თვალი მოსჭრა. არაერთი დღე გაატარა ხშირი ტყის ბინდში და გრძნობდა, რომ სინათლეს მთლად გადასჩვეოდა.

ბილიკზე დაეცა და ცოტა ხანში აქოშინებული გაჭირვებით წამოჯდა. ოდნავ თავბრუ ეხვეოდა, აწრიალებული ფროლიკი ფეხზე ფხოჭნიდა. წარსულში მუდამ... რა სიტყვა მიესადაგებინა? ჰო, გამოირონინებდა ხოლმე ტყიდან, ზოგჯერ - სტვენითაც. მაგრამ ახლა ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. გრძნობდა, რომ გამოაგდეს. თითქოს დაღეჭეს და გადმოაფურთხეს. როდესაც უკან მიიხედა, იქით, საიდანაც მოვიდა, სტუმართმოძულე, მტრული, დახშული სამყარო დაინახა.

იცოდა, რომ კიდევ ერთხელ უნდა შესულიყო ტყეში და გაჰყოლოდა იმავე ბილიკებს, ახლა რომ ასე ავისმომასწავებლად მოჩანდა. კირას უნდა გასძღოლოდა იქ, მამამისთან, უსაფრთხო მომავლისკენ. და უცებ მატი მიხვდა, რომ ეს იქნებოდა მისი უკანასკნელი მოგზაურობა ამ სანახებში.

დიდი დრო აღარ რჩებოდა და აქ დიდხანს ვერ შეყოვნდებოდა, ვერ მოინახულებდა ბავშვობის ამფსონებს, რომ მათთან ერთად გაეხსენებინა უწინდელი ოინები, ან წაეტრაბახა თავისი დღევანდელი მდგომარეობით. არადა, როცა აქ ჩამოდიოდა, ყოველთვის ასე ხდებოდა. იმ უცნობსაც კი ვერ დაემშვიდობებოდა, რომელიც ოდესღაც მისი ძმა იყო.

გადაწყვეტილების მიღების დღიდან სამი კვირის შემდეგ სოფელი ჩაიკეტებოდა. მატიმ დაკვირვებით გამოთვალა მოგზაურობის დღეები, დაამატა ის დღეებიც, რომლებიც გვერდითა ბილიკებზე ბარათების დასატოვებლად დასჭირდა და მიხვდა, რომ მხოლოდ და-

სასვენებელი დროღა დარჩენოდა, რაც დასჭირდებოდა უკანა გზისთვის საჭირო ნუზლის შესაგროვებლად და კირას დასარწმუნებლად, რომ გაჰყოლოდა. თუ ტყეში შეუჩერებლად ივლიდნენ (თუმცა, იცოდა, რომ გოგონასთან, რომელიც ჯოხით დადიოდა, სწრაფად სიარული გაუჭირდებოდა), სოფლამდე დროულად ჩააღწევდნენ.

მატიმ თვალები მოჭუტა, ღრმად ჩაისუნთქა, წამოდგა და მოსახვევთან პატარა ქოხს მიაშურა, რომელშიც კირა ცხოვრობდა,

* * *

ბაღები უფრო დიდი დახვდა, ვიდრე ახსოვდა. ბოლო ჩამოსვლის შემდეგ კირას თავისი ბაღები გაეფართოებინა. ყვითელი და მუქი ვარდისფერი ყვავილების სქელი გირლანდები შემოვლებოდა პატარა სახლს, რომლის კოჭები ხელით იყო გამოთლილი, სახურავი კი ჩალით გადაეხურათ. მატის არასოდეს მიუქცევია ყურადღება ყვავილების სახელებისთვის (ბიჭები, როგორც წესი, ასეთ რამეებს არაფრად აგდებენ), მაგრამ ამჯერად მოუნდა, ეს სახელები სცოდნოდა, რომ მერე ჯინისთვის ეთქვა.

ფროლიკი მიუახლოვდა ხის მარგილს, რომელსაც მეწამულყვავილებიანი მცენარე შემოხვეოდა, და ფეხი ასწია თავისი იქ ყოფნისა და ღირსების საჩვენებლად.

ქოხის კარი გაიღო და კირა გამოჩნდა. ლურჯი კაბა ეცვა, გრძელი შავი თმა კი შესაფერისი ლენტით უკან აეკრა.

- მატი! - შესძახა სიხარულით.

მატიმ გაუღიმა.

- ახალი ლეკვიც გყავს! ვიცოდი, რომ უძაღლოდ ვერ გაძლებდი. მახსოვს, რა სევდიანი იყავი ბრანჩის სიკვდილის შემდეგ.

- ფროლიკი ჰქვია. მაგრამ ასველებს შენს...

- კლემატისს. ეგ არაფერია, - თქვა კირამ სიცილით, მატისთან მივიდა და გულში ჩაიკრა.

ასეთი ჩახუტებისას მატი მხრებს უხერხულად აიწურავდა და განზე იწევდა ხოლმე, ახლა კი, გასავათებულმა, მაგრამ სიყვარულით აღსავსემ, კირა ჩაიხუტა და, თავისდა გასაოცრად, იგრძნო, რომ

თვალები ცრემლით აევსო, თუმცა, ეს ცრემლები თვალების სწრაფი ხამხამით მაშინვე უკან გააბრუნა.

- კარგი. ახლა უკან დაიხიე და დამენახვე, - უთხრა კირამ, - ჩემზე მაღალი ხარ?

მატიმ ღიმილით გაიმანძილა და დაინახა, რომ უკვე ტოლები იყვნენ.

- მალე გამასწრებ. ხმაც უკვე თითქმის კაცისა გაქვს.

- შექსპირის კითხვაც შემიძლია, - თქვა მატიმ ბღენძით.

- ოჰ! ეგ მეც შემიძლია! - დაუბრუნა კირამ და მატი მიხვდა, რაოდენ შეცვლილიყო ეს სოფელი, სადაც უწინ გოგონებს სწავლა ეკრძალებოდათ.

- ოჰ, მატი, მახსოვს, რა ერთი ბეწო და ველური იყავი!

- მძვინვართ მძვინვარე! - შეახსენა მატიმ და კირამაც ალერსით გაუღიმა.

- დაღლილი იქნები. მშიერიც. ამხელა გზა გამოიარე. შემოდი. სუპი მიდგას ცეცხლზე, თან მამაჩემის ამბებიც მაინტერესებს.

მატი ნაცნობ ქოხში შეჰყვა და დაელოდა, რომ კირას კედელზე მიყუდებული ჯოხი აეღო და მარჯვენა ხელქვეშ ამოედო. ფეხათრეულმა გოგონამ თაროდან თიხის თასი ჩამოიღო და ცეცხლთან მივიდა, სადაც დიდი ქვაბი თუხთუხებდა და ბალახებისა და ბოსტნეულის სუნს აყენებდა.

მატიმ მიიხედ-მოიხედა. გასაკვირი არ იყო, რომ კირას არასდროს უნდოდა აქაურობის მიტოვება. ჭერის მსხვილი კოჭებიდან ძირს უამრავი გამხმატი ბალახი და მცენარე ეშვებოდა, რომლებითაც კირა საღებავებს ამზადებდა. კედელზე დაკიდებული თაროებიდან ფერების მიხედვით დალაგებული ძაფები და გორგლები ანათებდა: ერთ ბოლოში თეთრი და ღია ყვითელი, რომლებიც თანდათანობით გადადიოდა ლურჯსა და მეწამულში, მერე კი ყავისფერში, ნაცრისფერსა და სხვა ფერებში. კუთხეში, საქსოვ დაზგაზე, ორ ფანჯარას შორის, ნახევრად დამთავრებულ ქსოვილზე ჩანდა მთებიანი პეიზაჟის რთული ნაქარგი. მატი მიხვდა, რომ ამჟამად კირა ცას ქსოვდა და შიგ ფრთოსანი ღრუბლების მოვარდისფრო თეთრი ამოექარგა.

ორთქლმდინარე თასი მატის მაგიდაზე დაუდგა, მერე კი ნიჟარასთან მივიდა და ფროლიკისთვის მეორე თასში წყალი გადმოასხა.

- ახლა მამაჩემზე მიამბე. როგორ არის?

- კარგად. სიყვარულს გითვლის.

მატი უყურებდა, როგორ მიაყუდა კირამ თავისი ჯოხი ნიჟარას და გაჭირვებით დაიხარა იატაკზე თასის დასადგმელად. მერე გასძახა ფროლიკს, გულმოდგინედ რომ ღეჭავდა ცოცხს ოთახის კუთხეში.

როდესაც ლეკვი მიუახლოვდა და წყლიან თასს მიაჩერდა, კირა ისევ წამოდგა, პურს სქელი ნაჭერი ჩამოაჭრა, ჯოხი ისევ იღლიაში ამოიდო და პური მაგიდაზე მოიტანა. მატი აკვირდებოდა კირას ჩვეულ სიარულის მანერას. შიგნით შეტრიალებული მარჯვენა ტერფი მთელ ფეხს თავისკენ ექაჩებოდა, ფეხს, რომელიც მეორე ფეხივით არ გაზრდოდა და უფრო მოკლე და უმოქმედო დარჩენილიყო.

მატიმ მადლობა გადაუხადა და პურის ერთი ბოლო სუპში ჩააწო.

- საყვარელი ლეკვია.

მატი სანახევროდ უსმენდა კირას ხალისიან ლაქლაქს მის ლეკვზე. ახლა ის ფიქრობდა ფროლიკის დაბადებასა და იმაზე, რომ ის და დედამისი სიკვდილის პირას იყვნენ. მერე კირას მრუდე ფეხს დახედა: რა იოლად ივლიდა, უფრო მტკიცედ და სწრაფად გადადგამდა ნაბიჯებს, ეს ფეხიც გამართული რომ ჰქონოდა და მიწაზე რიგიანად დადგმა შესძლებოდა.

გაახსენდა ნაშუადღევი ლეკვისა და დედამისის გადარჩენის შემდეგ. დღესაც დაღლილი იყო, ძალიან დაღალა ტყეში ხანგრძლივმა მოგზაურობამ, მაგრამ მაშინ, იმ ნაშუადღევს, აშკარად იგრძნო სიკვდილის სიახლოვე.

სცადა გაეხსენებინა, რამდენი დრო დასჭირდა გამოსაკეთებლად. ახსოვდა, რომ გვიან ნაშუადღევამდე ეძინა და ბრმის შინ არყოფნა უხაროდა, რადგან ის ჰკითხავდა, რა დაგემართაო. სადილამდე გაიღვიძა მაინც დაღლილმა, თუმცა ამ ამბის დამალვა, ჭამა და ლაპარაკი შეძლო, თითქოს არაფერი მომხდარიყო.

ამრიგად, გამოკეთებას სულ რამდენიმე საათი დასჭირდა, მაგრამ ეს ხომ ლეკვი იყო. ჰო, ლეკვი და დედა: ორი ძაღლი. მატიმ მოასულიერა (განკურნა? გადაარჩინა?) ორი ძაღლი დილით, თვითონ კი გასავათებას დღის ბოლოს ძლივს დააღწია თავი.

- მატი! შენ არ მისმენ! ნახევრად გძინავს! - კირა ხმამაღლა და თანაგრძნობით კისკისებდა.

- მაპატიე, - მატიმ პურის ბოლო ლუკმა პირში ჩაიდო და მობოდიშებით მიაჩერდა კირას.

- ორივე დაღლილი ხართ. ფროლიკს შეხედე.

მატიმ გახედა: ლეკვს მკვდარივით ეძინა; ისე დახვეულიყო კართან დაზვინულ შეუღებავ ძაფის მორგვში, თითქოს ეს რბილი გროვა დედის კალთა ყოფილიყო.

- ბაღში სამუშაო მაქვს, მატი. კორეოპსისს ბიჯგები აქვს შესაყენებელი და ჯერაც არ გამიკეთებია. შენ დაწექი და ცოტა დაისვენე, სანამ გარეთ ვიქნები. მოგვიანებით ვისაუბრებთ. მერე სოფელშიც გახვალ და მეგობრებს მოინახულებ.

მატიმ თავი დაუქნია, დივანთან მივიდა და ზემოდან გადაფარებულ მოქსოვილ ჩულოზე მიწვა. გონებაში დარჩენილ დღეებს ითვლიდა. კირას მოგვიანებით აუხსნიდა, რომ ძველი ძმაკაცების მონახულების დრო არ ჰქონდა.

გასავათებული მზერით უყურებდა, როგორ მიიტანა კირამ მისი თასი წყლის ნიჟარამდე, შიგ ჩადო, მერე კი თაროდან ბოძკინტები და ბაზრის გორგალი ჩამოიღო და ბაღის იარაღებით ხელში მიბრუნდა გარეთ გასასვლელად. მრუდე ფეხი ჩვეულებრივად დასთრევდა. უკვე ამდენი ხანია, მატიმ კირასი ყველაფერი იცოდა: მისი ღიმილი, მისი ხმა, მისი ხალისიანი ოპტიმიზმი, მისი ხელების საოცარი ძალა და ოსტატობა, მისი ფეხის - ამ მძიმედ სათრევი ტვირთის - სიმძიმე.

- არა, ეს უნდა გითხრა, - გაიფიქრა მატიმ ჩაძინებამდე, - მე შემიძლია განგკურნო.

მისდა გასაკვირად, კირამ უარი უთხრა. არა, წასვლაზე არა მატის ეს ჯერ არ ეთქვა - არამედ ფეხის გამრთელებაზე. გადაწყვეტილი, მტკიცე უარი.

- მე ასეთი ვარ, მატი. ასეთი ვიყავი ყოველთვის.

კირა ალერსიანად უყურებდა, თუმცა ხმა მტკიცე ჰქონდა. საღამო იდგა. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა და კირას ზეთის ლამპებიც აენთო. მატიმ ინატრა, ნეტავ, ბრმაც აქ იყოს, ჩვენთან, თავის ინსტრუმენტზე უკრავდესო, რადგან რბილი, ნატიფი აკორდები მუდამ სიმშვიდეს სძენდა მათ საღამოებს. სურდა, კირასაც მოესმინა ეს მუსიკა, მისი მოგვრილი სიმყუდროვე შეეგრძნო.

კირას ჯერ არ ეუბნებოდა, უნდა გამომყვეო. ვახშმის დროს კირა სოფელში მომხდარ ცვლილებებზე ტიკტიკებდა, იმაზე, თუ რაოდენ უკეთ იყო ამჟამად ყველაფერი, მატი კი მხოლოდ სანახევროდ უსმენდა. გონებაში იმას წონიდა, რა ეთქვა კირასთვის, როდის და როგორ. დრო ძალიან ცოტა ჰქონდათ და მატიმ იცოდა, რომ ეს განზრახვა კირასთვის მტკიცე და დამაჯერებელი ტონით უნდა გაემხილა.

და უცებ საკუთარ ხეიბრობაზე კირას ნათქვამი გაიგონა. ის აღწერდა გობელენს, რომელიც საქორწინო საჩუქრად მოუქარგა თავის მეგობარ თომასს - ამ ცოტა ხნის წინ დაქორწინებულ მეგრავიურეს.

- მთლიანად დასრულებული და დახვეული იყო, ყვავილებითაც მოვრთე, - ჰყვებოდა კირა, - ქორწილის დღეს სახლიდან გავედი და ისიც თან წავიღე. მაგრამ წვიმდა, ბილიკი სველი იყო, ფეხი დამიცურდა და ქსოვილი ტალახში ჩამივარდა! - გადაიკისკისა, - საბედნიეროდ, ჯერ ადრე იყო, შინ დავბრუნდი და გაწმენდა მოვასწარი. ვერავინ ვერაფერი გაიგო.

- როცა გარეთ სისველეა, ეს ფეხი და ჯოხი დიდი ხათაბალაა, - განაგრძო კირამ, - ამ ჯოხმა ვერა და ვერ ისწავლა ტალახში სიარული.

კირა ქვაბს გადასწვდა და ორ ტოლჩაში ჩაი დაამატა.

და უეცრად, თავისთვისვე მოულოდნელად, მატიმ წამოისროლა:

- მე შემიძლია, ფეხი გაგისწორო.

ოთახში სრული სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ცეცხლის ტკაცატკუცი ისმოდა. კირა მატის მისჩერებოდა.

- შემიძლია, - გაიმეორა ბიჭმა, - მე მაგის უნარი დამყვა. მამაშენი ამბობს, რომ შენც გაქვს გამორჩეული უნარი, ამიტომაც ამას გაიგებ.

- მაქვს, დათანხმდა კირა, - ყოველთვის მქონდა. მაგრამ ჩემი უნარი მოღრეცილ ფეხებს ვერ ასწორებს.

- ვიცი. მამაშენმა მითხრა, რომ შენ სხვა უნარი გაქვს.

კირამ ხელებზე დაიხედა, ჩაის ტოლჩას რომ შემოსჭდობოდა. თითები გაშალა, ხელები მაგიდის ზემოთ გაიწვდინა და გადმოაბრუნა. მატიმ დაინახა თხელი ხელისგულები და ღონიერი თითები, წვერებში დაკოჟრილი ბაღის სამუშაოს, დაზგისა და ნემსებისგან, რომლებითაც თავის მრავალფერ, მშვენიერ ხალიჩებს ქმნიდა.

- ჩემი უნარი ჩემი ხელებია, - თქვა მშვიდად, - ეს მაშინ ხდება, როცა რაღაცებს ვაკეთებ. ჩემი ხელები...

მატიმ იცოდა, რომ არ უნდა შეეწყვეტინებინა, მაგრამ დრო აღარ ითმენდა. ამიტომაც სიტყვა ჩაუჭრა და თან მოუბოდიშა.

- კირა, ყველაფერი მაინტერესებს შენი უნარის შესახებ, ოღონდ მოგვიანებით. ახლა მნიშვნელოვანი რამეებია გასაკეთებელი და გადასაწყვეტი. რაღაც უნდა გიჩვენო, უყურე, ჩემი უნარიც ჩემს ხელებშია.

ეს მატის არ დაუგეგმავს, მაგრამ ამწუთას აუცილებელი ეჩვენა. მაგიდაზე ბასრი დანა იყო, რომლითაც კირამ ვახშმისთვის პური დაჭრა. მატიმ დანა აიღო, დაიხარა და შარვლის მარცხენა ტოტი აიწია. კირა შეცბუნებული უყურებდა. სწრაფად, თვალის დაუხამხამებლად, მატიმ დანა მუხლში იჩხვლიტა. მუქწითელი სისხლი წვივს წვრილ, დაკლაკნილ ჭავლად ჩაუყვა.

- ოჰ! - კირას სუნთქვა შეეკრა. მატის მიშტერებულს, ხელი ტუჩებზე მიედო, - ეგ რა...?

მატიმ ნერწყვი გადაყლაპა, ღრმად ჩაისუნთქა, თვალები დახუჭა და ორივე ხელი ჭრილობიან მუხლზე დაიდო. იგრძნო, რომ ის უახ-

ლოვდებოდა. იგრძნო ძარღვების ფეთქვა, მერე ვიბრაცია მთელ სხეულში, ძალა, რომელიც ხელებიდან ჭრილობაში გადადიოდა. ეს რამდენიმე წამს გაგრძელდა.

მატიმ თვალები დაახამხამა და ხელები ჭრილობას მოაშორა. ხელისგულებზე ცოტაოდენი სისხლი წასცხებოდა, ფეხს ჩაყოლილ სისხლის ჭავლს კი უკვე შეშრობა დაეწყო.

- მატი! რაც უნდა იყოს... - დაიწყო კირამ, მაგრამ მატის ჟესტზე წინ გადაიხარა და მუხლზე ფრთხილად დახედა. მეორე წამს მაგიდაზე დადებულ ნაქსოვ ხელსახოცს დასწვდა, ჩაიში ჩააწო და მატის ფეხი ამ სველი ქსოვილით გაუწმინდა. სისხლის კლაკნილი გაქრა. მუხლი უნაწიბურო და მრთელი იყო. ჭრილობის ნიშანწყალიც არ ჩანდა. კირა დაჟინებით დააცქერდა, მერე ტუჩზე იკბინა, ხელი გაიწვდინა და შარვლის ტოტი მუხლზე ჩამოუწია.

- ვხედავ, - მხოლოდ ეს თქვა.

მატიმ ამ პროცედურით მოგვრილი დაღლილობის ტალღა ჩამოიფერთხა.

- ეს ერთი ციცქნა ჭრილობა იყო, - აუხსნა კირას, - შენთვის საჩვენებლად გავაკეთე. არ გამჭირვებია. მაგრამ იგივე უფრო დიდი არსებებისთვისაც გამიკეთებია, კირა, უფრო დიდი ჭრილობები რომ ჰქონდათ.

- ადამიანებისთვის?

- ჯერ არა. მაგრამ შემიძლია, მათაც გავუკეთო. ვგრძნობ, კირა. რაკი უნარი აღმომაჩნდა, შენც იცი, რომ შევძლებ.

გოგონამ თავი დაუქნია:

- ჰო, ეგრეა,

კირამ დაიხედა მაგიდაზე დაწყობილ ხელებზე, რომლებითაც ისევ ჩაებღუჯა სველი ქსოვილი.

- კირა, ეგ ფეხი დიდ ძალას წამართმევს. ამის შემდეგ გამოძინება დამჭირდება, შეიძლება, მთელი დღე ან უფრო მეტი ხანიც, მე კი დრო არ მაქვს.

- დრო რისთვის? - კირამ დაბნეული მზერა მიაპყრო.

- აგიხსნი. მაგრამ, ვფიქრობ, უკვე უნდა დავიწყოთ. თუ ახლავე დავიწყებ, მაშინ შევძლებ, მთელი ღამით და დილით გამოძინებას. შენ კი შეგეძლება, ეს დრო გამოიყენო იმის შესაჩვევად, რომ ჯანმრთელი ხარ...

- მე ჯანმრთელი ვარ, - გამომწვევად მიუგო კირამ.

- ორ ღონიერ ფეხს ვგულისხმობ. გაოცდები, როგორი შეგრძნებაა ეს. უფრო იოლად იმოძრავებ. ოღონდ ამის შესაჩვევადაც დრო დაგჭირდება.

კირა თვალმოუშორებლად მისჩერებოდა. მერე გამრუდებულ ფეხზე დაიხედა.

- რატომ არ წვები დივანზე? ამ სკამს გადმოვიტან და გვერდით მოგიჯდები, - და მატი მომავალი პროცედურისთვის ხელების დაზელას მოჰყვა. რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა და ენერგიის მოძღვავება იგრძნო. შეეძლო ეთქვა, რომ ძალა დაუბრუნდა. მუხლის ჭრილობა ხომ ძალიან უმნიშვნელო რამ იყო.

მატი წამოდგა, ხის სკამიც გაიყოლა და გადადგა დივანთან, რომელზეც ნაშუადღევს ჩასთვლიმა. ბალიშები ისე დააწყო, რომ კირა მოხერხებულად მიწოლილიყო. ზურგს უკან გაიგონა, რომ კირაც წამოდგა, მაგიდაზე მიყუდებული ჯოხი აიღო და ოთახი გადაიარა. მატი შემობრუნდა და, თავისდა გასაკვირად, დაინახა, რომ კირას ტოლჩები წყლის ნიჟარასთან მიეტანა და ჩვეულებისამებრ, დარეცხვას აპირებდა.

- კირა!

გოგონამ გამოხედა, შუბლი ოდნავ შეჭმუხნა და მტკიცედ იუარა.

მასთან კამათი შეუძლებელი იყო. ცოტა ხნის შემდეგ მატიმ მცდელობას თავი დაანება.

ბოლოს სკამი ისევ გადადგა, ისე, რომ ცეცხლთან დამჯდარიყო. ზაფხულის მიწურულს საღამოობით უკვე გრილოდა, ტყეში კი ღამით ციოდა კიდეც და მატის დილაობით გაფიჩხულს ეღვიძებოდა, თან ყველაფერი სტკიოდა.

კირამ აიღო პატარა ხის ჩარჩო, რომელზეც მჭიდროდ იყო გადაკრული ნახევრად დამთავრებული ნაქარგი, თავის სკამთან მიიტანა

და ხასხასა ძაფებით სავსე კალათიც გვერდით მიიდგა. მერე ჯოხი ბუ-ხართან მიაყუდა, დაჯდა და აიღო ნემსი, რომელიც - მწვანეძაფ-გაყრილი და ნაქარგზე დარჭობილი უკვე საქმის გაგრძელებას ელო-და.

- წამოგყვები, - თქვა კირამ სრულიად მოულოდნელად თავისი მშვიდი ხმით, - მაგრამ წამოგყვები ასეთი, როგორიც ვარ: ჩემი ფეხით და ჩემი ჯოხით.

საგონებელში ჩავარდნილი ბიჭი გოგონას მიაჩერდა. საიდან იცოდა, მატი რის შეთავაზებას უპირებდა?

- უნდა ამეხსნა, - თქვა ხანგრძლივი დუმილის შემდეგ, - მინდოდა, დამერწმუნებინე. როგორ...

- ჩემს უნარზე ხომ დავიწყე ლაპარაკი, - უთხრა კირამ, - ჩემი ხე-ლების ძალაზე... მოსწიე სკამი უფრო ახლოს და გიჩვენებ.

მატი გვერდით მიუჯდა ხის სკამზე. კირამ ისე გადმოხარა ნაქარ-გიანი ჩარჩო, რომ მატის დაენახა. ბრმა კაცის სახლის კედელზე და-კიდებული ფერადი გობელენის მსგავსად, ესეც პეიზაჟი იყო. ნაქსოვს რთული და პაწაწინა ნაწიბურები ჰქონდა, თითოეული სექცია კი ფე-რების ფაქიზი ვარიაცია იყო: მუქი მწვანე ნელ-ნელა გადადიოდა ოდ-ნავ უფრო ღიაში, მერე უფრო ღიაში, სანამ კიდეებზე მქრქალ ყვით-ლად არ იქცეოდა. ფერთა შეხამება ქმნიდა ხეების დახვეწილ ქარგას უამრავი პაწაწკინტელა ფოთლით.

- ეს ტყეა, - თქვა მატიმ, რომელმაც ნახატი იცნო. კირამ თავი და-აქნია.

იქით გაიხედე, უთხრა და თითი ზედა მარჯვენა კუთხისკენ წა-იღო, სადაც ტყე იხსნებოდა და დაკლაკნილ ბილიკებს პაწაწინა სახ-ლები მიუყვებოდა.

მატის ისეთი განცდა გაუჩნდა, თითქმის ცნობდა სახლს, რომელ-შიც ბრმასთან ერთად ცხოვრობდა, თუმცა ნაქარგზე ის უსაშველოდ პატარა ჩანდა.

- სოფელი! თქვა მატიმ, რომელიც მოწიწებით აკვირდებოდა კი-რას ხელოვნებას.

- კიდევ და კიდევ ვქარგავ ამ სცენას, - თქვა კირამ, - და ზოგჯერ არ მესმის, როგორ მოძრაობს ჩემი ხელები. თითქოს ძაფები თვითონ იძენს ძალას.

მატი ნაქარგისკენ უფრო მეტად დაიხარა. მისი დეტალების სიმცირემ გააოგნა.

- მატი, არასოდეს მიმუშავია ისე, რომ ვინმე მიყურებდეს. თუმცა ახლა ხელებში ამ უნარს ვგრძნობ. უყურე.

მატი თვალმოუშორებლად მისჩერებოდა. კირას მარჯვენა ხელმა მწვანეძაფგაყრილი ნემსი შემართა და დაუმთავრებელ ადგილას, ტყესთან ახლოს ქსოვილში ჩაუშვა. უცებ ორივე ხელი ოდნავ ათრთოლდა. ხელები ციმციმებდა. მატის ეს ერთხელ ნანახი ჰქონდა, იმ დღეს, როცა ფანჯარასთან მდგომმა ლიდერმა ძალა მოიკრიბა და მიღმა გაიხედა.

მატიმ სახეზე ახედა. კირას თვალები დახუჭული ჰქონდა, თუმცა ამჯერად ხელებს უსწრაფესად ამოძრავებდა. კიდევ და კიდევ ჰყოფდა კალათაში და ისე სწრაფად ცვლიდა ძაფებს, მატი ძლივს ასწრებდა თვალის მიდევნებას, ნემსი კი ქსოვილში შედიოდა, შედიოდა, შედიოდა.

დრო თითქოს შეჩერდა. ცეცხლი ისევ ტკაცუნობდა და შეშა შიშინებდა. ბუხრის პირას ფროლიკი ძილში ხვნეშოდა. მატი ხმის ამოუღებლად შეჰყურებდა მოციმციმე ხელების ფრენას. თითქოს ერთიმეორეს საათები, დღეები, კვირები მიჰყვებოდა, თუმცაღა, მხოლოდ თვალის ერთი დახამხამება, ერთი წამი იყო ჩავლილი. დღევანდელი, ხვალინდელი, გუშინდელი დღეები - ყველა ერთად შეეკრათ ხელებს, რომლებიც მოძრაობდნენ, მოძრაობდნენ და მოძრაობდნენ, თვალები კი ისევ დახუჭული იყო, ცეცხლი ისევ ციალებდა და ძაღლსაც ისევ ეძინა.

მერე ეს დასრულდა.

კირამ თვალები გაახილა, წელში გასწორდა და მხრები გაშალა.

- თუმცა, ძალიან მღლის, - აუხსნა მატის, რომელმაც უკვე იცოდა ეს.

- ახლა შეხედე, - განაგრძო კირამ, - სწრაფად, თორემ ჩაქრება.

მატი დაიხარა და შენიშნა, რომ მოქარგული სცენის სიღრმეში ტყეში ორი პაწაწინა ადამიანი შედიოდა. ერთ-ერთში ჩანთამოკიდებულში - მატიმ თავისი თავი იცნო. განსაცვიფრებელი იყო, მაგრამ თავისი ქურთუკის გახეული სახელოც კი დაინახა. უკან მიჰყვებოდა მკაფიოდ ყავისფერი ტონებით მოქსოვილი კუდაპრეხილი ფროლიკი. მის გვერდით კი მატიმ დაინახა კირა, მისი ლურჯი კაბა, იღლიაში ამოდებული ჯოხი, და კეფაზე შეკრული შავი თმა.

ნაქარგის ზედა კიდეც შეცვლილიყო. ამჯერად, იმ სახლთან, რომელშიც მატიმ თავისი საბინადრო ამოიცნო, ხედავდა ბრმა კაცს, რომელიც ისე იდგა, თითქოს ვიღაცას ელოდებოდა.

უეცრად მატიმ სოფლის განაპირას ადამიანთა ჯგუფები დაინახა. ისინი ვეებერთელა მორებს მოათრევდნენ. ვიღაც (ეს ვიღაც აღმზრდელს ჰგავდა) ხელმძღვანელობდა, ისინი კედლის ასაგებად ემზადებოდნენ.

მატი საზურგეს მიეყრდნო. გაოგნებული ახამხამებდა თვალებს, მერე წინ გადმოიხარა და ისევ შეხედა. მიხვდა, რომ სურდა, ჯინისთვის მოეკრა თვალი. მაგრამ დეტალები უკვე გამქრალიყო. ჯერ კიდევ ხედავდა ფერად ნაწიბურებს, თუმცა, ეს ჩვეულებრივი პეიზაჟი იყო - ძალიან ლამაზი, მაგრამ ჩვეულებრივი. ერთი წამით კიდევ დაინახა ადამიანები, ამჯერად ყველა ერთად, მერე კი ისინიც გაუჩინარდნენ.

კირამ საქარგავი ჩარჩო იატაკზე დადო და წამოდგა.

- დილით გავალთ, უთხრა მატის, - მე საგზალს მოვამზადებ.

მატი ჯერ ისევ გაბრუებული იყო ნანახით.

- არ მესმის, - ამოღერღა.

- ის თუ გესმის, რა მოხდა, როცა ეს დანა მუხლში ჩაირჭვე და ჭრილობა ხელებით შეიხორცე?

- არა, აღიარა მატიმ, არ მესმის. ეს ჩემი უნარია, ეგ არის და ეგ.

- ჰოდა, ეს ჩემია. ჩემმა ხელებმა მომავლის სურათი შექმნეს. გუშინ დილითაც ეს ქსოვილი მეჭირა და დაგინახე, როგორ გამოხვედი ტყიდან. ნაშუადღევს კარი გავაღე და შენც აქ დამხვდი.

კირამ ჩაიცინა.

- თუმცა ფროლიკი არ დამინახავს. ეს სიურპრიზი იყო, თავისი სახელის გაგონებაზე ძაღლს გაეღვიძა და თავი ასწია. ადგა და ალერსის მოლოდინში კირასთან მივიდა.

- ნაშუადღევს, სანამ შენ გეძინა, ისევ ვქარგე და დავინახე მამა, რომელიც მელოდება. ახლა მათ კედლისთვის მორების მითრევაც დაიწყეს. ტყის შეცვლა შენიშნე, მატი?

მატიმ თავი გააქნია:

- არა, ადამიანებს ვუყურებდი.

- ტყე ხშირდება. ჰოდა, უნდა ვიჩქაროთ.

უცნაური იყო - ეს ხომ ლიდერმაც დაინახა.

- კირა, - მიმართა მატიმ.

- ჰო... - კირა ბუფეტიდან სურსათს იღებდა.

- ლურჯთვალა ჭაბუკი ხომ არ დაგინახავს, დაახლოებით შენი ასაკის? ლიდერს ვეძახით.

კირა ცოტა ხანს ჩუმად იდგა და ფიქრობდა. მერე სახეზე ჩამოშლილი შავი თმის კულული ხელით გადაიგდო უკან და უპასუხა:

- არა, მაგრამ ვიგრძენი.

15

ადრიანად გაიღვიძეს. სწორედ მზის ამოსვლისას. ფანჯრიდან მატი ხედავდა ქარვისფერი შუქით დატბორილ ბაღებს. მესერზე სქლად შემოხვეულ მცოცავ მცენარეს - გუშინ, მატის აქ მოსვლისას, მწვანეს - ახლა უხვად გადაჰფენოდა დილის ლურჯი და თეთრი ნათება. მესრის მიღმა, მაღალ ბიჯგებზე, დილის სიოში ცახცახებდნენ ასტრის პაწაწინა, მუქი ვარდისფერი ყვავილები ოქროსფერი ბუტკოებით.

უეცრად მატიმ კირას იქ ყოფნა იგრძნო და შებრუნდა. გოგონა მის უკან იდგა და აქეთ-იქით იყურებოდა.

- გაგიძნელდება ამ ყველაფერთან დამშვიდობება, - უთხრა მატიმ.

მაგრამ გოგონამ გაიღიმა და თავი გააქნია:

- დროა. ყოველთვის ვიცოდი, რომ ეს დრო დადგებოდა. დიდი ხნის წინ ვუთხარი კიდეც მამას.

- აქაც ექნება ბაღიო, დამაბარა.

კირამ თავი დააქნია.

- სწრაფად ჭამე, მატი, და წავიდეთ. ფროლიკს უკვე ვაჭამე.

* * *

- ხომ არ დაგეხმარო? - ჰკითხა მატიმ კექსით გამოტენილი პირით, როცა კირა დახვეულ ფუთას ზურგზე ისწორებდა, ღვედებს კი მკერდზე იკრავდა. - მაგაში რა დევს?

- არა, მე თვითონ გავიკეთებ. ეს ჩემი ჩარჩო, რამდენიმე ნემსი და ძაფია.

- წინ მძიმე და ხანგრძლივი მოგზაურობა გველის. დაჯდომის და ქსოვის დრო არ გვექნება, - თქვა მატიმ და გაჩუმდა.

რასაკვირველია, კირას ეს ყველაფერი სჭირდებოდა - მისი უნარი ხომ ასე მჟღავნდებოდა.

საგზალი მატის ჩანთაშიც ჩადო და მის დახვეულ ჩულოშიც. ამჯერად ბარგი უფრო დამძიმდა, ვიდრე აქეთობისას, რადგან ახლა ორნი იყვნენ. მაგრამ მატი ძალ-ღონეს არ უჩიოდა. შვებასაც კი გრძნობდა იმის გამო, რომ კირამ ფეხის განკურნების უფლება არ მისცა, რადგან ეს ძალიან დაასუსტებდა, ალბათ, რამდენიმედღიანი დასვენება დასჭირდებოდა და წასვლაც გაუჭირდებოდა.

გარდა ამისა, მატი ხედავდა, რაოდენ შესჩვეოდა კირა თავის ჯოხს და მოღრეცილ ფეხს. იმთავითვე ასეთი სიარული, როგორც თქვა, მისი ყოფის ნაწილად იქცა. სწრაფად მოსიარულე კირად გადაქცევა გოგონას სხვა ადამიანად აქცევდა, ამ მოგზაურობაში კი მატი უცნობთან ერთად ვერ წავიდოდა.

- ფროლიკ, ცოტა უფრო დიდი რომ იყო და ჭკვიანი, შენც აგკიდებდი ფუთას, - სიცილით უთხრა კირამ მცმუკავ ძაღლს, რომელიც კარს უკან იდგა და კუდს აქიცინებდა; ხვდებოდა, რომ მიდიოდნენ და ჩამორჩენას არ აპირებდა.

მალე ზურგზე ეკიდათ ყველაფერი, რაც ასე საგულდაგულოდ შეფუთეს წუხელ.

- მზად ვართ, განაცხადა კირამ და მატიმაც თანხმობით დაუქნია თავი.

ფროლიკი მიწას ყნოსავდა. ღია კარიდან ერთხელაც შეიხედეს დიდ ოთახში, სიყმაწვილიდან მოყოლებული კირას ოთახი რომ იყო. აქ ტოვებდა დაზგას, ნართებისა და ძაფების კალათს, გამხმარ ბალახებს ნივნივებზე, კედლის ნოხებს, სოფლის მექოთნის მიერ მისთვის დამზადებულ თიხის ტოლჩებსა და თეფშებს, ხის მშვენიერ ლანგარს მისი მეგობარი თომასის დიდი ხნის წინანდელ საჩუქარს. გრავიორს ამ ლანგარზე რთული, ერთმანეთში ჩაწნული ფორმები ამოეკვეთა. კედლის გაყოლებაზე, კაუჭებზე ეკიდა კირას სამოსი, მისი ხელით გაკეთებული ნივთები, ათასგვარი ორნამენტით მოქარგული კაბები და ჟაკეტები. დღეს კირას ეცვა თავისი უბრალო ლურჯი კაბა და პატარა ბრტყელი კენჭებისგან დამზადებული ღილებით შემკული მძიმე, ნაქსოვი ჯემპრი.

კირამ ამ ყველაფერს კარი მიუხურა.

- აქ მოდი, ფროლიკ, - გასძახა მატიმ უადგილოდ. ძაღლმა მათთან მიირბინა და უკანასკნელად დაადგა ფეხი კარის ზღრუბლს, რითაც თავისებურად თქვა: „მე აქ ვიყავი“.

მატი ტყეში შემავალი ბილიკისკენ დაიძრა. ჯოხზე დაყრდნობილი კირა უკან მიჰყვა. სულ ბოლოს ყურებდაცქვეტილი ფროლიკი მიცუნცულებდა.

* * *

- იცი რამდენჯერ გამივლია ტყის ბილიკი ამ ქოხიდან სოფლის ცენტრამდე, - თქვა კირამ და გაიცინა, - ჰო, რა თქმა უნდა, იცი, მატი. შენც დამყვებოდი ხოლმე, როცა პატარა ბიჭი იყავი.

- ჰო, სულ დაგყვებოდი.

- მაგრამ არასოდეს შევსულვარ ტყეში. საჭირო არ იყო. თანაც, ეს ყოველთვის მაკრთობდა.

ტყეში ახალი შესულები იყვნენ. ზურგს უკან ისევ მოჩანდა განაკაფის სინათლე და კირას სახლის კუთხე. წინ მატი ხედავდა, რომ ბილიკი უცნაურად ჩაბნელებულიყო. უწინ სხვანაირი ახსოვდა.

- ახლაც გეშინია? - ჰკითხა კირას.

- ოჰ, არა, შენთან არა. შენ ხომ ტყეს კარგად იცნობ.

- კი, ვიცნობ.

ნამდვილად ასე იყო. მაგრამ როდესაც ეს თქვა, თავი უხერხულად იგრძნო, თუმცა კირას არ გაუმხილა. წინ მიმავალი ბილიკი ისეთი ნაცნობი აღარ ჩანდა, როგორიც ადრე, თუმცა მატიმ იცოდა, რომ ეს იგივე ბილიკი, იგივე მოსახვევები იყო. მომდევნო მოსახვევში რომ შევიდნენ, განაკაფი ზურგს უკან გაუჩინარდა. შეჩვეული საგნები ახლა სხვანაირი ჩანდა - უფრო ბნელი და უდავოდ მტრული.

თუმცა მატის არაფერი უთქვამს. წინ მიდიოდა და კირაც - თავისი ხეიბრობის მიუხედავად ძლიერი - ფეხათრევით მიჰყვებოდა უკან.

* * *

- ისინი ტყეში შემოვიდნენ, - თქვა ლიდერმა და ფანჯარას მოშორდა.

დიდხანს იდგა იქ - დაძაბული და ყურადღებამოკრებილი. გვერდით ბრმა ედგა. ბოლო რამდენიმე დღის მანძილზე ასე იქცეოდნენ.

ლიდერი დასასვენებლად ჩამოჯდა. მძიმედ სუნთქავდა. მიჩვეული იყო, რომ მიღმა გახედვის შემდეგ სხეული დროებით უძლურდებოდა და ძალების აღდგენა სჭირდებოდა.

ბრმამ ამოიოხრა და ეს აშკარად შვების ოხვრა იყო:

- მაშ, ჩემი გოგონა გზაშია.

ლიდერმა თავი დაუქნია. ლაპარაკი ჯერ კიდევ არ შეეძლო.

- ვღელავდი, არ გამოჰყვება-მეთქი. ეს ბევრ რამესთან გამომშვიდობებას ნიშნავდა, მაგრამ მატიმ დაარწმუნა. ყოჩაღ!

ლიდერი გაიზმორა და ჭიქიდან წყალი მოსვა. მერე ხმის ამოღებაც შეძლო:

- კირას დარწმუნება არ დასჭირვებია. განჭვრიტა, რომ დრო იყო. მას აქვს ეს უნარი.

ბრმა ფანჯარასთან მივიდა და მიაყურადა. ხეების თრევის მძიმე ხმებსა და ყრუ ბაგუნს თან ერთოდა ყვირილი:

- აქეთ!

- აქ დააწყვეთ!

- ფრთხილად!

ყველაზე ხმამაღლა აღმზრდელის ხმა ისმოდა.

- აქ დააწყვეთ, - მბრძანებლობდა ის, - ხუთ-ხუთი. ეი, შენ! შე იდიოტო! გაჩერდი! თუ დახმარება არ გინდა, სადმე სხვაგან წადი!

ლიდერი შეკრთა:

- სულ ცოტა ხნის წინ ეს კაცი ისეთი მომთმენი და მშვიდად მოლაპარაკე იყო. აბა, ახლა მოუსმინე.

- მითხარი, როგორ გამოიყურება, - უთხრა ბრმამ.

ლიდერი ფანჯარასთან მივიდა და გახედა ადგილს, სადაც კედლის აგებას აპირებდნენ. ხალხში აღმზრდელი იოლად იპოვა.

- გამელოტებული კეფა მთლიანად თმით დაჰფარვია. უწინდელზე უფრო მაღალია ან, ყოველ შემთხვევაში, უფრო წელგამართული. წონა დაუკლია, ნიკაპი კი უწინდელზე მტკიცე მოუჩანს.

- უცნაური გაცვლა ჩაუტარებია, - თქვა ბრმამ.

ლიდერმა მხრები აიჩეჩა:

- ქალისთვის ადამიანები უცნაურ რამეებს სჩადიან.

- შენთვის ისევ მიღმა გახედვა ჯერ ძალიან ადრეა.

ბრმა ისევ ფანჯარასთან იდგა, უხერხულად.

- ჰო, ეგრეა, - გაიღიმა ლიდერმა, - ისინი სულ ახლახან შემოვიდნენ ტყეში. კარგად არიან.

- რამდენი დრო აქვთ?

- ათი დღე. ბრძანებულების თანახმად, კედელი ათ დღეში ვერ აშენდება. დრო საკმარისია.

- მატი შვილივით მყავს. თითქოს ჩემი ორივე შვილი ტყეშია.

- ვიცი, - ლიდერმა ბრმას ხელი გამამხნევებლად მოხვია მხარზე, - ხვალ დილით მოდი და ისევ გავიხედოთ.

- წავალ, ჩემს ბაღში ვიმუშავებ. კირას ყვავილების კვლებს ვუმზადებ.

- კარგი აზრია. ეს ზედმეტ ნერვიულობას აგაშორებს. მაგრამ როდესაც წინასწარმეტყველი წავიდა, ლიდერი ფანჯარასთან დადგა და ერთხანს თვალი ადევნა კედლის მშენებლების სამზადისს. თვითონაც ძალიან აფორიაქებული იყო, თუმცა ბრმისთვის არ უთქვამს. არადა, როცა უყურებდა მატის, კირას და ლეკვს, ისიც დაინახა, რომ ტყე

მოძრაობდა, ადგილს იცვლიდა, ხშირდებოდა და მათ ჩასანთქმელად ემზადებოდა.

16

- ცოტა მოშორებით თევზს დავიჭერ, - თქვა მატიმ, ფროლიკი არ შეჭამს, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ შევჭამთ. კენკრა და კაკალიც მოიპოვება. ამიტომაც ამის გამოზოგვა არ გვჭირდება. მიირთვი, რამდენიც გინდა.

კირამ თავი დაუქნია და მატის მიცემული წითელი ვაშლი ჩაკბიჩა.

- ეს ჩანთას შეგიმსუბუქებს, - თქვა ღიმილით, - და უფრო სწრაფად ვივლით.

ისინი ჩულოზე ისხდნენ იმ ადგილას, სადაც მატიმ პირველი ღამის გათევა გადაწყვიტა. დღის განმავლობაში გვარიანი მანძილი გამოიარეს. მატი განცვიფრებული იყო, როგორ სწრაფად მოჰყვებოდა კირა.

- არა, ფროლიკ, ჩემს ჯოხს მოეშვი! - სიყვარულით გაუჯავრდა გოგონა ლეკვს, როცა მან ჯოხს სათამაშოსავით დაღეჭვა დაუპირა, - აი, ეს აიღე, - უთხრა კირამ, მიწიდან სხვა ჯოხი აიღო და გადაუგდო. ძაღლმა პირი დასტაცა და მხიარული ღრენით გაიქცა იმ იმედით, რომ ვინმე დაედევნებოდა. როცა არავინ გამოეკიდა, ფროლიკი დაწვა და ჯოხს მეომარივით შეუტია, პატარა ბასრი კბილებით ქერქი შემოაფლითა.

მატიმ ცეცხლს ხმელი ფიჩხი დააყარა. მალე დაბნელდებოდა და უკვე გრილოდა.

- დღეს დიდი გზა გამოვიარეთ, - უთხრა კირას, - განცვიფრებული ვარ, რა კარგად მოდიხარ. ვფიქრობდი, ფეხის გამო...

- მივეჩვიე. ყოველთვის ასე დავდიოდი, - კირამ ტყავის სანდლები გაიძრო და ფეხები დაიზილა, - თუმცა დავიღალე... და შეხედე, სისხლი მომდის.

დაიხარა და ხელში მობღუჯული კაბის კიდით ტერფებზე სისხლი მოიწმინდა.

- ამ კაბას გადავაგდებ, როცა მივალთ, - გაიცინა, - რამე ქსოვილი იქნება იქ, რომ ახალი სამოსი შევიკერო?

მატიმ თავი დაუქნია:

- კი, უამრავია ბაზარში. გარდა ამისა, ჩემი მეგობარი ჯინისგანაც შეგიძლია ითხოვო. დაახლოებით შენი სიმაღლისაა.

კირამ შეხედა:

- ჯინისგან? აქამდე არ გიხსენებია.

მატიმ ჩაიღიმა. გაუხარდა, რომ ბნელოდა და კირა მის აჭარხლებულ სახეს ვერ დაინახავდა. თვითონაც გაუკვირდა თავისი გაწითლება. რა ხდებოდა? ჯინს უკვე წლებია, იცნობდა. რამდენჯერ უთამაშიათ ერთად მატის სოფელში ჩასვლის შემდეგ. ერთხელ მატიმ გველი დაიჭირა და გოგონას შეშინება სცადა, მაგრამ მხოლოდ ის გაიგო, რომ ჯინს ბაღის გველები უყვარდა.

ახლა კირას სიტყვებზე მხოლოდ მხრები აიჩეჩა:

- ჩემი მეგობარია, - მერე დაამატა: - ლამაზი გოგოა.

თავისივე სიტყვებით შეცბუნებული უნებურად მოიკუნტა და დაელოდა, როდის გამოაჯავრებდა კირა, მაგრამ გოგონა უგულისყუროდ უსმენდა, ფეხებს ითვალიერებდა. კოცონის მოლაპლაპე სინათლეზე მატიმ დაინახა, რომ კირას ფეხები დასეროდა და სისხლიც გვარიანად სდიოდა. მან კაბის მომუჭული ბოლო ფროლიკის წყლიან თასში ჩააწო და ჭრილობები მოიწმინდა. ცეცხლის შუქზე მატიმ კირას შეშფოთება შენიშნა.

- ღრმა ჭრილობებია? - ჰკითხა.

- გამივლის. მცენარეული მალამო წამოვიღე და შევიზელ.

კირამ ჯიბიდან ამოღებული ტომსიკა გახსნა და ნაჩხვლეტებსა და განასერებზე მალამოს წასმას შეუდგა.

- ცუდი ფეხსაცმელი გაცვია? - ჰკითხა მატიმ და დახედა რბილი ტყავის სანდლებს, მიწაზე წყვილად დაწყობილს. სანდლებს მკვრივი ლანჩები ჰქონდა და კირაც თითქოს მოხერხებულად მოაბიჯებდა.

- არა, ჩემს ფეხსაცმელებს არაფერი უჭირს. მაგრამ უცნაურია. სიარულის დროს დროდადრო ვჩერდებოდი და სანდლებში შერჭობილ

რტოებს ვიძრობდი. ალბათ, შენიშნე, - გაიცინა კირამ, - თითქოს მცენარეები მართლაც თავებს ჰყოფდნენ, რომ ჩემთვის ეჩხვლიტათ.

ცოტა მალამო კიდევ შეიზილა ჭრილობებში.

- გვარიანადაც მტკენდნენ. ალბათ, ხვალ ნაჭერს შემოვიხვევ ფეხებზე და სანდლებს ისე ამოვიცვამ.

- კარგი აზრია, - თქვა მატიმ და სცადა, კირასთვის არ ეგრძნობინებინა, რომ ძალიან იყო შეშფოთებული. ცეცხლს კიდევ შეუკეთა და ქვებიც შემოუწყო, რათა პატარა გასუფთავებულ ადგილს არ გადმოსცდენოდა, - ახლა დავიძინოთ და დილაადრიან წავიდეთ.

მატი და კირა გვერდიგვერდ იწვნენ, შუაში ფროლიკი ჩაეწვინათ, ზემოდან კი საერთო ჩულო ეფარათ. მატიმ მალევე გაიგონა გოგონას თანაბარი სუნთქვა - კირას თითქმის მაშინვე ჩაეძინა. იგრძნო, როგორ შეირხა და გვერდი იცვალა ფხიზლად ჩათვლემილმა ფროლიკმა. ალბათ, ესიზმრებოდა ჩიტები და ციყვები - თავისი სადევნი ობიექტები. გაიგონა ტოტების ბოლო წანაცვლება, როდესაც ცეცხლი ჩაქრა და ჩანაცრდა. გაიგონა ბუს ძახილი და ფრთების ფათქუნი, როცა ის ქვემოთ დაქანდა, მერე კი გაისმა კლანჭებში მოხელთებული რომელიღაც განწირული მღრღნელის მოგუდული წრიპინი.

იმ მხრიდან, საითაც მათ გეზი ეჭირათ, მატის ნესტოებში შეუღიტინა ტყის სიღრმიდან გამომავალმა სიმყრალემ. მისი გამოთვლით, ტყის შუაგულამდე სამ დღეში ვერ მიაღწევდნენ და გაკვირვებული იყო, რომ ხრწნის საძაგელი სუნი აქამდე აღწევდა. ბოლოს, როდესაც ჩაეძინა, მის სიზმრებში ხრწნისა და გარდაუვალი საფრთხის შრეები გაჩნდა.

* * *

დილით, საუზმის შემდეგ, კირამ ორივე ფეხი ქვედაბოლოსთვის შემოხეული ნაჭრით შეიხვია, სანდლების თასმები მოიბოშა და ნახვევებიანი ფეხები ფრთხილად ჩაყო შიგ. მერე ჯოხი აიღო და საცდელად ცოტა გაიარ-გამოიარა.

- კარგია, - თქვა წუთის შემდეგ, - ძალიან მოსახერხებელი. არ შემაწუხებს.

მატიმ, რომელიც ჩულოში ახვევდა საგზლის ნარჩენებს, კირას გახედა:

- მითხარი, თუ ჯოხები და ტოტები ისევ შეგერჭობა.

გოგონამ თავი დაუქნია.

- მზად ხარ, ფროლიკ? - გასძახა ლეკვს და იმანაც ისკუპა ბუჩქიდან, სადაც რომელიღაც მღრღნელის სოროს ფხოჭნიდა. კირამ ზურგზე მოკიდებული ფუთა შეისწორა და უკვე დაძრული მატის მისადევნად გაემზადა.

თავისდა გასაკვირად, მატის ამ დილით ბილიკის მოძებნა გაუჭირდა. უწინ ეს არასოდეს მოსვლია. კირა მოთმინებით იცდიდა, სანამ მატი რამდენიმე სხვადასხვა გასასვლელს იკვლევდა იმ მდელოდან, სადაც წუხელ ეძინათ.

- რამდენჯერ გამივლია აქ, - უთხრა კირას საგონებელში ჩავარდნილმა, - რამდენჯერ მძინებია ამავე ადგილას. ბილიკი ყოველთვის კარგად ჩანდა და იოლი საპოვნელი იყო, ახლა კი...

ერთგან ბუჩქები გადმოსწია, წამით ნიადაგს დააკვირდა, მერე კი ჯიბიდან დანა ამოიღო და ბუჩქებს თავები გადააჭრა.

- აი, ბილიკი, - თქვა მან, - თუმცა ბუჩქები რაღაცნაირად გარდიგარდმო გაზრდილა და ბილიკი დაუფარავს. განა ეს უცნაური არ არის? აქ სულ დღე-ნახევრის წინ გამოვიარე. დარწმუნებული ვარ, მაშინ ასე არ იყო.

ხშირი ბუჩქები უკან გადმოსწია, რათა კირასთვის შესვლა გაეიოლებინა. ესიამოვნა, როცა დაინახა, ნატკენი ტერფების მიუხედავად, როგორ მტკიცედ მიაბიჯებდა გოგონა.

- შემიძლია გზა ჩემი ჯოხით გავიკვალო, ხედავ? - კირამ ჯოხი შემართა და სქელი ხვიარა მცენარე ასწია, ხიდან ხეზე რომ გადმოცოცებულიყო ბილიკის ზემოთ, მათი მხრების სიმაღლეზე. ისინი ერთად დაიხარნენდა მცენარის ქვეშ გაიარეს. მაგრამ დაინახეს, რომ წინ სხვა ასეთი დაბრკოლებებიც იყო და მათ სავალს ხერგავდა.

- ჩავჭრი, აქ დამელოდე, - თქვა მატიმ.

კირა დაელოდა, უეცრად დაწყნარებული და ყურებდაცქვეტილი ფროლიკი მის ფერხთით იჯდა, მატი კი მათი თვალების სიმაღლეზე ამოზრდილ მცენარეებს მიარღვევდა.

- უჰ! - აღმოხდა ბიჭს და შეკრთა - გადაჭრილი მცენარეებიდან მჟავე წვენმა გადმოწვეთა და მკლავი დაუწვა. თითქოს სახელოს თხელი ქსოვილი ამოჭამა.

- ფრთხილად იყავი, წვეთები არ დაგეცეს, - გასძახა კირას და ხელით ანიშნა, მომყევიო.

დანიანი მატის წინამძღოლობით ფრთხილად მიუყვებოდნენ მცენარეთა ლაბირინთს. წვეთები ისევ ეცემოდა მკლავებზე, სახელოები დაეხვრიტა და კანი გადაეყვლიფა. ნელა მიიწევდნენ წინ. ბოლოს ბილიკი გაფართოვდა, გაიხსნა და მბზინავი მცენარეულობისგან გათავისუფლდა, თუმცა მათ უკან ისევ შეიკრა, შეერთდა და გზა ისევ ჩახერგა. მგზავრები დასასვენებლად შეჩერდნენ. ამასობაში წვიმაც წამოვიდა. ხეები მათ ზემოთ იმდენად ხშირფოთლოვანი იყო, რომ წვიმა თითქმის ვერ ატანდა, მაგრამ წვეთები ფოთლებიდან ცვიოდა და მხრებზე ცივად ეცემოდათ.

- კიდევ გაქვს ის მცენარეული მალამო? - ჰკითხა მატიმ.

კირამ ჯიბიდან მალამო ამოიღო და მიაწოდა. მატიმ სახელოები აიკაპიწა და მკლავები დაითვალიერა. იარებსა და დამსკდარ ბებერებს ნახატივით მოეჩითათ მისი კანი.

- ეს მცენარეების წვენმა ქნა, - უთხრა მატიმ და დაზიანებულ ადგილებზე მალამო წაისვა.

- ჩემი ჯემპრი უფრო სქელია და როგორც ჩანს, დამიცვა. გტკივა?

- არა, ცოტათი.

მაგრამ მატი ტყუოდა. მას კირას აფორიაქება არ უნდოდა, თორემ ტკივილს ძლივს უძლებდა, თითქოს მკლავები დასწვოდა. სუნთქვა უნდა შეეკავებინა და ტუჩი მოეკვნიტა, რომ მალამოს წასმისას არ ეყვირა.

ერთი წამით იფიქრა, ჩემი უნარი ხომ არ გამოვიყენო, მფეთქავი ძალა გამოვიხმო და მკბენარი შხამიანი გამონაყარი მკლავებიდან მოვიშოროო, მაგრამ იცოდა, რომ ეს არ უნდა ექნა. ამას დიდი ძალა

დასჭირდებოდა - ანუ, ლიდერის სიტყვებით, თავის უნარს გაფლანგავდა და ნინსვლას დააბრკოლებდა. მათ უნდა ევლოთ. რაღაც ისეთი თავზარდამცემი ხდებოდა, მატი ამის ახსნას არც კი ცდილობდა.

კირამ კი ეს არ იცოდა. მას აქამდე არასოდეს უვლია ტყეში. ხვდებოდა, რომ მეორე დღე უფრო მძიმე იყო, მაგრამ არ იცოდა, რომ ეს უჩვეულო სირთულეები იყო. გაცინებაც კი შეძლო, რადგან არც კი უეჭვია, როგორ სტკიოდა მატის თავისი დაწყლულებული მკლავები.

- ღმერთო ჩემო! - ჩაიცინა კირამ, - კიდევ კარგი, ჩემი კლემატისი ასე სწრაფად ან ასე სქლად არ იზრდება, თორემ შემოსასვლელ კარს ვერასდროს გავაღებდი.

მატიმ დამწვარ მკლავებზე სახელოები ჩამოიწია და მალამო კირას დაუბრუნა. ძალდატანებით გაიღიმა კიდეც.

ფროლიკი წკმუტუნებდა და კანკალებდა.

- საბრალოვ! - თქვა კირამ და ხელში აიყვანა. - ბილიკმა შეგაშინა? შენც ხომ არ დაგეწვეთა ის წვენი? - და ლეკვი მატის მიაწოდა.

მატიმ ფროლიკს სხეულზე ჭრილობები ვერ შენიშნა, მაგრამ ლეკვს სიარული არ უნდოდა. მატიმ უბეში ჩაისვა, თათებიც შეუკეცა და მყუდროდ ჩაფუთნა. იქ, თავის გულთან, მისი პატარა გულის ფეთქვაც იგრძნო.

- ეს რა სუნია? - კირა დაიმანჭა. - კომპოსტის სუნს ჰგავს.

- ტყის შუაგულში ბევრი რამ ლპება, - უთხრა მატიმ.

- ანუ ტყეში რაღაც ხდება?

- მგონი, ეგრეა.

- როგორ დადიხარ ხოლმე აქ? ცხვირ-პირზე ნაჭერს იხვევ?

მატის უნდოდა სიმართლე ეთქვა: უწინ არასოდეს მიგრძნია ეს სუნი. ათჯერ, შეიძლება ოცჯერაც გამომივლია აქ და არასოდეს მინახავს ლიანები. არასოდეს ყოფილა ასეთი რამ.

მაგრამ ამის ნაცვლოდ თქვა:

- ვფიქრობ, ეს საუკეთესო მეთოდია. შენს მალამოს კი მცენარეების მშვენიერი სურნელი აქვს. ცოტას წავისვამთ ზედა ტუჩზე და ამით ცუდ სუნსაც ავიცდენთ.

- თან სწრაფად გავივლით.

- ჰო, შეძლებისდაგვარად სწრაფად.

მკლავებში წვის შეგრძნება ჩაუცხრა. ახლა მხოლოდ უფეთქავდა და სტკიოდა.

თუმცა სხეულში მხურვალებას და სისუსტეს გრძნობდა, თითქოს ავად იყო. უნდოდა, ეთქვა, შევჩერდეთ და დავისვენოთ, ჩულო გავშალოთ და ცოტა ხანს მივწვეთო, მაგრამ წინა მოგზაურობებისას შუადღეს არასოდეს დაუსვენია, თან ახლა არც საამისო დრო ჰქონდათ. წინ უნდა ევლოთ, სიმყრალისკენ. სხვა რომ არაფერი, ლიანები უკან ჩამოიტოვეს, წინ კი მატი ასეთს ვეღარაფერს ხედავდა.

ცივი წვიმა არ წყდებოდა. მატის უეცრად გაახსენდა, როგორ დაეგორგლა და სახეზე შემოეგრაგნა ჯინს სველი თმა. ამ საშინელი სიმყრალის ფონზე, წუთიდან წუთამდე რომ ძლიერდებოდა, მატის გაახსენდა ჯინის სურნელი, როცა მან გამოსამშვიდობებლად აკოცა. ეს თითქოს ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა.

- წავედით, - უთხრა კირას და ანიშნა, მომყევიო.

* * *

ლიდერმა ბრმას ამცნო, რომ მატიმ და კირამ პირველი ღამე გამოიარეს და მეორე დღემდე მშვიდობით მოაღწიეს. ჭაბუკი სკამზე იჯდა და ამას ჩურჩულით ამბობდა. ძალა აღარ ჰქონდა, მისთვის ჩვეული მტკიცე ხმით ელაპარაკა.

- კარგია, - თქვა ბრმამ ხალისით და დაუეჭვებლად, - ლეკვი? ლეკვი როგორღაა? შეგიძლია დაინახო?

ლიდერმა თავი დააქნია:

- კარგად არის.

სიმართლე ის იყო, რომ ლეკვიც და კირაც თავს მატიზე უკეთ გრძნობდნენ. ლიდერმა დაინახა, რომ გოგონას პირველ დღეს გაუჭირდა, როცა ტყემ დაჩხვლიტა და დასერა. თავისმა უნარმა ლიდერს დაანახვა კირას სისხლმდინარი ტერფები, მან დაინახა, როგორ იზელდა მალამოს და თრთოდა, და თანაგრძნობისგან თვითონაც შეთრთოლდა. ახლა გოგონა კარგად უმკლავდებოდა გზის სირთულეებს. ლიდერმა დაინახა, თუმცა ბრმას არ გაუმხილა, რომ ამჯერად ტყე მატის უტევდა.

და ისიც დაინახა, რომ მგზავრები ყველაზე უარესს ჯერაც არ მიახლოებოდნენ.

17

მეორე ნაშუადღევს მატი ძალიან იტანჯებოდა, თუმცა, იცოდა, რომ ყველაზე უარესამდე კიდევ ერთი დღის სავალი რჩებოდათ. ლიანების წვენით მოშხამული, შესივებული და გახურებული მკლავები დაჩირქებოდა და სითხე სდიოდა. ბილიკი თითქმის მთლიანად გამქრალიყო, ბუჩქები კი ფხაჭნიდნენ, დაწყლულებულ ადგილებს უკაწრავდნენ და მატის აქვითინებამდე ბევრი აღარ უკლდა.

ვეღარ მოატყუებდა კირას, ეს ჩვეულებრივი მოგზაურობააო. ამიტომაც სიმართლე გაუმხილა.

- რა უნდა ვქნათ? - ჰკითხა გოგონამ.

- არ ვიცი. შეგვეძლო, უკან დაბრუნება გვეცადა, მაგრამ ხომ ხედავ, ბილიკი უკვე ჩახერგილია. არა მგონია, გზა ვიპოვოთ და ისიც ვიცი, რომ იმ ლიანებში ვეღარ გავაღწევ. მკლავებზე შემომხედე.

ფრთხილად აიკაპიწა დაფლეთილი სახელო და გოგონას მკლავი უჩვენა. კირას სუნთქვა შეეკრა. მატის მკლავები ადამიანის კიდურებს აღარ ჰგავდა. ისე დაბეროდა, რომ კანი დამსკდარიყო და შიგნიდან მოყვითალო სითხე ჟონავდა.

- ცენტრთან ახლოს ვართ, - აუხსნა მატიმ, - და როცა გავივლით, სამშვიდობოს ვიქნებით. თუმცა ჯერ კიდევ დიდი გზა გვიდევს წინ და, როგორც ჩანს, ყველაფერი უფრო გაუარესდება.

კირა ხმის ამოუღებლად მიჰყვებოდა. სხვა რა გზა ჰქონდა, თუმცა ფერი დაჰკარგოდა და დაზაფრული მიაბიჯებდა.

ბოლოს, როგორც იქნა, მივიდნენ ტბასთან, რომელშიც მატი, ჩვეულებრივ, წყლის მარაგს ივსებდა და ხანდახან თევზსაც იჭერდა, მაგრამ ტბის წყალი აშმორებულიყო. უწინ ცივი და კამკამა ახლა მუქყავისფრად მოქცეულიყო და მკვდარი მწერებით დაბინძურებულიყო, თან ისეთი მყრალი სუნი ასდიოდა, მატის შეეძლო მხოლოდ ევარაუდა, რა უნდა ყოფილიყო ეს.

ასე რომ, მგზავრები მწყურვალები რჩებოდნენ.

წვიმამ გადაიღო, თუმცა ორივე შეცივებული და აკანკალებული დატოვა.

სუნი კი უფრო გამძაფრდა.

კირამ თავისი მცენარეული მალამო ზედა ტუჩზე წაისვადა მატი-საც წაუსვა, ცხვირ-პირზე კი ნაჭერი შემოიხვიეს სიმყრალისგან დასა-ცავად. ფროლიკი მატის უბეში თავჩარგული გაყურსულიყო.

უცებ ბილიკი, ამდენჯერ გავლილი და გამოვლილი, ჭაობთან შეწყდა, რომელიც აქ წინათ არასდროს ყოფილა. მოზიმზიმე ტალა-ხიდან დანასავით ბასრი ლერწმები ამოჩრილიყო. ირგვლივ წასას-ვლელი არსად მოჩანდა. მატი ჭაობს დააცქერდა და გეგმის შედგენა სცადა.

- სქელ ლიანას მოვჭრი, კირა, და თოკად გამოვიყენებ. მერე მე და შენ გადავებმებით, ისე, რომ თუ ერთ-ერთი სადმე ჩაეფლო...

არაბუნებრივად გასივებული მკლავი გაჭირვებით მოხარა, დანა გაიწვდინა და მძიმე ლიანა მოჭრა.

- მე გავკვანძავ, - თქვა კირამ, - მეხერხება. იმდენი ნართი და ძაფი გამიკვანძავს.

მოხერხებულად შემოაჭდო წელზე მატის და თვითონაც შემოიხ-ვია.

- შეხედე, საკმაოდ მტკიცეა, - უთხრა და კვანძები მოქაჩა. მატიმ დაინახა, რომ კირამ ოსტატურად მიაბა ერთმანეთს ორი სხეული, შუ-აში კი ლიანა დატოვა.

- პირველი მე წავალ, ტალახს შევამოწმებ. ყველაზე მეტად ეს მა-ფიქრებს...

კირამ თავი დაუქნია:

- ვიცი. არის ტალახი, რომელსაც ფხვიერი ქვიშა ჰქვია.

- ჰო. თუ მე ჩაძირვას დავიწყებ, მაგრად მოქაჩე, რომ ამოსვლაში დამეხმარო. მეც ასე მოვიქცევი.

ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ ჭაობში, ეძებდნენ მცენარეთა ბღუჯებს, რომ ჩასჭიდებოდნენ, სცდიდნენ შეწოვის ძალას იქ, სადაც ტალახი

უფრო სქელი იყო. სამართებელივით ბასრი ლერწმები ფეხებში ესობოდათ და კოღოებიც მათი ცინცხალი სისხლით ნადიმობდნენ. დროდადრო, როცა რომელიმე ჩაფლობას იწყებდა, ერთმანეთს ექაჩებოდნენ და ამოსვლაში ეხმარებოდნენ. კირას ფეხიდან სანდლები გასძვრა და გაუჩინარდა.

მატის კი, რაც უნდა გასაკვირი ყოფილიყო, ფეხსაცმელი შერჩა და ჭაობის მეორე ნაპირზე ლიპ ტალახში ამოგანგლული მძიმე ბათინკებით ამოათრია სხეული. იქ იდგა მაგრად ჩაბღუჯული ლიანით და კირას ტალახში სიარულს უიოლებდა, მერე კი ნაპირზეც ამოიყვანა.

მერე დანით გადაჭრა ლიანა, რომლითაც ჭაობში გადაბმულები მოდიოდნენ.

– შეხედე! - მიუთითა კირას ფეხებზე. შემოკრული ტალახი უკვე ქერქივით ხვდებოდა. ერთი წამით ამ უცნაურ ფეხსაცმელებზე სიცილიც მოუნდა.

მერე გოგონას შიშველი წვივები დაინახა და გააჟრჟოლა. გადაყვლეფილ ფეხებზე გახსნილი ძველი ჭრილობებიდანაც სისხლი სდიოდა და ჭაობის ლერწმებით დასერილი ახლებიდანაც. მატი ისევ ნაპირზე ჩაცოცდა, ტალახი ხელებით ამოიღო და კირას ნაზად შემოაკრა ტერფებსა და წვივებზე, სისხლდენა შეუჩერა და სცადა, ამ სქელი, გრილი ცომით ტკივილი შეემსუბუქებინა.

მერე ხეების მიღმა ცას ახედა და სცადა, დაედგინა, რა დრო იყო. დიდი ხანი დასჭირდათ ჭაობის გამოსავლელად. მატის მკლავებში ძალა გამოეცალა, მაგრამ დასივებული ხელებით დანა მაინც ეჭირა. ტერფებსა და წვივებზე ტალახშემოკრულმა კირამ სულის მოსათქმელად მის გვერდით ჩაიმუხლა. სიმყრალე ორივეს სუნთქვას უშლიდა და, როგორც მატი გრძნობდა, პერანგის შიგნით ლეკვსაც სულს უხუთავდა. მატიმ თავს ძალა დაატანა და მხნედ თქვა:

- მომყევი. ვფიქრობ, ტყის შუაგული ჩვენ წინაა. მალე დაღამდება. ახლა დასაძინებელ ადგილს ვიპოვით, დილით კი ბოლო მონაკვეთს გავუდგებით. მამაშენი გველოდება.

მატი ნელა წავიდა წინ. კირა დაწყლულებულ ფეხებზე წამოიმართა და უკან მიჰყვა.

* * *

მატი გრძნობდა, რომ დროდადრო გონებას კარგავდა. ეჩვენებოდა, რომ საკუთარ სხეულს ზემოდან დაჰყურებდა. მოსწონდა ეს, რადგან ასე ტკივილს ცოტა ხნით მაინც უსხლტებოდა. თითქოს ზემოთ მიცურავდა და ჩამოსცქეროდა მებრძოლ ბიჭს, რომელიც შეუპოვრად მიარღვევდა ბნელ, ეკლიან ბუჩქნარს და წინ მიუძღოდა კოჭლ გოგონას. ებრალებოდა ეს წყვილი და სურდა ეთხოვა, აქ ამოდით, უვნებლად ილივლივეთ ჩემ გვერდითო, მაგრამ უსხეულო მატის ხმა არ ჰქონდა და ქვემოთ მიმავლებს ვერ დაუძახებდა.

ეს იყო ოცნება, რეალობიდან გასხლტომა, და დიდხანს არც გაგრძელებულა.

- იქნებ ცოტა ხანს შევჩერდეთ? ძალიან დავიღალე, მაპატიე, - კირას სუსტი ხმა ჰქონდა, პირზე აკრული ნაჭრით მოგუდული.

- ამოდი. აქ პატარა მდელოა და ჩამოვსხდებით, - დაანახვა მატიმ და მონიშნული ადგილისკენ დაიძრა.

იქამდე რომ მივიდნენ, ზურგიდან დახვეული ჩულო ჩამოიღო და ბალიშივით დადო მიწაზე. ორივენი გვერდიგვერდ მოწყვეტით დაეცნენ.

- შეხედე, - კირამ კაბის კალთა უჩვენა. ფერდაკარგული ლურჯი ქსოვილი ზედ ნაფლეთებად ეკიდა, - ტოტები მეტანებიან, დანებივით მიფხრეწენ სამოსს, - გრძელ ნახევებად მოკონწიალე კაბა დაითვალიერა და დაამატა: - მაგრამ სხეულზე არ მეკარებიან. თითქოს იცდიან, დამცინიან.

წამით მატის გაახსენდა, რა თქვა რამონმა ვეტერინარზე, რომელიც ტყეში გაიხლართა და რომლის სხეული ხვიარა მცენარეებით შებოჭილი იპოვეს. გაიფიქრა, იქნებ ტყემ ვეტერინარიც ჯერ ათამაშა, ჭრილობები მიაყენა და კანი დაუწვა, სანამ შემოეჭდობოდა და საზარელი სიკვდილით მოკლავდა.

- თქვი რამე, მატი.

მატი გამოფხიზლდა. ვერც კი მიხვდა, რომ ისევ სადღაც გაჰქცეოდა გონება.

- მაპატიე, არ ვიცი, რა ვთქვა. ფეხები როგორ გაქვს? - როგორც იქნა, მოიფიქრა შეკითხვა.

კირას შეაჟრჟოლა. მატიმ ფეხებზე დახედა. გამაგრებული ტალახი, სალბუნივით რომ შემოაკრა, უკვე ჩამოცვენილიყო და კირას ფეხები ხორცის ნაფლეთებად ქცეულიყო.

- შენს მკლავებს შეხედე, - უთხრა კირამ. მატის დახეული სახელოები ჭრილობებიდან გამოჟონილ სითხეს დაელაქა.

გაიხსენა სოფელში გატარებული დღეები, როცა დავრდომილს უცნობებიც კი დიდი სიხარულით ეხმარებოდნენ,

დაშავებულს მანამდე მოუვლიდნენ, სანამ ფეხზე დააყენებდნენ. ყველა მხრიდან ხმები მოესმა - მხიარული სიცილი, მშვიდი საუბარი, ყოველდღიური სამუშაოებისა და ბედნიერი ცხოვრების ალიაქოთი - და სოფლის ხმაურად მიიჩნია, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ეს ილუზია იყო, მეხსიერების გამოძახილი და იმედის ნაპერწკალი. სინამდვილეში ისმოდა გომბეშოს ყიყინი, რომელიღაც მღრღნელის ბუჩქებში ფაჩუნი, რომელიღაც არაკეთილმოსურნე სულიერის ყანყრატოდან ამომავალი ქაფიანი ბუშტების ბუყბუყი ტბორის ჩაბნელებულ წყლებში.

- მართლა მიჭირს სუნთქვა, - თქვა კირამ.

მატიმ გააცნობიერა, რომ თვითონაც ამ მდგომარეობაში იყო. ამის მიზეზი აუტანელი სუნით დამძიმებული ჰაერი იყო. თითქოს სახეებზე მჭიდროდ მიჰკვროდათ ჭუჭყიანი ბალიში, რომელიც სულს უხუთავდათ. მატიმ ჩაახველა და თავისი უნარი გაახსენდა, ამჯერად უსარგებლო. იქნებ ჯერ ისევ შესწევდა ძალა, თავისი დასერილი მკლავები ან კირას დაწყლულებული ფეხები გადაერჩინა, მაგრამ ამას ახალ-ახალი შეტევები მოჰყვებოდა და დაუძლურებული მატი დაბრკოლებებს ვეღარ გაუმკლავდებოდა. ქვემოთ თვალი მოჰკრა მქრქალმწვანე ულვაშს, რომელიც ეკლიანი ბუჩქის ქვემოდან გამოჩნდა და მათკენ გამოსრიალდა. მატი აღტაცებითაც კი შესცქეროდა უცხო და უცნაურ პატარა არსებას, რომელიც გველგესლასავით მოძრაობდა - მიზანმიმართულად, უხმოდ და საბედისწეროდ.

მატიმ ისევ ამოიღო ჯიბიდან დანა. როცა ავბედითმა ხვიარა ღერომ (მათ ბაღში გაზრდილ ადრეული ზაფხულის ბარდის ლერწს რომ ჩამოჰგავდა) მატის კოჭამდე მოაღწია და სწრაფად და მჭიდროდ დაიწყო ზედ შემოხვევა, მატი ელვისებურად დასწვდა და დანით დაანაკუწა. რამდენიმე წამში არსებას ყავისფერი დაედო და უსიცოცხლოდ დავარდა ძირს.

მაგრამ ეს გამარჯვებას არ ჰგავდა, ეს მხოლოდ შესვენება იყო იმ ბრძოლაში, რომელში დამარცხება მატის არ ასცდებოდა.

ამ დროს შენიშნა, რომ კირა თავის ფუთას წაეტანა და მკაცრად შეუძახა:

- რას შვრები? ერთ წუთში გზა უნდა განვაგრძოთ. აქ ყოფნა სახიფათოა.

კირას არ დაუნახავს ის მომაკვდინებელი არსება, მატის რომ შემოეხვია. ბიჭმა კი იცოდა, რომ აქ კიდევ იქნებოდნენ ასეთები და ბუჩქებს უთვალთვალებდა.

ჯერ მე მომაკითხაო, გაიფიქრა. არ უნდოდა, პირველი მომკვდარიყო და კირა მარტო დაეტოვებინა.

შეძრწუნებულმა მატიმ დაინახა, რომ კირა თავის საქარგავ მოწყობილობას იღებდა.

- მაგის დრო არ არის, კირა!

- შემეძლო... - კირამ სხარტად გაუყარა ძაფი ნემსში.

რისთვის? მწარედ გაიფიქრა მატიმ, - მშვენიერი კედლის ფარდაგის მოსაქსოვად, ჩვენს ბოლო საათებს რომ ასახავს?

გაახსენდა, რომ ხელოვნების წიგნებში, რომლებიც ლიდერის სახლში უნახავს, ბევრი სურათი ასახავდა სიკვდილს: მოჭრილი თავი ლანგარზე; ბრძოლის ველზე მიმოფანტული სხეულები; ხმლები, შუბები და ცეცხლი; ადამიანის კიდურებში ჩასობილი ლურსმნები. მხატვრებს ასეთი ტკივილები ნატიფი ხელოვნებით გადმოეცათ.

იქნებ კირაც ამას აპირებდა.

მატი უყურებდა ხელებს, რომლებიც დაცურავდნენ პატარა ჩარჩოზე, ნემსს ქსოვილს უყრიდნენ და აცლიდნენ. კირას თვალები

დახუჭული ჰქონდა. ის არ მართავდა საკუთარ თითებს, ისინი თვითონ მოძრაობდნენ.

მატი იცდიდა, მომდევნო შეტევის მომლოდინე ფხიზლად უთვალთვალებდა გარემომცველ ბუჩქნარს. მოახლოებული სიბნელე აშინებდა. გზის გაგრძელება უნდოდა, დაღამებამდე ამ ადგილიდან წასვლა, მაგრამ იცდიდა, სანამ კირას ხელები მოძრაობდნენ.

ბოლოს კირამ თვალი გაახილა:

- ვიღაც მოემართება ჩვენს საშველად. ახალგაზრდაა, ლურჯთვალა.

ლიდერი.

- ლიდერი მოდის?

- ტყეში შემოვიდა.

მატიმ ამოიოხრა:

- ძალიან დაგვიანებულია, კირა. ვერ გვიპოვის.

- იცის, სად ვართ.

- ის მიღმა ხედავს, - თქვა მატიმ და დაახველა, - ვერ ვიხსენებ, ეს გითხარი თუ არა.

- მიღმა ხედავს? - გოგონა უკვე კრეფდა თავის ნივთებს.

- ეს მისი უნარია. შენ ხედავ შენ წინ, ის ხედავს მიღმა, მე... - მატი გაჩუმდა. დარუმბებული მკლავი ასწია, სახელოდან გამოჟონილ ჩირქს შეხედა და მწარედ გაიცინა: მე კი ბაყაყს ვკურნავ.

18

ლიდერის წასვლის შემდეგ ბრმა მარტო დარჩა თავის შიშთან. შინ დაბრუნებულმა ჩაუარა მუშებს, რომლებიც კვლავ სოფლის გარშემო კედლის ასაშენებლად ემზადებოდნენ.

ეზოში, პატარა სახლთან, რომელშიც ამდენი წლის მანძილზე მატისთან ერთად ბედნიერად ცხოვრობდა, ახალდაბარული მიწის სურნელი ტრიალებდა. გუშინ დაიწყო ყვავილების ბაღის მომზადება თავისი გოგონასთვის. მიწას ბარით აბრუნებდა და სარეველებს ძირკვავდა.

ჯინმა გამოიარა მატის ამბის გასაგებად. წინასწარმეტყველის ნამუშევრით მოხიბლულმა კაცს შესთავაზა, ჩემი ყვავილების თესლს მოვიტან, და ერთნაირი ბაღები გავაშენოთო. ელოდებოდა მის ქალიშვილთან შეხვედრას. არასოდეს მყოლია უფროსი და იქნებ კირამ გამიწიოს დობაო. ბრმას ჯინის ხმაში ღიმილი ესმოდა.

მაგრამ ეს იყო გუშინ, როცა ბრმამ ჯინს უთხრა - რაკი თვითონაც სჯეროდა - რომ მოგზაურები კარგად იყვნენ და აქეთ მოდიოდნენ.

ამ დილით ლიდერი დიდხანს უძრავად იდგა ფანჯარასთან, მერე კი ბრმას სიმართლე გაუმხილა.

- ორივე! - შეჰყვირა შეძრწუნებულმა. - ჩემი ორივე შვილი!

მიღმა გახედვის შემდეგ ლიდერს დასვენება სჭირდებოდა ხოლმე, მაგრამ ახლა არ დაუსვენია. ბრმას ესმოდა, როგორ დადიოდა ოთახში და ნივთებს აგროვებდა.

- ნუ ეტყვი სოფელს, რომ წასული ვარ, - უთხრა ლიდერმა,

- წასული? საით გაგიწევია? - ტყის ამბების გაგების შემდეგ ბრმა ისევ ცახცახებდა.

- მათ გადასარჩენად, რა თქმა უნდა. მაგრამ კედლის მშენებლებს არ ვენდობი, თუ შეიტყობენ, რომ აქ არ ვარ და დეკლარაციის ვადებს ვეღარ შევახსენებ, მშენებლობას ნაადრევად დაიწყებენ. არ მინდა, უკან დაბრუნებულმა შემოსვლა ვეღარ შევძლო.

- შეგიძლია, უჩუმრად შემოხვიდე?

- კი, უკანა შემოსასვლელი ვიცი. ისე არიან გატაცებული თავიანთი საქმით, რომ ძებნას არ დამიწყებენ. ჩემი დანახვა მაინც არ უნდათ. იციან, რასაც ვფიქრობ კედელზე.

სასოწარკვეთილი ბრმა ლიდერის ხმაში შემჩნეულმა ოპტიმიზმმა გაამხნევა. მათ გადასარჩენად, რა თქმა უნდა. მან ასე თქვა. იქნებ სიმართლეს ამბობდა.

- საგზალი მიგაქვს? თბილი ქურთუკი? იარაღი? შეიძლება იარაღი დაგჭირდეს. თუმცა, ამაზე ფიქრიც კი შიშის ზარს მცემს.

მაგრამ ლიდერს იარაღი არ მიჰქონდა.

- ჩვენი იარაღი ჩვენი უნარია, - თქვა და აჩქარებით დაეშვა კიბეზე.

ახლა თავის სახლში მარტოდ დარჩენილი ბრმა ისევ უიმედობამ შეიპყრო. ხელი გაიწვდინა კედლისკენ, სამზარეულოს გვერდით და მოსინჯა იქ დაკიდებული გობელენი, კირამ რომ მოუქსოვა. თითები ფაქიზად ამოქარგულ ლანდმაფტზე გადაატარა. უწინაც ხშირად უგრძნია ქსოვილის პაწაწინა, თანაბარი თვლები ხშირად ეხებოდა, როდესაც შვილი ენატრებოდა. ახლა კი, ამ შემაძრწუნებელ დილას, კვანძებისა და ხლართების გარდა თითებქვეშ არაფერი მოჰყვა და სიკვდილის მძაფრი სუნი შეიგრძნო.

19

ღამე იწურებოდა, ისინი კი კვლავ ცოცხლები იყვნენ. მატიმ გამთენიისას გაიღვიძა, კირას გვერდით მოკუნტულმა იმ ადგილას, სადაც ერთად ჩაიკეცნენ შეღამებისას გადატანილი ბრძოლის შემდეგ.

- კირა, - წყურვილისგან მატის ხმა ჩახრინწოდა, მაგრამ გოგონამ გაიგონა, შეირხა და თვალები გაახილა.

- კარგად ვერ ვხედავ, - თქვა ჩურჩულით, - ყველაფერს ბინდი გადაჰკვრია.

- შეგიძლია წამოჯდე?

კირამ სცადა და დაიკვნესა:

- ძალიან სუსტად ვარ, მოიცა, - მერე ღრმად ჩაისუნთქა და გაჭირვებით წამოჯდა.

- სახეზე რა გაქვს? - ჰკითხა ბიჭს.

მატიმ ხელი ზედა ტუჩზე მიიდო და უკანვე წაიღო სისხლით მოთხუპნული.

- ცხვირიდან მომდის, - თქვა შეფიქრიანებულმა.

კირამ ნაჭერი გაუწოდა, წინადღეს სახეზე რომ ჰქონდა შემოკრული, და მატიმაც ცხვირზე მიიჭირა სისხლდენის შესაჩერებლად.

- როგორ ფიქრობ, შეძლებ სიარულს? - ჰკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

კირამ თავი გააქნია:

- მაპატიე... მაპატიე, მატი.

ბიჭს არ გაჰკვირვებია. ეკლიანმა ტოტებმა ჯერ კაბა დაუფხრიწეს, მერე კი, როცა დაღამდა, ფეხებზეც მისწვდნენ და ახლა მატი ხედავდა, როგორ დასერილიყო გოგონა. ჭრილობები ღრმა იყო, ყვითლად და ვარდისფრად მოელვარე გაშიშვლებული კუნთები და მყესებიც კი უჩანდა და დაფლეთილ-დაჩეჩქვილი ხორცი თითქოს მომაკვდინებელი სილამაზით ბრწყინავდა.

მატი, ალბათ, კიდევ შეძლებდა ეულად წაბანცალებას, მიუხედავად იმისა, რომ მკლავები სრულიად უსარგებლოდ ეკიდა და ხელის მტევნებიც მხოლოდ ვეებერთელა თათებად ჰქცეოდა.

ფროლიკი კი უმოძრაოდ გაყურსულიყო მის მკერდთან და მატიმ არ იცოდა, ლეკვი ცოცხალი იყო თუ მკვდარი.

მზერადაბინდული მიაჩერდა ყავისფერ ხვლიკს, რომელიც ენის სავსავით და კუდის ქნევით გაცოცდა ჩულოზე.

- შენ იარე, - დაიჩურჩულა კირამ, ისევ დაწვა და თვალები დახუჭა, - მე კი დავიძინებ.

მატიმ ხელები გაჭირვებით მიიტანა კირას ჩანთასთან, რომელიც იქვე იდო, სადაც წუხელ დააგდეს. ტკივილის ნისლში ჩაძირულმა გააცნობიერა, რომ მოუქნელი თითები მაინც ემორჩილებოდა მის ნებას, ამიტომ თავს ძალა დააატანა, ჩანთა გახსნა და საქსოვი ჩარჩო ამოიღო. ნელა და გულმოდგინედ გაუყარა ძაფი ნემსში და გოგონა შეანჯღრია. - ნუ მაღვიძებ. არ მინდა გაღვიძება.

- ეს გამომართვი, კირა, - უთხრა მატიმ და ჩარჩო მიაჩეჩა, - ერთხელ კიდევ სცადე, მხოლოდ ერთხელ. ნახე, სად არის ახლა ლიდერი.

კირამ თვალები დაახამხამა და ისე მიაჩერდა ჩარჩოს, როგორც უცხო ნივთს. მატიმ ძაფგაყრილი ნემსი მარჯვენა ხელში დააჭერინა, თან რაღაცას იხსენებდა, რაღაც ისეთს, რაც ერთხელ ლიდერს უთხრა შუაგზაზე შეხვედრის თაობაზე.

მაგრამ გოგონამ ისევ დახუჭა თვალები. მატიმ ხმას აუნია:

- კირა! ჩაარჭვე ნემსი ქსოვილში და ეცადე, შეხვდე მას. ეცადე, კირა!

გოგონამ ამოიოხრა და უნიათოდ ჩაასო ნემსი ჩარჩოზე გადაკრულ ქსოვილში, რომელიც მატის მოემარჯვებინა და კირას ხელებზე დაჰყურებდა. არაფერი მოხდა. არაფერი შეიცვალა.

- კიდევ ერთხელ, შეევედრა მატი.

ხელები აცახცახდა და თანდათან აციმციმდა კიდეც.

* * *

ლიდერმა იგრძნო: შესვლიდან ორი დღის შემდეგ ტყემ შეუტია. თუმცა, ბასრი ტოტებით მიახლოება მანამდეც დაიწყო ერთ ტოტი ბეწვზე ასცდა მის თვალს. მაგრამ ისე შეუპოვრად ეძებდა ბილიკს, რომ პატარ-პატარა ჭრილობებს აინუნშიც არ აგდებდა. საფრთხეზე არც დაფიქრებულა, ისე შევიდა ღრმა ტყეში. მხოლოდ იმ წყვილზე ფიქრობდა, სიკვდილთან ასე მიახლოებული რომ დაინახა. არც უჭამია, არც დაუძინია.

სიმყრალე მეორე დილას იგრძნო და ამან ნაბიჯი ააჩქარებინა. უკან მოუხედავად მიიწევდა წინ, განზე სწევდა ტოტებს, რომლებიც ეტანებოდნენ და არაფრად აგდებდა ეკლებს, მკლავებს და სახეს რომ უკაწრავდნენ.

ერთ ადგილას ბილიკი თითქოს დამთავრდა. შეფიქრიანებული ლიდერი შეჩერდა და ჯაგნარი მოათვალიერა. მოულოდნელად ბუჩქიდან მოლაპლაპე ბაყაყი გამოძვრა.

ყუაყ.

ყუაყ.

ჯერ მისკენ გადმოხტა და ტალახში გამოსრიალდა, მერე შებრუნდა და წინ წავიდა. ლიდერი, უნებურად, უკან გაჰყვა, ხშირი ბუჩქნარი გაარღვია და იქამდე მივიდა, სადაც ისევ გამოჩნდა ბილიკი. ეგონა, ტყეში დაიკარგა, ახლა კი, შვებამოგვრილმა, გზა განაგრძო. თუმცა, დარწმუნდა, რომ უტევდნენ, რომ უნებურად გადმოხრილი ეკლები და თავისი მოუქნელობა კი არა, ტყე აბრკოლებდა.

უცებ მის ირგვლივ მკბენარების გუნდი გაჩნდა. სახეზე ასკდებოდნენ და უმოწყალოდ ნესტრავდნენ. გაახსენდა წაკითხული შუა საუკუნეების ალყაშემორტყმული ციხესიმაგრეებისა და ჯარების შესახებ, რომელთა გატყორცნილი ისრები ცას აბნელებდა. ახლაც ასეთი

ვითარება იყო. ათას ადგილას დაჩხვლეტილმა ლიდერმა ტკივილი-საგან შეჰყვირა.

მოულოდნელად - ასევე ელვისებურად - მწერები გაქრნენ. ალ-ბათ, ახალი შეტევისთვის ირაზმებიანო, გაიფიქრა ლიდერმა და წინ გაიჭრა, რომ გასცლოდა ამ ჭაობიან ადგილს, რომელიც კვებავდა და იფარავდა ამ არსებებს. მართლაც, ბილიკმა შეუხვია და უფრო მშრალ ადგილზე გავიდა. მაგრამ აქ მოულოდნელად ბასრი ქვა ასხლტა და მუხლზე კანი გადაუსერა. მერე მეორე ქვამ ხელი ისე გაუჭრა, იძულე-ბული გახდა, ნაჭერი შემოეხვია, რომ სისხლდენით ძალა არ გამოს-ცლოდა.

ბორძიკით მიმავალმა და დასისხლიანებულმა ისიც კი ინატრა, იარაღი ჰქონოდა, მაგრამ ტყისგან რა იარაღი დაიცავდა? ისეთი ძალა უპირისპირდებოდა, დანით ან კეტით ვერ გაუმკლავდებოდა.

ჩვენი იარაღი ჩვენი უნარებია, - გაახსენდა ბრმისთვის თითქოს ძალიან დიდი ხნის წინ ნათქვამი თავისი სიტყვები. მაშინ ამაში დარ-წმუნებული იყო, ახლა კი ისიც ვერ გაეაზრებინა, რა იგულისხმა.

ცოტა ხანს გაუნძრევლად იდგა. სახე დაკბენილ-დასივებული ჰქონდა, ნაკბენებიდან მუქი სითხე სდიოდა. მარცხენა ყურიდან, რო-მელსაც სამართებელივით ბასრი ქვა მოხვდა, სისხლიც მოწვეთავდა. ცალ კოჭზე ხვიარა მცენარე შემოეჭდო, რომელიც ელვის სისწრაფით იზრდებოდა და გველივით მოცოცავდა მუხლისკენ. იცოდა, მალე ეს ხვიარა განძრევის საშუალებას არ მისცემდა, მერე კი მწერები დაბ-რუნდებოდნენ და ბოლოს მოუღებდნენ.

მის წინ იყო ტყის ცენტრი ადგილი, სადაც მატი და კირა გამოემ-წყვდნენ და რამაც ლიდერი აიძულა, მიღმა გაეხედა. სხვას ვეღარა-ფერს მოიმოქმედებდა.

20

- რას ხედავ? - ჰკითხა მატიმ ხრინწიანი ხმით.

კირამ არ უპასუხა.

თვალები დახუჭული ჰქონდა. თითებს თითქოს სიზმარში ამოძრავებდა. ნემსი ქსოვილში შედიოდა და გამოდიოდა, შედიოდა და გამოდიოდა.

მატიმ თავი ასწია, რომ დაენახა. მაგრამ თვალები დასივებოდა და როცა წამოდგა, ცხვირიდან სისხლი ისევ წამოუვიდა. ამიტომ ისევ დაწვა, აკვნესებული, და ამ დროს პერანგის შიგნით ლეკვის სუსტი შერხევა იგრძნო.

არასდროს განუცდია ასეთი განუზომელი სევდა. ბრანჩი სიბერით მოუკვდა, მშვიდად და უდრტვინველად, ფროლიკი კი ჯერ ლეკვი იყო, ენერგიული, ცნობისმოყვარე, ხალისიანი. როგორ შეიძლებოდა, რამდენიმე დღეში ასეთ უსიცოცხლო არსებად ქცეულიყო.

მაგრამ ახლა მის გარშემო ყველაფერი უსიცოცხლო იყო. სევდას მოეცვა ყველაფერი: სოფელი, რომელიც აღარ იყო უწინდებურად ბედნიერის მომნიჭებელი; კირა, რომლის სიმტკიცე და ენერგიულობა წარსულში დარჩა. ლიდერი? მატის აინტერესებდა, სად და როგორ იყო ახლა ლიდერი. უეცრად კირას თითქოს გამოეღვიძა.

- მოდის... ახლოა... - დაიჩურჩულა მან.

ეს სიტყვები მიწაზე მოკუნტულ მატის ძალიან ახლოდან მოესმა, თუმცა, იმავდროულად, თითქოს ხმა დასაკარგავიდან ესმოდა, თითქოს გოგონა სადღაც შორს იყო.

* * *

ფეხზე შემოხვეულმა ხვიარამ მოქაჩა, ჩაბღუჯა, ზედ დაიბუდა და ახალი ყლორტი ამოზარდა. ბუჩქებიდან კიდევ ერთი მცენარე გამოსრიალდა და წვივზე შემოეხვია, მაგრამ ლიდერს არ შეუნიშნავს - გაუნძრევლად იდგა, გაფაციცებული. თვალები გახელილი ჰქონდა, მაგრამ ვეღარ ხედავდა პარაზიტებით დახუნძლულ ხეებს და მათ დაკრუნჩხულ ფოთლებს, ვერც ბინძურ შავ ტალახს. ის მიღმა იყურებოდა და რაღაც მშვენიერს ხედავდა.

- კირა, - თქვა მან გონებით, რადგან მისი ადამიანური ხმა გაუგებარი იყო, ბაგე კი – გასივებული და დაწყლულებული.

- გვჭირდები, - გონებითვე მიუგო კირამ.

მის გვერდით მყოფ მატის არაფერი გაუგონია, ქსოვილზე მოძრავი თითების შარიშურის გარდა.

* * *

სწორედ იქ, მიღმა, ლიდერის ცნობიერება შეხვდა კირას ცნობიერებას და ისინი კვამლის კონებივით შემოეხვივნენ და მიესალმნენ ერთმანეთს.

- ჩვენ დაჭრილები ვართ, - უთხრა კირამ, - და გზაც აგვებნა.

- მეც დაშავებული ვარ და შებოჭილი, - უპასუხა ლიდერმა.

ამის შემდეგ ისინი ერთმანეთს გასცილდნენ. ლიდერმა ფეხზე შემოხვეული მცენარე იგრძნო და სცადა, ლიანაშემოტმასნილი მუხლისკენ დახრილიყო, მაგრამ ხელებიც შებოჭილი ჰქონდა.

დიდი ძალისხმევით ლიდერის ცნობიერება ისევ შეხვდა კირასას:

- ბიჭს სთხოვე დახმარება.

- მატის?

- ჰო, თუმცა ეს მისი ნამდვილი სახელი არ არის. უთხარი, რომ ახლა გვჭირდება მისი უნარი, ის ჩვენს სამყაროს სჭირდება.

მატიმ იგრძნო, რომ გვერდით კირა შეირხა. მერე თვალებიც გაახილა და ენა აამოძრავა დაწყლულებული ტუჩების დასასველებლად. როცა დაილაპარაკა, ისეთი სუსტი ხმა ჰქონდა, მატიმ სიტყვები ვერ გაარჩია.

მტკივნეულად და გაჭირვებით დაიხარა მისკენ და ყური ბაგესთან მიუტანა,

- შენი უნარი გვჭირდება, - დაიჩურჩულა კირამ.

სასოწარკვეთილი მატი უკუიქცა. აქამდე მიჰყვა ლიდერის რჩევას და თავისი უნარი არ გაუფლანგავს. არც რამონი გამოაკეთა, არც კირას გაუსწორა მრუდე კიდური, ლეკვის გადარჩენაც კი არ უცდია, ახლა კი ძალიან დაგვიანებული იყო. სხეული ისე ჰქონდა დაშავებული, ძლივს მოძრაობდა. მკლავებს ვეღარ ხრიდა და ხელებს რამეს როგორ შეახებდა? ან კირა რას ელოდა?

ტკივილითა და უიმედობით ძალადაკარგულმა მატიმ კირას ზურგი აქცია, ჩულოდან გადაგორდა და სქელ, მყრალ ტალახში ჩაცურდა.

იწვა ხელებგაშლილი, ხელისგულებამოტრიალებული და სიკვდილს ელოდა.

და უეცრად იგრძნო, რომ თითები აუთრთოლდა.

21

ეს სუსტი შეგრძნება განსხვავდებოდა ძლიერი განცდებისგან, ჯერაც რომ ტანჯავდა მის სხეულს: ხელებისა და დაწყლულებული ბაგის გაუსაძლისი ტკივილისგან, ციებცხელებიანივით გახურებული თავის აუტანელი ფეთქვისაგან.

ეს იყო მინიშნება, რომელიც იმ უცნაურმა ძალამ უკარნახა. მატიმ ეს იგრძნო თითის წვერებით, კანის ნაოჭებით. უცნაური იმპულსი ტალახში გაუნძრევლად გაწოლილის ხელებს გამოუყვა.

ტკივილისგან თრთოდა, მაგრამ გრძნობდა, როგორ უთბებოდა და მიმოქცევას იწყებდა სისხლი. მატი არ ინძრეოდა, მის ძარღვებში კი ზლაზვნით მოიპარებოდა სქელი, თალხი სითხე, რომელიც შეიღვარა გულში და ფეთქვა დააწყებინა, მერე კი დინჯად ამოძრავდა კუნთების ლაბირინთებში. იგი თავს უყრიდა ძალაგამოცლილი ფილტვებიდან სუსტად წამოსულ ენერგიას. მატი გრძნობდა სისხლის მოძრაობას არტერიებში. სისხლის ცალკეულ უჯრედებსაც კი სცნობდა და გონებაში მათი მოლეკულების წახნაგებს, მათ ფერებს ხედავდა. და ეს ყველაფერი ახლა იღვიძებდა და ძალას იკრებდა.

მატი სათითაოდ შეიგრძნობდა საკუთარ ნერვებს, მილიონობით ნერვს, ენერგიით სავსეს და თავისუფლების მომლოდინეს. კუნთების ბოჭკოებიც თითქოს შეუმჭიდროვდა.

მძიმედ სუნთქავდა. თავის უნარს მოუხმო, თუმცა არ იცოდა, როგორ ემართა. მხოლოდ მიწას ფხოჭნიდა, თითებში ენერგიის მოზღვავებას გრძნობდა და განადგურებულ გარემოში სიცოცხლის გადარჩენას ცდილობდა. უეცრად მიხვდა, რომ იგი ამისთვის აირჩიეს.

მის გვერდით კირას სუნთქვა გაუადვილდა. გონების დაბინდვა ძილად ექცა.

აქედან არცთუ შორს ლიდერმა მცენარეული ხლართისგან თავისუფალი ფეხი ფრთხილად ასწია და თვალები გაახილა.

სოფელში ნიავმა დაქროლა და რამონის სახლის ფანჯარაში შეიჭრა. რამდენიმე დღის განმავლობაში უძრავად მწოლიარე ბიჭი მოულოდნელად საწოლში წამოჯდა და იგრძნო, რომ ცხელებამ უკლო.

ბრმამაც იგრძნო, რომ ღია ფანჯრიდან მონაბერმა ნიავმა კედელზე დაკიდებული გობელენის კიდე შეარხია. კაცმა ქსოვილი მოსინჯა: მისი თვლები უწინდელივით გლუვი და თანაბარი იყო.

მატიმ ამოიგმინა და ხელები უფრო მაგრად დააბჯინა მიწას. მისი ძალა, სისხლი და სუნთქვა ახლა მიწაში ჩადიოდა. მისი სული და გონება მიწას შეერწყა. მერე მატის სული წამოიმართა, უწონოდ ალივლივდა ჰაერში და თავისი სხეულის ტანჯვას ჩამოხედა. ის ამას ნებით სჩადიოდა. მან თავი გასწირა ყველაფრისთვის, რაც უყვარდა და რასაც უფრთხილდებოდა და იგრძნო, რომ გათავისუფლდა.

* * *

ლიდერმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. სახეზე ხელები მოისვა და მიხვდა, რომ დაშავებული ადგილები ჩაუცხრა, თითქოს ვიღაცამ მტვერი გადააცალაო. ახლა ნათლად ხედავდა ბილიკს, რადგან ბუჩქებმა უკან დაიხიეს, მწვანედ ახასხასდნენ და კვირტები გამოესხათ. ერთ ბუჩქზე ყვითელი პეპელა დაეშვა, ჯერ შეყოვნდა, მერე კი უცებ ადგილს მოსწყდა. ბილიკის გასწვრივ მომრგვალებული ქვები ჩამწკრივებულიყო; ხეების ფარდაგიდან მზე იჭყიტებოდა; ჰაერი კამკამა და მსუბუქი გახდა; სადღაც ახლოს წყალი მოჩუხჩუხებდა.

* * *

მატი ყველაფერს ხედავდა და ესმოდა. დაინახა ჯინი, თავისი ბაღის გვერდით ბედნიერი სახით რომ მიესალმა მამამისს. დაინახა აღმზრდელიც - ისევ მხრებში მოხრილი და კეფაზე თმაგაცვენილი. მან ხელი დაუქნია თავის ქალიშვილს და სკოლისკენ მიმავალ ბილიკს გაუყვა. ხელში წიგნი ეჭირა. სახეზე ისევ ტყირპი გადაჰკვროდა და პოეზიის სიყვარულიც დაჰბრუნებოდა. მატიმ გაიგონა:

ამ გზა-ბილიკზე დღედაღამ მავალთ
დღეს შინ მიჰყავხარ საკუთარ მხრებით,

აწ უფრო მშვიდი სამყაროს მკვიდრო,
ახალ ქალაქის კარიბჭე გელის.

დაინახა კედლის მშენებელები, რომლებიც თავიანთ სამუშაოს თავს ანებებდნენ.

გაიგონა ახალმოსულების ხმა: თავ-თავიანთ ენაზე მღეროდნენ, უამრავ ენაზე, თუმცა ერთმანეთის ესმოდათ. დაინახა ნაიარევებიანი ქალიც, რომელიც ამაყად იდგა თავისი ვაჟიშვილის გვერდით, სოფლელები კი ახალმოსულების მოსასმენად იყრიდნენ თავს.

დაინახა ტყე და მიხვდა, რას ამბობდა წინასწარმეტყველი. ეს იყო ილუზია - შიშის, სიცრუის, ძალაუფლებისთვის ბრძოლის აბურდული ხლართი, რომელმაც ნიღაბი აიფარა და კინაღამ მოსპო ყველაფერი. ახლა კი ყველაფერი ყვავილივით იფურჩქნებოდა და თვალისმომჭრელად ბრწყინავდა.

ჰაერში მოლივლივემ ქვემოთ ჩამოიხედა და დაინახა თავისი თავი, რომელიც თანდათან ხვდებოდა, სუნთქვა ეკვროდა. მატიმ ამოიოხრა, მოეშვა და სულის სიმშვიდე იგრძნო.

დაინახა, როგორ გამოიღვიძა კირამ და სწორედ ამ დროს როგორ იპოვა იგი ლიდერმა.

* * *

კირამ ნაკადულთან ნაჭერი მიიტანა, დაასველა და მატისთან მივიდა სახის მოსაბანად. ლიდერმა მატი გადმოაბრუნა. ბიჭის შემხედვარე კირას ქვითინი აუვარდა, თუმცა ეამა, რომ ჭრილობები გაჰქროობოდა. მკლავები და ხელები ჩამობანა. მატის კანი მკვრივი ჰქონდა, სუფთა, უნაიარევო.

- პატარა ბიჭობიდან ვიცნობ, - თქვა აქვითინებულმა კირამ, - ყოველთვის ცელქი იყო და ჭუჭყიანი სახე ჰქონდა, და თმა გაუსწორა, - მძვინვართ მძვინარეს უწოდებდა თავის თავს.

ლიდერმა გაიღიმა:

- ჰო, ეგეთი იყო. თუმცა, ნამდვილი სახელი არ ჰქონდა.

კირამ თვალები შეიმშრალა:

- დიდი იმედი ჰქონდა, რომ ამ მოგზაურობის შემდეგ ნამდვილი სახელის ღირსი გახდებოდა.

- ასეც იქნებოდა.

- შიკრიკი უნდოდა, - გაანდო კირამ.

- არა, - თავი გააქნია ლიდერმა, - შიკრიკი ბევრი ყოფილა და კვლავაც იქნებიან.

მერე დაიხარა და მოკრძალებითა და პატივისცემით შეეხო მატის შუბლს, დახუჭული თვალების ზემოთ:

- შენი ნამდვილი სახელია მკურნალი.

ბუჩქების მოულოდნელმა შერხევამ ორივე შეაკრთო.

- ეს რა არის? - წამოიძახა შეშფოთებულმა კირამ.

ბეწვში წკირებჩახლართული ლეკვი სამალავიდან გადმოხტა.

- ფროლიკ! - კირა დაიხარა და აიყვანა. ფროლიკმა ხელები აუ-ლოკა.

ლიდერი მატის ნეშტის შინ დასაბრუნებელ სამზადისს შეუდგა. შორიდან მოთქმა გაისმა.